

# უსაფრთხო სკოლა საზოგადოების თანამონაცილეობის გარეშე



საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის  
მინისტრი



საქართველოს  
მთავრობის  
მინისტრის  
მინისტრი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE



# მსაზღვრელი სტულა

## საზოგადოებრივი

### თანამდებოლების განვითარების გარემო



თვერაზის  
თანამდებოლობრივი  
ფონდი



სამოქალაქო  
განვითარების  
ინსტიტუტი



CIVIC  
DEVELOPMENT  
INSTITUTE

თბილისი 2011

## **წიგნის მომზადებაში მონაწილეობდნენ:**

ია ანთაძე  
სოფიო გორგოძე  
ლიკა ზაკაშვილი  
ქეთევან კობალაძე  
თამარ მოსიაშვილი  
გიორგი მშვენიერაძე  
მაია ცირამუა

წიგნი მომზადებულია პროექტის „უსაფრთხო სკოლის სამოქალაქო მონიტორინგი“ ფარგლებში, რომელიც განხორციელდა ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. მასში გადმოცემული თვალსაზრისები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს თვალსაზრისს.

**დიზაინერი**

**დალი ჯვარშეიშვილი**

გამომცემლობა „უსტარი“

© სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი, 2011

ISBN 978-9941-0-3782-5

დემოკრატიულად ორგანიზებული სახელმწიფო ესწრაფვის, აღზარდოს არა მარტო პიროვნება, არამედ, პირველ ყოვლისა, მოქალაქე. ამიტომ, ახალგაზრდა თაობის მოქალაქეობრივი აღზრდის საკითხი სახალხო განათლების სისტემის უმნიშვნელოვანესი საკითხია. პედაგოგიურ პრაქტიკასა და ლიტერატურაში ამჟამად ამ საკითხზე ენერგიული სჯა-ბასია გაჩაღებული. უდავოა, რომ დემოკრატია დაინტერესებულია შეგნებულ მოქალაქეთა აღზრდით, რომლებსაც უნარი ექნებათ, შემოქმედებითად ჩაერიონ სახელმწიფოს ცხოვრების განვითარების პროცესში. მაგრამ რა საშუალებები აქვს სახალხო სკოლას ამ მნიშვნელოვანი მიზნის განსახორციელებლად?

დიმიტრი უზნაძე

## სარჩევი

<b>1.</b>	<b>შესავალი.....</b>	<b>7</b>
1.1	რეფორმის ზოგადი კონტექსტი.....	7
1.2	სკოლის უსაფრთხოება – ბავშვმა ძალადობისგან თავისუფალ გარემოში უნდა ისწავლოს. ....	8
<b>2.</b>	<b>სოფიო გორგოძე: უსაფრთხო სკოლა და</b>	
	საერთაშორისო გამოცდილება.....	15
2.1	შესავალი .....	15
2.2	უსაფრთხოების მნიშვნელობა სკოლისათვის.....	15
2.3	როგორია უსაფრთხო სკოლა?.....	17
2.4	რა განაპირობებს სკოლაში საფრთხის რისკს?.....	18
2.5	როგორია საერთაშორისო პრაქტიკა სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად? .....	20
2.6	უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში .....	24
<b>3.</b>	<b>გიორგი მშვენიერაძე: უსაფრთხო სკოლა და საქართველოში</b>	
	მოქმედი კანონმდებლობა .....	31
3.1	გზა დეცენტრალიზაციიდან ცენტრალიზაციამდე .....	31
3.2	სკოლების უსაფრთხოება ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით.....	39
<b>4.</b>	<b>თამარ მოსიაშვილი: დეცენტრალიზაცია და მონაწილეობა .....</b>	<b>53</b>
4.1	შესავალი .....	53
4.2	დეცენტრალიზაცია .....	54
4.3	მონაწილეობა .....	55

<b>5. მაია ცირამუა:</b> ფსიქოსოციალური სამსახური	
საჯარო სკოლებში .....	59
5.1 შესავალი.....	59
5.2 რატომ უნდა არსებობდეს სკოლაში	
ფსიქოსოციალური სამსახური? .....	69
5.3. სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო აღწერილობა .....	71
5.4 სოციალური მუშაკი სკოლაში .....	76
5.5 სკოლაში წამოჭრილი პრობლემის მართვის ტრაექტორია .....	81
5.6 ფსიქოსოციალური სამსახურის მოდელი .....	82
<b>6. ქეთევან კობალაძე:</b> როგორ ვმუშაობთ რთული	
ქცევის ბავშვებთან .....	84
<b>7. ლიკა ზაკაშვილი:</b> საფრთხის განცდით	
დახუნძლული უსაფრთხო სკოლა.....	89
<b>8. დასკვნითი ნაწილი .....</b>	103
8.1 სიტუაციის ზოგადი აღწერა .....	103
8.2 პრობლემები და გამოწვევები.....	112
8.3 რეკომენდაციები .....	117



---

## 1. შესავალი

### 1.1 რაცორმის ზოგადი კონტექსტი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფართომასშტაბიანი სისტემური რეფორმები განახორციელა როგორც სკოლის მართვისა და მისი ფინანსური შესაძლებლობების მიმართულებით, ასევე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით. ამ რეფორმებს შეიძლება ეწოდოს უპრეცედენტო მათი მასშტაბებიდან და ამბიციურობიდან გამომდინარე. შეიქმნა ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის სტანდარტი, ამუშავდა მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესი. მიუხედავად წარმატებებისა, გარკვეული პრობლემები და სადაც საკითხები ჯერ კიდევ არსებობს.

რეფორმის ყველზე მნიშვნელოვანი მიღწევა საჯარო სკოლებისთვის ავტონომიის მინიჭება იყო. ცვლილებები საკმაოდ მცირე დროში განხორციელდა. 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ და 2006 წლიდან სკოლებში სამეურვეო საბჭოების არჩევისა და საბჭოების მიერ დირექტორების შერჩევის პროცესი დაიწყო. იმის მიუხედავად, რომ ეს ცვლილება საკმაოდ მოკლე პერიოდში განხორციელდა, საერთო ჯამში, ყველა დაინტერესებული მხარე - დირექტორები, პედაგოგები და საბჭოს წევრები - სკოლის ავტონომიით კმაყოფილი იყო.

**დირექტორთა და მასწავლებელთა დამოკიდებულება დეცენტრალიზაციისა და სკოლების დიდი ავტონომიის მიმართ:**

	ძალიან კეთილგან-ნებილი	კეთილგან-ნებილი	არაკეთილგან-ნებილი	ძალიანარაკეთილ-განნებილი	n
დირექ-ტორები	30 %	70 %	0 %	0 %	106
მასწავლე-ბლები	19 %	70 %	9 %	0 %	686

კვლევის მიხედვით<sup>1</sup>, უმეტეს შემთხვევაში, დირექტორები და ადმინისტრაცია აცხადებდნენ, რომ ისინი გადაწყვეტილებებს იღებენ მათ მიერ იდენტიფიცირებულ პრობლემებზე ან დამოუკიდებლად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. საქართველოს საჯარო სკოლებში არჩეული სამეურვეო საბჭო სკოლებში მიმდინარე პროცესების გამჭვირვალობასა და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღებას უზრუნველყოფდა. ამ ორგანოს მეშვეობით ხორციელდებოდა საზოგადოების ჩართულობა საჯარო სკოლის ცხოვრებაში.

სამეურვეო საბჭოს დასახმარებლად სახელმწიფომ დიდი ძალისხმევა გასწია: 2005-2008 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და აკრედიტაცია“, რომლის ფარგლებშიც ტრენინგები მომზადდა და ჩატარდა სკოლის ახალი მმართველობითი გუნდის გაძლიერების მიზნით.

2008 წლიდან სამეურვეო საბჭოების დახმარებისა და სკოლების ავტონომიურობის მხარდაჭერის პროცესი შესუსტდა, არაქმედუნარიანი და გამოუცდელი სკოლის ადმინისტრაცია და სამეურვეო საბჭო საკუთარი მწირი ცოდნისა და გამოცდილების იმედად დარჩა.

## 1. 2 სკოლის უსაფრთხოება – გავშვეთ ძალადობისგან თავისუფალ გარემოი უდია ისენავლოს

სკოლაში მოსწავლეთა უსაფრთხოება, როგორც განათლების სისტემის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი, 2006 წელს მთელი მსოფლიოსთვის აქტუალური გახდა. სწორედ ამ წელს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მოწოდებით, მსოფლიო მასშტაბით ჩატარდა კვლევა ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე. ამ კვლევის ანგარიშში სკოლებში ძალადობის შემცირებასთან დაკავშირებით აღნიშნულია:

„იმის გათვალისწინებით, რომ ყველა ბავშვს უნდა შეეძლოს სწავლა ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში; იმის გათვალისწინებითაც, რომ სკოლები უნდა იყოს უსაფრთხო, მათში ბავშვებისადმი მეგობრული გარემო უნდა სუფევდეს, სასწავლო პროგრამა ბავშვთა უფლებების გათვალისწინებით უნდა იყოს შემუშავებული და სკოლები უნდა უზრუნველყოფდეს ისეთ გარემოს, სადაც შესაძლებელია ძალადობის ხელშემწყობი დამოკიდებულებების შეცვლა და არაძალადობრივი ფასეულობებისა და ქცევების შესწავლა, ჩემი რეკომენდაციაა, რომ სახელმწიფოებმა:

<sup>1</sup> განათლების სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტის „ილია ჭავჭავაძე“ შეფასება, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2008.

- 
1. ხელი შეუწყონ სკოლებს, რათა მათ მიიღონ და ცხოვრებაში გაატარონ ქცევის კოდექსები, რომლებიც ყველა თანამშრომელსა და მოსწავლეს შეეხება; კოდექსები, რომლებიც დაუპირისპირდება ძალადობის ნებისმიერ ფორმას სქესზე დამყარებული სტერეოტიპებისა და ქცევების, ასევე, დისკრიმინაციის სხვა ფორმების გათვალისწინებით;
  2. უზრუნველყონ, რომ სკოლების დირექტორები და მასწავლებლები იყენებდნენ სწავლებისა და სწავლის ისეთ არაძალადობრივ სტრატეგიებს, საკლასო ოთახის მართვის და დისციპლინურ ზომებს, რომლებიც შიშს, მუქარას, დამცირებას ან ფიზიკურ ძალას არ ემყარება;
  3. მოახდინონ სკოლებში ძალადობის შემცირება და პრევენცია ისეთი სპეციფიკური პროგრამების საშუალებით, რომლებიც მთელ სასკოლო კლიმატს ეხება და მოიცავს ისეთი უნარ-ჩვევების განვითარებას, როგორებიცაა: კონფლიქტების მოგვარებისადმი არაძალადობრივი მიდგომა, „ბულინგის“ (დევნის) ნინაალმდევ მიმართული სტრატეგიების განხორციელება და სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის მიმართ პატივისცემის ხელშეწყობა.
  4. უზრუნველყონ, რომ სასწავლო პროგრამები, სწავლების პროცესები და სხვა პრაქტიკა სრულად შეესაბამებოდეს ბავშვის უფლებათა კონვენციის დებულებებსა და პრინციპებს და არ შეიცავდეს რაიმე ისეთს, რაც აქტიურად თუ პასიურად ხელს შეუწყობს ძალადობისა და დისკრიმინაციის ნებისმიერ გამოვლინებას.“

გაეროს ბავშვთა ფონდმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით ჩაატარა მსგავსი კვლევა: „ეროვნული კვლევა სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად“ (2007)<sup>2</sup>. კვლევის შედეგად, ჩვენს ქვეყანაში სკოლებში არსებული პრობლემის მასშტაბი განისაზღვრა. აღინიშნა, რომ სკოლებში ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმა ბავშვებს ხელს უშლის განათლების მიღებაში და საკუთარი შესაძლებლობების გამოყენებაში. არ შეიძლება ტოლერანტულები ვიყოთ სკოლებში ძალადობის მიმართ — ეს ეროვნული განსჯის საგანი უნდა გახდეს. ანგარიშში მითითებულია, რომ სხვადასხვა ფორმის ძალადობა ფართოდ გავრცელებული პრობლემაა თბილისშიც და რეგიონებშიც; მითითებულია, აგრეთვე, რომ უფროსების ძალადობა ბავშვებისა და მოზარდების მიმართ ჩვეულებრივი ამბავია. პრობლემის აღმოსაფხვრელად, სკოლების ყველა თანამშრომელმა უნდა მიიღოს დახმარება. მათ უნდა ჩაუტარდეთ ტრენინგი, რათა იცოდნენ, თუ როგორ

2 [http://www.unicef.org/georgia/School\\_Violence\\_ENG\(1\).pdf](http://www.unicef.org/georgia/School_Violence_ENG(1).pdf)

მართონ კონფლიქტური სიტუაციები და როგორ აიცილონ თავიდან ძალადობრივი ქცევა; თანაც, როგორ შეძლონ ამის მიღწევა ისე, რომ ბავშვებისათვის მუდმივად დადებითი მაგალითის მიმწოდებლები იყვნენ. სკოლის დირექტორებს დახმარება დასჭირდებათ, რათა სკოლაში ერთიანი მიდგომა ჩამოაყალიბონ და შეინარჩუნონ, ამავდროულად, მრავალმხრივი და მიმდინარე პროფესიული განვითარება სკოლის მთელი პერსონალისათვის უზრუნველყონ.

კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი მოსწავლე სკოლაში სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლია და რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, არ არის მოსალოდნელი, რომ ერთიგამოსავალიარსებობდეს. სკოლის თანამშრომლები უნდა გადამზადდნენ, რათა ეფექტურად შეიმუშაონ მიდგომები სკოლაში ისეთი კლიმატის შესაქმნელად, სადაც მოძალადეობრივი ქცევა დაუშვებელი იქნება და ვერ განხორციელდება. სკოლების თანამშრომლებს შორის კომუნიკაციის გაუმჯობესებამ და კარგი პრაქტიკის გაზიარებამ შეიძლება საუკეთესო შედეგი მოიტანოს და სკოლაში ძალადობა შეამციროს.

შედეგები მიუთითებს, რომ ზოგადად საქართველოში მოსწავლეებს დადებითი დამოკიდებულება აქვთ თავიანთი მასწავლებლების მიმართ. ეს შედეგი ძალიან კარგ საფუძველს იძლევა იმისათვის, რომ სკოლის დონეზე მოძიებულ იქნას გამოსავალზე ორიენტირებული მიდგომები, რომლებიც უფროსებსა და სკოლის მოსწავლეებს შორის ტოლერანტობასა და პატივისცემას ეფუძნება.

ანგარიში (სხვა კვლევების მსგავსად) ისეთი ძალადობის მაღალ მაჩვენებელს მიუთითებს, როცა მოძალადეც და მსხვერპლიც მოსწავლეები არიან. აღნიშნულ მდგომარეობაზე ადეკვატური რეაგირება იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემების გაძლიერება სკოლებში. ეს მოიცავს თანატოლთა თაოსნობით წარმართული ინიციატივების გაფართოებას. ამგვარი ღონისძიებების დროს იმ მოსწავლეებს, რომელთაც სხვაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლიათ, ექმნებათ შესაძლებლობა, განავითარონ და გამოიყენონ თავიანთი პერსონალური და სოციალური უნარები, რაც უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს სკოლაში არამოძალადეობრივი კლიმატის შექმნისათვის. კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ ძალადობა ხდება ოჯახში, საზოგადოებაში, სკოლამდე და სკოლის შემდეგ. ყველანაირი პოლიტიკისა და სტრატეგიის უმნიშვნელოვანესი ელემენტი იქნება მშობლებთან, სხვა უფროსებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან საერთო შეხედულებებსა და ფასეულობებზე დაფუძნებული აქტიური პარტნიორობის ჩამოყალიბება და გამოყენება. სათანადო მონაცემების უწყვეტად შეგროვებითა და გამოყენებით განათლებისა და მეცნიერების

---

სამინისტრო შეძლებს განსაზღვროს, მიზნობრივად მოქმედებს თუ არა ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია და შეძლებს უწყვეტი გაუმჯობესების შენარჩუნებას.

საქართველოსთვის კვლევის ავტორების, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კონსულტანტების დახმარებით შემუშავდა რეკომენდაციები:

ა. ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს „უსაფრთხო სკოლების ეროვნული პოლიტიკა“.. მას მხარს უნდა უჭერდეს ეროვნული სტრატეგია თავისი ხარჯთევექტური დაფინანსებით. სტრატეგიაში უნდა აღინიშნოს, თუ როგორ უნდა შეიქმნას და შენარჩუნდეს სკოლებში უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის. შესაძლოა, საჭირო გახდეს ახალი კანონმდებლობა, რათა უფრო ნათლად განისაზღვროს უფლებები და მოვალეობები სკოლებში. ამ უფლება-მოვალეობების საფუძველზე უნდა შემუშავდეს პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები ძალადობის შესამცირებლად. სკოლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობა.

ბ. უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული ფორუმი სკოლაში ძალადობის შემცირებისათვის, რათა მონიტორინგი გაეწიოს ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის განუხრელ განხორციელებას და დახვეწას. ამ სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ბავშვებისა და მოზარდების უფლება, მიიღონ განათლება ძალადობისგან თავისუფალ სკოლებში.

გ. სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გარემომ ხელი შეუწყოს პროსოციალურ ქცევას. პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სანქციებს ძალადობის აღმოსაფხვრელად; ისინი მიმართული უნდა იყოს პრევენციაზე, რისთვისაც უნდა ჩამოყალიბდეს და შენარჩუნდეს იმგვარი გარემო, სადაც ძალადობა არ დაიშვება და სადაც ძალადობა ვერ იარსებებს. გარდა ამისა, დროულად უნდა გამოვლინდეს ძალადობის შემთხვევები და მათზე შესაბამისი რეაგირება უნდა განხორციელდეს. სკოლებში მხარი უნდა დაეჭიროს არამოძალადეობრივი და პროსოციალური ქცევის დადებით მოდელირებას პერსონალის პროფესიულ განვითარებაში ტრენინგით, რაც ყველა სკოლაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

დ. კვლევაში მითითებულია, რომ საჭიროა სკოლებში ძალადობის უწყვეტი მონიტორინგი. გარდა ამისა, სკოლას ეფექტიანად უნდა შეეძლოს ძალადობის შემცირება. იმისათვის, რომ ეს შესაძლებელი გახდეს, სკოლებში შემოღებულ უნდა იქნას შიდა განხილვის მექანიზმი, რომელიც შეიძლება

მარტივად და რეგულარულად იქნას ადმინისტრირებული. რეაგირების მექანიზმი უნდა შეიცავს ზომებს არა მხოლოდ სხვადასხვა დონისა და ხასიათის ძალადობრივი ქცევის, არამედ, ასევე — პროსოციალური ქცევის ყველა დონისა და ხასიათის მიმართ. გარდა ამისა, სკოლაში ძალადობის შიდა განხილვაში უნდა შევიდეს ინფორმაცია, თუ როგორ უმჯობესდება სკოლის სტრუქტურა და შესაძლებლობა ამ საკითხების გადაჭრის კუთხით. კვლევაში აღნიშნულია, რომ წინამდებარე კვლევაზე დაყრდნობით მომზადდება სასარგებლო საბაზისო მონაცემები მიმდინარე მონიტორინგისათვის, რითაც შეიძლება გაიზომოს სამომავლო სამუშაოს ზეგავლენა — სკოლებში ძალადობის შიდა განხილვის მექანიზმის გამოყენებით.

ე. ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა გადამზადდნენ პროფესიონალები საქართველოს ყველა რეგიონში (სოფლების ჩათვლით), ბავშვების მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მართვის კუთხით. ეს ეხება სკოლის ფსიქოლოგებსაც, რომელთაც უნდა შეეძლოთ ძალადობის მსხვერპლთა დაეკვატურიმხარდაჭერა, ასევებავშვებისადამოზარდებისთვის დახმარების გაწევა კრიზისულ სიტუაციათა მართვაში.

ვ. „ბულინგი“ (დევნა) ძალადობის განსაკუთრებით საზიანო ფორმაა, რომელიც საზოგადოების ყველა ნაწილში — მათ შორის, სკოლებშიც — შეინიშნება. მთელი ქვეყნის სკოლებში საჭიროა პრევენციული პროგრამების შემოღება და ეს ძალადობის შემცირების სასკოლო სამოქმედო გეგმის განუყოფელ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს. მიდგომები „ბულინგის“ შემცირების მიმართ და „ბულინგის“, მსხვერპლთა დახმარება შეტანილ უნდა იქნას სკოლის სასწავლო პროგრამაში, როგორც სასწავლო პროგრამების ნაწილი პერსონალური და სოციალური უნარების განვითარებისათვის.

კონკრეტული რეკომენდაციები „ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის“ შემუშავების ხელშესაწყობად: სკოლებში ძალადობის შემცირების მიზნით, საქართველოს სკოლებში ძალადობის დონეების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ერთიანი პოლიტიკა და სტრატეგია შეიმუშაოს ამ საკითხების მოსაგვარებლად. ეს პოლიტიკა და სტრატეგია არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ სადამსჯელო რეაგირებას, როცა ძალადობას ექნება ადგილი. ამგვარი რეაგირება დაბალანსებული უნდა იყოს პროაქტიური და პრევენციული რეაგირებით. აღნიშნული მიდგომის მეშვეობით მოსწავლეებს უნდა განვუვითაროთ სათანადო სოციალური და ემოციური უნარები, რათა ამის დახმარებით ისწავლონ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ არამოძალადეობრივად მაშინაც კი, როცა გაბრაზებულები არიან, ან მათ აგრესიას პროვოცირებას უკეთებენ. ანგარიშში მითითებულია კავშირი ძალადობასა და სკოლაში მოსწავლის გამოცდილებას შორის. ამ კონტექსტში სკოლებს აშკარად ეკისრება

---

ვალდებულება და ისინი მხარდაჭერას საჭიროებენ სკოლაში ყველასათვის უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნისა და შენარჩუნებისათვის.

უფრო დადებითი ქცევის განვითარება უნდა მოიცავდეს სამიზნების დასახვას ცენტრალურ და რეგიონულ დონეებზე, რათა პასუხი გაეცეს შეკითხვას: „ეს არის, რაც გვაქვს — რა გვინდა ამის ნაცვლად?“

უწყვეტი მონიტორინგისა და გადასინჯვის პროცესი სკოლებში, ადგილობრივ და ეროვნულ დონეებზე, არსებითად მნიშვნელოვანი იქნება, რათა ამ პროცესმა წარმოაჩინოს „ეროვნული უსაფრთხო სკოლების პოლიტიკის“ განხორციელების პროგრესი. შიდა განხილვა სკოლებში დაემყარება სათანადო მონაცემების წყაროებს — სტრატეგიების ეფექტურობის გასაზომად — და განაგრძობს ამ წყაროების განვითარებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ UNICEF-ის მხარდაჭერით დაიწყო „უსაფრთხო სკოლის“ პროგრამის განხორციელება (2008წ, მარტი)<sup>3</sup>. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ამუშავდა ევროპის საბჭოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივა - „ძალადობის შემცირება სკოლაში“ (VIRIS). პროექტის მიზანი იყო ძალადობის პრევენცია და ბავშვზე ორიენტირებული სკოლის (Child friendly school) კონცეფციის ხელშეწყობა.

საქართველოში 2007 წ. 7 ნოემბერს მასობრივ მიტინგს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესში ცვლილებები და, მათ შორის, განათლების მინისტრთა სწრაფი ცვლა მოჰყვა. ბოლო სამი წლის განმავლობაში 4 ახალი მინისტრი დაინიშნა. უმაღლეს მენეჯერულ დონეზე (და, ასევე, მასთან დაკავშირებული პერსონალის) ხშირმა ცვლილებებმა განათლების სფეროში სტრატეგიული განვითარების ვექტორი შეცვალა. ხშირი ცვლილებების გამო, საზოგადოებისთვის, ზოგ შემთხვევაში, გაუგებარია სამინისტროს გადაწყვეტილებები. არადა, ზოგადად, განათლების პოლიტიკა და, კერძოდ, სკოლის ცხოვრება მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილს უშუალოდ ეხება.

2010 წლის მარტიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მინისტრ დიმიტრი შაშვინის ინიციატივით დაიწყო მანდატურების საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის დაცვასა და უსაფრთხოებას მანდატურების მეშვეობით. საპილოტე პროექტის შინაარსი და მიზნები არ განუხილავთ განათლების სპეციალისტებთან. მისი შინაარსი ბუნდოვანი იყო საზოგადოებისთვის. სფეროს წარმომადგენლებს აინტერესებდათ, რამდენად უკავშირდებოდა ახალი პროექტი ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

---

<sup>3</sup> [http://www.unicef.org/georgia/media\\_8536.html](http://www.unicef.org/georgia/media_8536.html)

მისი დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ, პროექტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შეფასებულ იქნა, როგორც წარმატებული<sup>4</sup>.

2010 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები „საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში. ამ ცვლილებებით შეიქმნა ახალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მანდატურების სამსახური<sup>5</sup>.

უსაფრთხო სკოლის იდეას საქართველოს მოქალაქეები აქტიურად უჭერენ მხარს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განათლების სპეციალისტებს, მშობლებს, მასწავლებლებსა და საზოგადოების წევრებს (თემს) ბევრი შეკითხვა აქვთ განათლების სამინისტროს მიმართ, მაგრამ დღეს ამ თემაზე საჯარო დისკუსია თითქმის არ მიმდინარეობს. საზოგადოება ასევე დაინტერესებულია სიახლეებით სკოლის ცხოვრებაში. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა ივნის-ოქტომბერში მოქალაქე უურნალისტებისგან არაერთი შეტყობინება მიიღო სასკოლო განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით. დასმული კითხვების უმრავლესობა უსაფრთხო სკოლის პროგრამას შეეხება. საზოგადოება არ იცნობს ამ პროგრამის სრულ შინაარსს და, ხშირ შემთხვევაში, სკეპტიკურად აფასებს სამინისტროს მიერ დანერგილ მოდელს.

საზოგადოებასა და განათლების ექსპერტებს შორის ეფექტური კომუნიკის მიზნით შეიქმნა პროექტი „უსაფრთხო სკოლის სამოქალაქო მონიტორინგი“, რომელიც ევრაზიის თანამშრომლობის ფონდისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ არის მხარდაჭერილი.

წინამდებარე პუბლიკაცია, რომელიც სწორედ ამ პროექტის ფარგლებში შეიქმნა, განათლების სფეროს წარმომადგენლებს და დაინტერესებულ პირებს გააცნობს: უსაფრთხო სკოლის საერთაშორისო და ქართულ მოდელებს; გზას, რომელიც საქართველოს განათლების სისტემამ დეცენტრალიზაციიდან ხელახალ ცენტრალიზაციამდე გაიარა; მანდატურის როლსა და ფუნქციებს უსაფრთხო სკოლის პროგრამის მიხედვით; ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის როლს უსაფრთხო სასკოლო გარემოს ჩამოყალიბებაში; სილრმისეულ რეპორტაჟს, რომლის ავტორი შეეცადა, მოქალაქე უურნალისტების მიერ მოწოდებული ინფორმაცია გადაემოწმებინა და აღეწერა, რა ხდება სკოლაში. დაბოლოს, წარმოგიდგენთ რეკომენდაციებს და იმ პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც ამ პროექტის ფარგლებში ვერ მოხერხდა.

---

4 <http://mes.gov.ge/content.php?t=search&search=guard&id=816&lang=eng>

5 კანონი ზოგადი განათლების შესახებ. მუხლი 481, მანდატურის მოვალეობები

## 2. უსაფრთხო სკოლა და საერთაშორისო გამოცდილება

### 2.1 შესავალი

წინამდებარე სტატიაში განხილულია უსაფრთხო სკოლასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც აქტუალურია არამარტო საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. კონკრეტულად:

უსაფრთხოების მნიშვნელობა სკოლისათვის;

როგორია უსაფრთხო სკოლა;

რა განაპირობებს სკოლაში საფრთხის რისკს;

როგორია საერთაშორისო პრაქტიკა სკოლის უსაფრთხოების უზრუნველ-საყოფად.

ამის შემდეგ მოკლედ არის აღნერილი უსაფრთხო სკოლის ბოლოდროინდელი პოლიტიკა საქართველოში.


### 2.2 უსაფრთხოების მნიშვნელობა სკოლისათვის

სკოლის უსაფრთხოება მნიშვნელოვანი და, ამასთანავე, საკმაოდ კომპლექსური საკითხია. საზოგადოებაში დაგროვილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები ხშირად ასახვას პოვებს სკოლის ცხოვრებაზე, რაც არღვევს მისი ნორმალური ფუნქციონირების რიტმს. თუკი სკოლა ვერ შეძლებს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფას და ისინი მუდმივად ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის მოლოდინში იქნებიან, სკოლა თავის მიზნებს ვერ მიაღწევს.

უსაფრთხოების მნიშვნელობა ბავშვის და, ზოგადად, ადამიანის პოტენციალის გამოვლენისათვის ამერიკელმა ფსიქოლოგმა - აბრაამ მასლოუმ (1970) ხაზგასმით აღნიშნა თავის საჭიროებათა იერარქიაში. თუკი სკოლა მოსწავლის ძირითად საჭიროებებს მიაქცევს ყურადღებას და გაიაზრებს, როგორ უკავშირდება იგი მოსწავლის შემეცნებითი უნარების

გამოვლენას, მაშინ უსაფრთხოების საკითხი აუცილებლად წინა პლანზე წამოიწევს.

იმისათვის, რომ მოსწავლემ საკუთარი თავის რეალიზაცია მოახდინოს, დაკმაყოფილებულ უნდა იქნას გარკვეული საჭიროებები/მოთხოვნები. მასლოუს (1970) საჭიროებების ცნობილ პირამიდაში, რომელიც ხუთი საფეხურისგან შედგება, პირველი ადგილი ფიზიოლოგიურ მოთხოვნებს (საკვები, წყალი, სითბო) ხოლო მეორე – უსაფრთხოებას უკავია. თუ პირამიდის ძირში არსებული ძირითადი საჭიროებები არ დაკმაყოფილდა, ვერ დაკმაყოფილდება უფრო მაღალი საჭიროებები, როგორიცაა სოციალური (მიკუთვნების გრძნობა, სიყვარული), პატივისცემის (თვითდაფასება, აღიარება, სტატუსი) და ბოლოს – თვითაქტუალიზაციის საჭიროება (მასლოუ, 1970). სწორედ თვითაქტუალიზაციის საშუალებით ახერხებენ მოსწავლეები, გამოავლინონ მაღალი დონის სააზროვნო უნარები, – ამ შემთხვევაში იწყება მათი რეალური ზრდა. მასლოუმ თვითაქტუალიზაციაში გააერთიანა კოგნიტური, ესთეტური და ტრანსცენდენტული საჭიროებები, რომლებიც შემდეგ სხვა ავტორებმა ცალკე გამოყვეს პირამიდის ადაპტირებულ ვერსიაში.



მასლოუს საჭიროებათა იერარქია, 1970

## 2.3 როგორია უსაფრთხო სკოლა?

ისმის კითხვა: რა იგულისხმება უსაფრთხო სკოლაში? რა მახასიათებლებით გამოვარჩევთ უსაფრთხო სკოლას იმ სკოლისაგან, რომელიც მოსწავლისთვის თუ პერსონალისთვის საფრთხის მნიშვნელოვანი რისკის შემცველია?

სკოლის უსაფრთხოება არ მოიცავს მხოლოდ ფიზიკურ უსაფრთხოებას, რაშიც, ძირითადად, ნებისმიერი სახის ფიზიკური ძალადობა და შეურაცხყოფა, მათ შორის, რამე სახის იარაღით მიყენებული ზიანი ან მკვლელობა მოიაზრება. ემოციური (მაგ. შიში, რომ ღიად გამოხატო ემოციები), ფსიქოლოგიური (მაგ. როცა ცრურწმენების მსხვერპლი ხდები) და ინტელექტუალური (შეცდომების დაშვების შიში) უსაფრთხოება - ეს არის ტერმინები, რომელსაც სხვადასხვა ავტორი იყენებს სხვა სახის (არაფიზიკური) უსაფრთხოების აღსანერად. მაშინ, როცა ზოგიერთი ავტორი ემოციურ ან ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაში აერთიანებს ყველა სხვა ტიპის არაფიზიკურ უსაფრთხოებას, სხვები მათ ცალ-ცალკე აჯგუფებენ. გარდა ამისა, გარკვეული სახის ძალადობა, როგორიცაა სექსუალური ძალადობა და ჩაგვრა, მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე არაფიზიკურ ძალადობას. ამ სტატიის მიზნებისთვის ჩვენ გამოვიყენებთ ტერმინებს ფიზიკური უსაფრთხოება და ემოციურ/ფსიქოლოგიური უსაფრთხოება, რომელშიც გავაერთიანებთ ყველა ტიპის არაფიზიკურ უსაფრთხოებას.

ჯეინ ბლუსტაინი (2001) თავის წიგნში, რომელიც ემოციურ უსაფრთხოებას ეხება, აღნერს იმ ფაქტორებს, რომლებიც ამ ტიპის უსაფრთხოებისთვისაა საჭირო. მათ შორისაა: მიკუთვნების გრძნობა და დაფასების გრძნობა; ისეთი გარემო, სადაც ბავშვებს არ აქვთ რომელიმე უნარში ჩამორჩენის გამო შიში და, შესაბამისად, არ იმსახურებენ ცუდ დამოკიდებულებას; სკოლის მოთხოვნები მკაფიოა, არ არსებობს პირობითი და მოულოდნელი საპასუხო რეაქციები თუ სასჯელები; ბავშვები შეურაცხყოფისა და დაშინებისაგან დაცულები არიან (იგულისხმება დაცინვა, ცუდი სიტყვების დაძახება, ზიზღი); ფიზიკურ მუქარას ადგილი არ აქვს თანატოლების თუ უფროსების მხრიდან; მოსწავლეებს აქვთ არჩევანის თავისუფლება; უფროსები აფასებენ მათი სწავლის სტილს; საკუთარი აზრების და ემოციების გამოხატვა შეუძლიათ ყოველგვარი შიშის გარეშე; არ არსებობს გარეგნობის, რელიგიის, ეთნიკურობის თუ კულტურული მიკუთვნების გამო დისკრიმინაცია; ასევე არ ხდება აკადემიური, ათლეტური, შემოქმედებითი თუ სოციალური შესაძლებლობების მიხედვით მოსწავლეების განსჯა.

როგორც წესი, სკოლების უმრავლესობა პოლიტიკის დაგეგმვისას ფიზიკურად უსაფრთხო სკოლის შექმნაზე ზრუნავს და ყურადღებას არ აქცევს ემოციურ/ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას, რომელიც, თავის მხრივ,

შეიძლება ფიზიკური საფრთხის წყაროდ იქცეს. იარაღით მიყენებული ზიანის, მკვლელობის და სხვა სახის ფიზიკური ძალადობის აღმოფხვრის გარდა, უსაფრთხო სკოლის უზრუნველსაყოფად, ერთმანეთის ცუდი სიტყვებით მოხსენიება, ჩაგვრა, ეთნიკური, გენდერული თუ რაიმე სხვა ნიშნით დამცირებაც უნდა მოისპოს.

ბუჩქერისა და მენინგის (2005) განმარტებით, უსაფრთხო სკოლა ისეთი სკოლაა, სადაც არამარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლები და ადმინისტრაცია ახერხებენ პოზიტიურ ურთიერთობას; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სკოლა, სადაც სასკოლო კლიმატი მუქარისაგან და დაშინებისაგან თავისუფალია.

„უსაფრთხო სკოლის დიზაინის“ ავტორები გვთავაზობენ უსაფრთხო და საფრთხის შემცველი სკოლების მახასიათებლებს:

### **საფრთხის შემცველი სკოლა**

სკოლაში არ არის ერთიანობის გრძნობა, ქაოტურია, სტრესს იწვევს, არაორგანიზებულია, ცუდად არის სტრუქტურიზებული, არაეფექტური და მაღალი რისკის მქონეა, შეინიშნება ბანდების აქტივობა და ძალადობის შემცველი ინციდენტები, არამკაფიოდაა განსაზღვრული აკადემიური და ქცევის მოთხოვნები.

### **უსაფრთხო სკოლა**

ეფექტურია, მიმღები, თავისუფალია პოტენციური ფიზიკური და ფიზიკოლოგიური ზენოლისგან, არ არის ძალადობა, პიროვნების აღზრდას დიდი ყურადღება ექცევა, მზრუნველია და დამცველი (შნაიდერი და სხვები, 2000).

### **2.4 რა განაპირობებს სკოლაში საფრთხის რისკს?**

იმისათვის, რომ სკოლა უსაფრთხო გავხადოთ, საჭიროა ვიცოდეთ, რა ფაქტორები ზრდის სკოლაში საფრთხის რისკებს. კვლევების მიხედვით, ამაზე ბევრი რამ ახდენს გავლენას: თანატოლები, ოჯახი, თემი, გარემო, სკოლის კონსტრუქცია, მასწავლებელი და ა.შ. თითოეული ფაქტორი შეიძლება იყოს საფრთხის წყარო.

ყველა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომლებსაც სკოლის უსაფრთხოებაში თავისი როლი აქვს, ორ დიდ ჯგუფში შეიძლება გაერთიანდეს: ფაქტორები, რომლებიც სკოლის გარედან მოდის და ფაქტორები, რომლებიც სკოლის ორგანიზაციული თუ საგანმანათლებლო სტრუქტურითაა განპირობებული.

იმ ნაშრომების უმეტესობაში, რომლებიც სკოლასთან დაკავშირებულ ძალადობას იკვლევს, აღნიშნულია, რომ სკოლის ძალადობასთან ყველაზე მაღალ კორელაციაშია თემი და დასახლება, სადაც სკოლა მდებარეობს (ლიმბოსი და კასტილი, 2008). ბავშვები ყველაზე მეტად საფრთხეს მაშინ გრძნობენ, როცა თავიანთ თემში მუდმივად ძალადობის ფაქტებს ხედავენ.

არაერთხელ იქნა შესწავლილი მედიასაშუალებებით – კერძოდ კი, ტელევიზიით გავრცელებული ძალადობის შემცველი ინფორმაციის გავლენა მოსწავლეებზე. მოსწავლეებს ამ ინფორმაციის მიღების შემდეგ ძალადობა ნაკლებად აღელვებთ. ისინი ნაკლებად მგრძნობიარენი ხდებიან ძალადობის სცენების მიმართ, ეჩვევაზე აგრესიულ ქცევას. მეორე მხრივ, ბავშვებში იმატებს შიშის გრძნობა, რომ ძალადობის მსხვერპლი თავად არ გახდნენ (ფედერმანი, 1996, 1997, 1998).

რაც შეეხება სკოლის შიდა ფაქტორებს, აშშ-ში ჩატარებული კვლევა, რომელშიც ლოს ანჯელესის 95 სკოლა მონაწილეობდა, ადასტურებს, რომ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რაოდენობა, კლასის საფეხური, აკადემიური მოსწრების ინდექსი (ინდექსი ძირითადად სტანდარტიზებული ტესტების შედეგებს ეყრდნობა, ასევე, ითვალისწინებს დასწრებისა და სკოლის დასრულების ნიშნულს) და მოსწავლისა და მასწავლებლის შეფარდება მნიშვნელოვნად წინასწარმეტყველებს სკოლებში ძალადობის დონეს (ლიმბოსი და კასტილი, 2008). კვლევის მიხედვით, რაც უფრო იზრდებოდა სერტიფიცირებულ მასწავლებელთა რიცხვი, მით მეტად მცირდებოდა ძალადობის ფაქტები; მოსწავლე/მასწავლებლის მაღალი შეფარდება კი უარყოფით კორელაციაში იყო ძალადობის შემთხვევების ზრდასთან. რაც შეეხება აკადემიური მოსწრების ინდექსს, თუ ის საშუალოზე დაბალი იყო, ეს მნიშვნელოვნად ასოცირდებოდა სკოლაში დანაშაულის ზრდასთან.

ტოდ შნაიდერი და სხვები (2000) გამოყოფენ სკოლის სტრუქტურიდან გამომდინარე რისკფაქტორებს და იმაზეც საუბრობენ, თუ როგორ შეიძლება მათი გაუვნებელყოფა.

### **რისკფაქტორები, რომლებიც სკოლიდან გამომდინარეობს**

სკოლის ცუდი დიზაინი და მისი ტერიტორიის არაგონივრული გამოყენება;

ბავშვებით ზედმეტად გადატვირთვა;

მტკიცე, მაგრამ მზრუნველი დისციპლინის არარსებობა;

მულტიკულტურული ფაქტორების მიმართ უყურადღებობა;

მოსწავლეების გაუცხოება;

რისკის ჯგუფის მოსწავლეების გარიყვა თანატოლებისა და მასწავლებლების მიერ;

სკოლის რუტინის მიუღებლობა, მოთხოვნილი კონფორმიზმის მიმართ ბრაზი და წყენა;

სკოლაში სუსტი ზედამხედველობა.

### **სკოლიდან გამომდინარე რისკფაქტორები აცილებულია, როცა არსებობს**

პოზიტიური სასკოლო კლიმატი;

მკაფიოდ ჩამოყალიბებული და მაღალი მოთხოვნები ყველა მოსწავლის მიმართ;

ინკლუზიური ლირებულებები და პრაქტიკა მთელი სკოლის მასშტაბით;

მოსწავლეების მიჯაჭვულობა სკოლაზე და სასწავლო პროცესზე;

სასწავლო პროცესში მოსწავლეთა და მშობელთა მაღალი ჩართულობა;

სოციალური განვითარებისა და სახელობო უნარების შექენის შესაძლებლობები; სასკოლო მასშტაბის კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიები.

### **2.5 როგორია საერთაშორისო პრატიკა სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?**

როგორ უნდა გავხადოთ სკოლა უსაფრთხო? არსებობს სხვადასხვა მოდელი, რომლებსაც სკოლები იყენებენ.

ძირითადად გამოიყოფა უსაფრთხოების ა) პროცესზე დაფუძნებული მიღომა და ბ) პროდუქტზე დაფუძნებული მიღომა.

პროდუქტზე დაფუძნებული მიღომა დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიღომა კი პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს (ბუჩერი და მენინგი, 2005).

პროდუქტზე დაფუძნებულ მიღომაზეა აგებული დასავლეთში კარგად ცნობილი ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. ამ პოლიტიკის მიხედვით, მკაცრად ისჯება მნიშვნელოვანი და მცირე დარღვევები. ასეთ პოლიტიკას სკოლა შეიძლება ირჩევდეს იარაღის ტარების, ნებისმიერი ფიზიკური ძალადობის ან ჩაგვრის წინააღმდეგ. ზოგ შემთხვევაში, ის მოიცავს მოსწავლეთა მოულოდნელ ჩხრეკებს, გარიცხვას მცირე დარღვევის შემთხვევაშიც კი, მეტ ინვესტიციებს უსაფრთხოების კამერებში, სკოლის დაცვაში თუ დეტექტორებში (დანიელი და ბონდი, 2008).

ამ პოლიტიკას ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდა. პრევენციული ეფექტი მინიმალურია, რადგან იგი ხელს არ უწყობს სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებს. ასევე არ უწყობს ხელს მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, მათ ზრდას და განვითარებას. ასეთი პოლიტიკა არ ეხმარება მოსწავლეებს, გაიაზრონ, რა დააშავეს, რატომ არის მათი საქციელი ცუდი და რატომ აღარ უნდა გაიმეორონ იგივე (მორისონი, 2007). როგორც წესი, ასეთი პოლიტიკის შედეგად მოსწავლეები გრძნობენ, რომ სკოლა საფრთხეს შეიცავს და საფუძვლიანი მიზეზიც აქვთ, რომ ეშინოდეთ; სკოლაში ისე გრძნობენ თავს, როგორც ციხეში. სკოლა რეპრესიების და არაკეთილგანწყობილ ადგილად მიიჩნევა.

„ძალადობა ყოველთვის დაემატება მეტალის დეტექტორებსა თუ დამონტაჟებულ კამერებს, ვინაიდან ის სიბრაზე, ფრუსტრაცია და ემოციური გაუწინონასწორებლობა, რომელიც ძალადობის წყარო ხდება, გარედან იშვიათად ჩანს. მას ადამიანები თავიანთ გულებში ატარებენ;“ – ეს არის ციტატა სკოლის უსაფრთხოების ეროვნული ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის, რონალდ სტეფენსის (2005) მიერ კონგრესში წარმოთქმული მოხსენებიდან.

პროცესზე დაფუძნებული მიღომა კი, რომელიც სკოლის კლიმატის წარმატებულ ცვლილებას გულისხმობს, მოითხოვს, რომ მოხდეს სარისკო ქცევის ადრიდანვე იდენტიფიცირება და მისი მართვა; სამედიცინო, ფსიქოლოგიური და სოციალური მხარდაჭერის სისტემის ამოქმედება;

სოციალური ნორმების დაწესება/მოდელირება; იმის შეცვლა, რაც მისთვის, ვინც, შესაძლოა, განსხვავებული გარემოდან მოდის, ნორმალური ქცევაა.

ასევე, ადმინისტრაციის მნიშვნელოვანი საზრუნავია უფროსების მხრიდან ძალადობის აღმოფხვრა – როგორც ფიზიკური, ასევე ემოციური/ფსიქოლოგიური: იქნება ეს კლასის მართვის ავტორიტარული სტილი, ბაშვისთვის ყურის აწევა თუ დამამცირებლად მოქცევა; ნებისმიერი სიტყვა ან საქციელი, რაშიც უარყოფითი გავლენა ვლინდება; ნებისმიერი უსამართლო და მიკერძოებული მოქცევა, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება.

ბუჩქერი და მენინგი (2005), კვლევებზე დაყრდნობით, სკოლაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ყველაზე ეფექტურ სტრატეგიებს გვთავაზობენ:

- სკოლის უსაფრთხოებისათვის მუდმივი პრევენციული პროგრამების დაფუძნება (მაგალითად, თანატოლთა მედიაცია);
- ყურადღება დაბალი დონის ძალადობის აღმოფხვრისადმი (ძალიან ცუდია, თუ სკოლაში დაბალი დონის ძალადობას ყურადღება არ ექცევა. მაგალითისათვის, ჩავრცელოთ გულისხმობების მხრიდან ფსიქოლოგიური ზენოლა მოსწავლეებს სწავლაში მნიშვნელოვნად უშლის ხელს);
- ისეთი სასკოლო კლიმატის შექმნა, რომელიც ყველა ბავშვის მზრუნველობას გულისხმობს; სკოლა, სადაც თავისუფალი და ღია კომუნიკაციაა ადმინისტრაციას, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

ბრენდა მორისონი (2007) უგულებელყოფს პრობლემების სწრაფ მოგვარებას და ნულოვან ტოლერანტობას. იგი სამი დონის პრაქტიკას განიხილავს.

პირველი არის უფრო პროაქტიური დონე, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეების სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარებას, რათა მოსწავლეებმა შეძლონ, თავად მოაგვარონ პრობლემები მზრუნველობითა და ერთმანეთის პატივისცემით. მეორე დონეზე უკვე სკოლის სხვა წარმომადგენლებიც ერთვებიან კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებაში. ეს მაშინ ხდება, როცა პრობლემა უფრო ბევრ ადამიანს მოიცავს, ან მწვავდება. მესამე დონე კი გულისხმობს თემის, სოციალური მუშაკის, მშობლების და სხვათა ჩართულობას.

პრობლემების მოსაგვარებლად არსებობს პროგრამები, მაგალითად ისეთი, როგორიცაა „სამართლიანობის აღდგენა“. ამ პროგრამაში მთავარია, კონფლიქტში მონაწილე ყველა პირისთვის შეიქმნას მხარდაჭერის გარემო,

სადაც თითოეული აიღებს პასუხისმგებლობას ზიანის უგულებელყოფაზე ან შემცირებაზე. პროგრამაში შეიძლება მონაწილეობდნენ მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები. ამ მიდგომას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებენ, მაგალითად, „თემის პასუხისმგებლობის კონფერენცია“, „სკოლის ფორუმი“. ამ კონფერენციების დროს მოსწავლეები რეალურად იაზრებენ, რა დააშავეს და რატომ არის კონკრეტული საქციელი ცუდი. უმეტეს შემთხვევაში ისინი ბოდიშსაც კი იხდიან. სამართლიანობის აღდგენის კონფერენციების საშუალებით, სასკოლო უსაფრთხოებაზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას ყველა დაინტერესებული მხარე იღებს.

ასეთი პრაქტიკის საშუალებით, დიდი შანსია, რომ უფრო მაღალი დონის უსაფრთხოების ზომები აღარ დაგვჭირდეს. ზოგჯერ ყველა ქცევისთვის არაა საჭირო ასეთი კონფერენციები. თანატოლთა მედიაცია და დერეფანში არაფორმალური საუბრებიც საკმარისია პრობლემების თავიდან ასაცილებლად.

მართალია, სამართლიანობის აღდგენის პრაქტიკის ეფექტურობაზე ხშირად საუბრობენ, თუმცა, იმაზეც ყოველთვის გამახვილებულია ყურადღება, რომ ასეთ კონფერენციებს სკოლის პერსონალის საფუძვლიანი ტრენინგი და კარგი დაგეგმვა სჭირდება (მორისონი, 2007).

სკოლაში უსაფრთხო კლიმატის შექმნის კონტექსტში, სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად, ხშირად განსაკუთრებითაა გამოკვეთილი მასწავლებლებისროლი. მასწავლებლებსგანსაკუთრებული პასუხისმგებლობა ენიჭებათ და ისინი პირდაპირ უნდა იყვნენ ჩართული ნებისმიერი ტიპის უსაფრთხო სკოლის პროგრამის დაგეგმვაში. ყველაზე ახლოს მათ უხდებათ მოსწავლეებთან ყოფნა და ხშირად პრობლემების ყველაზე რეალისტური გადაჭრის გზასაც ისინი აგნებენ. მასწავლებლების მხრიდან კლასის მართვის სტილი ასევე ხშირად განსაზღვრავს საკლასო კლიმატს და, შესაბამისად, საფრთხის შემცველ ან უსაფრთხო გარემოს.

რიკ ფილიპსი და სხვები (2008) ყველაზე მეტ ყურადღებას მაინც მოსწავლეების პოტენციალს და მათ როლს უთმობენ. მათი აზრით, მოსწავლის როლი შეუცვლელია ჩაგვრისა და ძალადობის შესაჩერებლად. ისინი წერენ, რომ პრაქტიკისა და ლიტერატურის ძირითადი ნაწილის თანახმად, უსაფრთხოება, უმთავრესად, დიდების საზრუნავია. როგორც წესი, ასეთ დროს თავად მოსწავლეთა პოტენციალი უგულებელყოფილია. ისინი აღნიშნავენ, რომ მოსწავლეებმა იციან ის, რაც არ იციან დიდებმა. მოსწავლეები ადგენენ ქცევის ნორმებს, სწორედ ისინი არიან უმეტეს შემთხვევაში ინციდენტის ადგილას.

აქედანგამომდინარე, ესავტორებიუსაფრთხოსკოლისუზრუნველსაყოფად გვთავაზობენ სტრატეგიებს, სადაც მთავარი როლი სწორედ მოსწავლეებს ეკისრებათ.

„მშვიდობიანი სკოლის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, თველმოუ და სხვები (2002) აღნიშნავენ, რომ რა მიდგომაც უნდა ავირჩიოთ სკოლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი წარმატებისათვის აუცილებელია:

- მასწავლებლებს და ადმინისტრაციას ამ ინტერვენციისადმი მაღალი ნდობა ჰქონდეთ;
- ინტერვენცია ორიენტირებული იყოს არა პრობლემურ ბავშვზე, არამედ საერთო სასკოლო კლიმატის გაუმჯობესებაზე;
- ხელს არ უშლიდეს სასწავლო პროცესს და არ წარმოადგენდეს გარკვეულ დანამატს ისედაც დატვირთულ კურიკულუმზე;
- არ იყოს ძვირი. თავიდან უმჯობესია მცირებნიანი ტრენინგები და შემდეგ - მუდმივი სუპერვიზირება;
- ჰქონდეს რეალისტური მიზნები.

## 2.6 უსაფრთხო სკოლის პოლიტიკა საქართველოში

უსაფრთხოების პრობლემა მეტნილად დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩნდება, იქ, სადაც არჩევანის თავისუფლებაა. საბჭოთა კავშირში 60-70-იან წლებში უსაფრთხოება პრობლემას არ წარმოადგენდა. დღეისათვის სინგაპურია მაგალითი იმასა, თუ როგორ შეიძლება უსაფრთხოების უზრუნველყოფა არჩევანის თავისუფლების გარეშე. დემოკრატიული მმართველობის ქვეყნებში კი დილემაა, როგორ უზრუნველყოთ უსაფრთხოება ზედმეტი ტირანული კონტროლის გარეშე (თველმოუ და სხვები, 2002).

საქართველოში სკოლაში ძალადობის ფაქტების გახშირებასთან დაკავშირებით, 2007 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო პროგრამა „უსაფრთხო სკოლა“, რომელიც ითვალისწინებდა სკოლაში გარკვეული ღონისძიებების გატარებას დანაშაულის პრევენციის და უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა 11 მიმართულება და 10 ქვეპროგრამა, ამათგან, ძირითადი მიმართულებები ყველა საჯარო სკოლაში, ქვეპროგრამები კი 40 საპილოტე სკოლაში უნდა განხორციელებულიყო.

*ძირითად მიმართულებებს წარმოადგენდა:*

1. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
2. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი;
3. საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი;
4. საჯარო სკოლის სააპელაციო კომიტეტი;
5. მოსწავლეთა პირადი საქმეები;
6. სკოლის შიდა აუდიტი;
7. კლასგარეშე დროის გამოყენებისათვის კლუბებისა და წრეების მუშაობის ორგანიზება;
8. სკოლის და პოლიციის თანამშრომლობა; ტრენინგ-მოდულის შექმნა პოლიციის თანამშრომლებისათვის;
9. გაცდენა-დაგვიანებების აღრიცხვა და კონტროლი;
10. კვლევა;
11. ბროშურები.

*განსახორციელებელი ქვეპროგრამების ნუსხა კი ასეთი იყო:*

1. ინტერაქტიული თეატრი;
2. სასჯელალსრულებით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
3. ცნობილ სახეებთან ერთად ანტიდანაშაულებრივი კამპანიის წამოწყება;
4. სკოლის ფსიქოლოგთა/მედიატორთა გადამზადება;
5. ბავშვთა ტოლერანტობა;
6. სკოლის მოსწავლეების წაყვანა წარმატებულ ორგანიზაციებში;
7. მშობელთა პედაგოგიზაცია;
8. საგზაო უსაფრთხოება მოზარდებისთვის;
9. სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი;
10. საბოლოო შედეგების კვლევა.

გარდა ამისა, ყველა სკოლას უნდა ჰქონოდა საევაკუაციო გეგმა; ჰყოლოდა კრიზისის მართვის ჯგუფი და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. დაიგეგმა სკოლის ფიზიკური სტანდარტების შემუშავება და აკრედიტაციის სტანდარტში ჩადება; კურიკულუმში ისეთი პროგრამები უნდა შესულიყო, რაც მიმართული იქნებოდა ჩაგვრის წინააღმდეგ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნივერსიტეტების ფსიქოლოგიის ფაკულტეტებთან უნდა დაედო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, მე-3და მე-4 კურსის სტუდენტები, კრედიტის მიღების სანაცვლოდ, სკოლებში ივლიდნენ და პედაგოგებს და მოსწავლეებს დაეხმარებოდნენ.

პროგრამის მიმართულებებისა და ქვეპროგრამების განხორციელება დაიწყო, შეიქმნა ქცევის კოდექსები, საპილოტე სკოლებში ინტერაქტიული თეატრი ამოქმედდა, შეიქმნა და საპილოტე სკოლებში გამოიცადა საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო, თანამშრომლობა დაიწყო პოლიციასთან. თუმცა, უსაფრთხო სკოლის პროგრამის საფუძვლიანი შეფასება არ მომხდარა.

2007-2008 წელს UNICEF-მა საქართველოში ჩაატარა კვლევა ბავშვთა ძალადობასთან დაკავშირებით. კვლევა ჩატარდა 93 სკოლაში თბილისიდან და ქვეყნის რეგიონებიდან. ასაკი 10-17 წელი იყო. კვლევის მიხედვით, 77.5% ყოველთვის უსაფრთხოდ გრძნობს თავს სკოლაში, 17.2% - ხშირად/როგორც წესი, 3.9% - ზოგჯერ, ხოლო 1.4% - არასდროს. ძალადობის მსხვერპლი უფრო ხშირად ბიჭები არიან, ვიდრე გოგონები. ძირითადად 10-13 წელია ასაკი, როცა მოსწავლეები ყველაზე ხშირად ხდებიან ძალადობის მსხვერპლი.

კვლევაში გამოყოფილი იყო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა და იგულისხმებოდა არა მხოლოდ თანატოლების, არამედ უფროსების მხრიდან ძალადობაც. ძალადობის ტიპების მიხედვით, პროცენტული მაჩვენებლები კვლევაში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**მოსწავლეების გამოცდილების შეჯამება – ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სექსუალური ძალადობა.**

ძალადობის ტიპი	გასულ წელს		ოდესმე	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ფიზიკური	612	47.1	802	61.7
ფსიქოლოგიური	617	47.5	733	56.4
სექსუალური	73	5.6	95	7.3

ამავე პერიოდში, UNICEF-თან თანამშრომლობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ კიდევ ერთი პროგრამა წამოიწყო - „ქალადობის შემცირება სკოლებში“. პროგრამის ფარგლებში შედგა სატრენინგო მოდული მასწავლებლებისა და სკოლის ადმინისტრაციისათვის და სახელმძღვანელოც გამოიცა. შეირჩა 16 ფასილიტატორი, რომლებიც სკოლებს ტრენინგებით ეხმარებოდნენ, იგეგმებოდა კასკადური ტრენინგ-პროგრამა, რომლითაც გადამზადდებოდნენ მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები (UNICEF, 2009). პროგრამის ფარგლებში გარკვეული ლონისძიებები განხორციელდა, თუმცა, ტრენინგებს მასშტაბური ხასიათი არ მიუღია და პროგრამის შეფასებაც ამ ეტაპზე ხელმიუწვდომელია.

2010-11 წლის გამოწვევებში, განათლების სამინისტროს გეგმებში ასევე აღნიშნულია უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა და განვითარება. ამ შემთხვევაში, კონცეფცია სამ ძირითად კომპონენტს მოიცავს:

- სასკოლო მანდატურების ინსტიტუტის შექმნა;
- სკოლების სამ საფეხურად დაყოფის პროცესის დაწყება დიდ ქალაქებში;
- მოსწავლის საკრედიტო ბარათების შემოღება და ფულის აკრძალვა.

ამ სამი ინიციატივიდან, ყველაზე აქტიურად მანდატურების ინსტიტუტის ჩამოყალიბება მიმდინარეობს. თითოეულ სკოლაში 3 მანდატურია და, ზოგადი განათლების კანონის მიხედვით, მათი მოვალეობა სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაა. მანდატურებს ევალებათ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლი, სკოლაში გამოვლენილი სამართალდარღვევის აღკვეთა, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან ურთიერთობა, მათ ქცევაზე დაკვირვება და კონტროლი, სკოლაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა. მანდატური უფლებამოსილია, დაესწროს სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით. ისინი დარღვევებს აფიქსირებენ, ოქმში აღწერენ და დირექტორს სთხოვენ რეაგირებას. თუ დირექტორი არ რეაგირებს, მანდატურები სამინისტროს აყენებენ საქმის კურსში.

პროგრამა თავდაპირველად თბილისის 7 სკოლაში განხორციელდა, შემდგომ კი მან თბილისის სკოლების უმეტესობა და დიდი ქალაქების სკოლები მოიცავა. მალე მანდატურები ყველა სკოლაში შევლენ. მანდატურის პოზიციის მოსაპოვებლად შესარჩევი კონკურსი და ამის შემდგომ 3 კვირიანი კურსი შსს-ს აკადემიაში შეუძლია გაიაროს 20 წლის ასაკიდან ნებისმიერმა ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელიც ფლობს სახელმწიფო ენას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფორმაციით, ჩატარებული კვლევის შედეგად (სამწუხაროდ, კვლევა ვერ მოვიძიეთ) გამოვლინდა, რომ მანდატურების წყალობით მოისპონ სკოლებში თამბაქოს მოხმარების ფაქტები;

80%-ით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანების ფაქტები;

75%-ით შემცირდა მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის ფაქტები (ე.წ. „შატალო“);

95%-ით აღმოიფხვრა ფულის გამოძალვის ფაქტები;

80%-ით შემცირდა მოსწავლეებს შორის დაპირისპირების ფაქტები;

90%-ით შემცირდა საჯარო სკოლებში ვანდალიზმის (სასკოლო ქონების დაზიანების) ფაქტები.

ამ ეტაპზე ასევე მიმდინარეობს თბილისის სკოლებში სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟება.

ამ ხნის მანძილზე საქართველოში სკოლის უსაფრთხოების ეგიდით განხორციელებული პროგრამების საფუძვლიანი კვლევა ჯერ კიდევ ჩასატარებელია.

### გამოყენებული ლიტერატურა

Bluestein, Jane. 2001. Creating Emotionally Safe Schools: A Guide for Educators and Parents. Florida: Health Communications, Inc.

Butcher, Katherine and Manning M. Lee. 'Creating Safe Schools". The Clearing House. 79, No. 1 (2005): 55-60.

Daniel, Yvette and Bondi, Karla. 'Safe Schools and Zero Tolerance: Policy, Programs and Practice in Ontario". Canadian Journal of Education Administration and Policy. 70, (2008): 1-20.

Federman, Joel. 1996. National television violence study I. Thousand Oaks, CA: Sage.

Federman, Joel. 1997. National television violence study II. Thousand Oaks, CA: Sage.

Federman, Joel. 1998. National television violence study III. Thousand Oaks, CA: Sage.

Limbos, Marry Ann P. and Carri Casteel. 'Schools and Neighbourhoods: Organizational and Environmental Factors associated with Crime in Secondary Schools." Journal of School Health. 78, No. 10 (2008): 539-544.

Maslow, Abraham. 1970. Motivation and Personality. New York: Harper and Row.

Morrison, Brenda. 2007. Restoring Safe School Communities: A Whole School Response to Bullying, Violence and Alienation. Sydney: The Federation Press.

Phillips Rick, Linney John and Pack Chris. 2008. Safe School Ambassadors: Harnessing Student Power to Stop Bullying and Violence. San Francisco: Jossey-Bass.

Schneider Tod, Walker Hill and Sprague Jeffrey. 2000. Safe School Design: A Handbook for Educational Leaders. Oregon: ERIC Clearinghouse of Educational Management.

Stuart W. Twemlow, Fonagy Peter and Franc C. Sacco. 'Feeling Safe at School".2002. <http://www.backoffbully.com/PDF%20files/FEELING%20SAFE%20IN%20SCHOOL.pdf>. Accessed April 14, 2011).

UNICEF. 'National Study on Violence Against Children in Georgia". 2007-2008. [http://www.unicef.org/georgia/Violence\\_Study\\_ENG\\_final.pdf](http://www.unicef.org/georgia/Violence_Study_ENG_final.pdf) (Accessed April 4, 2011).

UNICEF. 'Making Schools Safer". UNICEF in GEorgia, Newsletter, 1 (12), 2009. [http://www.unicef.org/georgia/NewsLetter2009\\_eng\\_web\(1\).pdf](http://www.unicef.org/georgia/NewsLetter2009_eng_web(1).pdf). (Accessed April 4, 2011).

Stephens, Ronald. Congressional Statement on 'Understanding Violent Children". National School Safety Center, 2005, <http://www.schoolsafety.us/about-us/congressional-statement-of-dr-ronald-stephens> (Accessed, April 5, 2011).

Analytical Department of the Ministry of Education and Science of Georgia. 'Safe School Program". 2007. [http://www.parliament.ge/files/1113\\_18770\\_647319\\_Shukakidze.pdf](http://www.parliament.ge/files/1113_18770_647319_Shukakidze.pdf). (Accessed April 12, 2011).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „გამოწვევები 2010—2011 წლებში”. 2010 <http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=mandaturebi&id=61&lang=geo>.

საქართველოს პარლამენტი. ცვლილებები კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. 2010. [http://www.parliament.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=69&kan\\_det=det&kan\\_id=368](http://www.parliament.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&kan_det=det&kan_id=368).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. „მინისტრმა და პოლიციის აკადემიის რექტორმა მანდატურების მუშაობა შეაჯამეს.” 05.01.2011. <http://www.mes.gov.ge/content.php?t=srch&search=mandaturebi&id=1841&lang=geo>.

### 3. უსაფრთხო სკოლა და საქართველოში მოქმედი კანონების განვითარება

#### 3.1 გზა დაცვითი რაღიაზაფილიან ცენტრალიზაციამდე

საქართველოში 2003 წლის რევოლუციის შემდეგ განათლების სისტემის რეფორმირების პროცესი საგრძნობლად გააქტიურდა. საზოგადოება თანხმდებოდა, რომ განათლების სისტემა მოძველებული იყო და მოდერნიზებას საჭიროებდა.

თუმცა, ზოგადი განათლების სისტემაში რეფორმების საწყისი ეტაპი (და განხორციელების პროცესი) უმტკივნეულო არ ყოფილა. რეფორმის კონცეფცია ეფუძნებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დაცვითობიზაციას, სკოლის თვითმმართველობების ჩამოყალიბებას, სკოლის ფინანსური რესურსების დაკავშირებას მოსწავლეთა რაოდენობასთან, სახელმძღვანელოების შერჩევის ახლებური წესის ჩამოყალიბებას, მასწავლებელთა გადამზადებასა და სერტიფიცირებას.

ეს, რა თქმა უნდა, არასრული ჩამონათვალია იმ საკითხებისა, რომლებიც ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის კონცეფციიდან გამომდინარეობდა. რეფორმების განხორციელება ახლებურ საკანონმდებლო რეგლამენტაციებს საჭიროებდა. შესაბამისად, დაიწყო ცვლილებების შეტანა სხვადასხვა დონის საკანონმდებლო აქტებში. საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა ახალი კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, ცვლილებები განხორციელდა საქართველოს კონსტიტუციის 35-ე მუხლში (რომელიც განათლების უფლებას აღიარებს). ახლად მიღებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე არაერთი კანონქვემდებარე აქტი გამოიცა.

ზოგადი განათლების რეფორმის კონცეფცია ნორმატიულ აქტად გარდაიქმნა და აისახა 2005 წლის 8 აპრილს მიღებულ კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. ალნიშნული კანონის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელსაც ავტონომიურობის მაღალი ხარისხი ჰქონდა. სკოლაში დირექტორის თანამდებობა არჩევითი იყო. მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ როგორც პედაგოგიური კოლექტივი, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობა და მშობლები.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის თანახმად, ზოგადი განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია:

- მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პირობების შექმნა;
- მოსწავლის გონიერი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, უზრუნველყოს:

- ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში;
- საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ჩართვა საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში;
- საჯარო სკოლის დამოუკიდებლობა რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანებებისაგან, ხოლო კერძო სკოლის დამოუკიდებლობა პოლიტიკური გაერთიანებებისაგან;
- ეროვნული შეფასებების, ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების და აკრედიტაციის სისტემების ჩამოყალიბება, რაც გულისხმობს სწავლების ხარისხის დადგენისა და შეფასების მეშვეობით ზოგად-საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მართვას;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მატერიალურ-ტექნიკური, პროგრამული და ადამიანური რესურსების ნორმატივების დადგენა;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომია;
- ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ძალადობის აღმოფხვრა;
- ინკლუზიური განათლების დანერგვა;
- მასწავლებელთა პროფესიის რეგულირება.

„ზოგადი განათლების შესახებ“ კანონმა არაერთი ცვლილება განიცადა. დღეს არსებული კანონი მნიშვნელოვნად განსხვავდება თავდაპირველი რედაქციისაგან. ნებისმიერი საკანონმდებლო აქტი, რომელიც რეფორმის განსახორციელებლად მიიღება, ბუნებრივია, მუდმივად განიცდის ცვლილებებისა და დამატებების საჭიროებას, მაგრამ ცვლილებები ეჭვის ქვეშ არ უნდა აყენებდეს აქტის კონცეფციას. ასეთ შემთხვევაში უმჯობესია ახალი საკანონმდებლო აქტის მიღება.

ჩვენს შემთხვევაში, კანონმა მიღებიდან დღემდე 30-ზე მეტი ცვლილება განიცადა, რომელთა ნაწილი არსებითად ცვლის კანონის არსს. ამ ცვლილებების ნაწილი ჩვენთვის საინტერესო კუთხით ქვევით იქნება მიმოხილული. სწორედ ასეთ საკითხებს განეკუთვნება სკოლების დეცენტრალიზაცია და უსაფრთხო სკოლა.

აღნიშნული ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს რაიმე სიახლის სამართლებრივი აღმოჩენის გაკეთება ან რაიმე საინტერესო მიგნების დემონსტრირება. მისი მიზანი გახლავთ ზოგადი განათლების სფეროში საკანონმდებლო კუთხით მიმდინარე პროცესების მოკლე ანალიზი. ამ ნაშრომს ვერ ექნება სრულყოფილებისა და ყოვლისმომცველობის პრეტენზია. ის აღნიშნულ თემებზე დისკუსიის დასაწყებად არის განკუთვნილი.

## სკოლის დეცენტრალიზაცია

როგორც უკვე აღინიშნა, ზოგადი განათლების სისტემის რეფორმირებისას დეცენტრალიზაციას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. ეს იყო ღერძი, რომელზეც მთელი სისტემის რეფორმირება აიგო. კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“ გაჯერებული იყო სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის სულისკვეთებით.

მიუხედავად ამისა, განხორციელებულმა ცვლილებებმა კანონს ეს სულისკვეთება ეტაპობრივად და ნაბიჯ-ნაბიჯ გამოაცალა. ვცადოთ, მიმოვისილოთ კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, რომლებმაც სკოლებში თვითმმართველობის როლი დაასუსტა და ცენტრალიზებული სისტემის ჩამოყალიბას დაუდო სათავე.

1. შესაძლებელი გახდა სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის იმ კანდიდატის განმეორებით წარდგენა, რომელიც დირექტორად არ აირჩიეს.

ერთ-ერთი პირველი ცვლილება, რომელიც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელდა და თვითმმართველობის შესუსტებისაკენ

იყო მიმართული, 2008 წლით თარიღდება (19.12.2008. N790). კანონის ძველი რედაქცია კრძალავდა სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის იმ კანდიდატის განმეორებით წარდგენას, რომელიც არ იქნა არჩეული დირექტორად. კანონის ახალმა რედაქციამ ეს მოთხოვნა გააუქმა. ცხადია, სამეურვეო საბჭო, რომელიც უარს აცხადებდა დირექტორად რომელიმე კანდიდატის დანიშვნაზე, ამ ცვლილების შემდეგ იძულებული ხდებოდა, განმეორებით წარდგენილი კანდიდატის დირექტორად არჩევისთვის ეყარა კენჭი. აღნიშნული ნორმის ცვლილება, თითქოს, უწყინარ ხასიათს ატარებს, მაგრამ, სინამდვილეში, ამ ცვლილებამ სამეურვეო საბჭო ნაკლებად დაცული გახდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზეწოლისაგან.

## **2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის უფლება მიენიჭა.**

ამავე ეტაპზე განხორციელებული ცვლილებებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიენიჭა უფლება, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი. კანონის მანამდე მოქმედი რედაქციით, დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებდა დირექტორის მოადგილე, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ბუნებრივია, კანონის ასეთი სახით რეგულირება იმთავითვე მიუთითებდა სამინისტროს სურვილზე, გაეზარდა სკოლის თვითმმართველობაში საკუთარი როლი. აღნიშნულმა პროცესებმა მოვიანებით უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო და სკოლის ავტონომიურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

## **3. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაუჩნდა უფლებამოსილება, გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო.**

ცვლილებების მეორე ნაკადი 2009 წლის 11 ივნისით თარიღდება. ამ ცვლილებების მიხედვით, სკოლის ავტონომიურობა მნიშვნელოვნად შეიზღუდა. კანონში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაუჩნდა უფლებამოსილება, გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს, — რაც დადასტურებულია

სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილებით. მსგავსი უფლებასამინისტროს მანამდეც ჰქონდა, თუმცა, გათავისუფლებამდე აუცილებელი გახლდათ გაფრთხილების გამოყენება, რაც განსაზღვრული იყო კანონის სხვა დებულებების მოთხოვნებით. ნორმისათვის აღნიშნული დათქმის გაკეთებით სამინისტროს სრული უფლება მიეცა, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს სამეურვეო საბჭო, — თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ დირექტორის გათავისუფლება უკანონო იყო.

შესაბამისად, ცვლილებები შევიდა კანონის იმ ნორმებშიც, რომლებიც სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხებს არეგულირებდა და შეიცვალა სამეურვეო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები. თუ მანამდე მოქმედი ნორმით, სამეურვეო საბჭოს დათხოვნა შესაძლებელი იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, თუკი საჯარო სკოლა წერილობით გაფრთხილებაში მითითებულ ვადაში არ აღმოფხვრიდა დარღვევას, ან/და სკოლა 1 წლის განმავლობაში 2 წერილობით გაფრთხილებას მიიღებდა, ახალი რედაქციით, საბჭოს უფლებამოსილება უწყდება, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდება, რომ დირექტორის გათავისუფლება უკანონო იყო.

**4. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით დაადგინოს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენისა და განხილვის ვადები და წესი.**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებები, რომლებიც სამეურვეო საბჭოს არჩევნებს უკავშირდება, სასამართლოში საჩივრდება და გადაწყვეტილებების გასაჩივრება სადაც აქტების მოქმედების შეჩერებას იწვევს. მსგავსი წესი დადგინდა დირექტორის არჩევასთან დაკავშირებით სასამართლოში გასაჩივრებული აქტების მოქმედების შემთხვევაში და ამ აქტების გასაჩივრება არ იწვევს მათი მოქმედების შეჩერებას.

**5. შეიცვალა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლის ცნება.**

ამავე ცვლილებებით შეიცვალა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტროლის ცნებაც. თუ კანონის მანამდე არსებული რედაქცია სახელმწიფო კონტროლად განიხილავდა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიონ პირობების შესრულებაზე ზედამხედველობას, ახალი ცვლილებებით, მას – საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულების ზედამხედველობისგარდა – დაემატა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე ზედამხედველობაც. შესაძლებელია ეს ცვლილება ახსნილი ყოფილიყო იმ აუცილებლობით, რომ სკოლები ლიცენზირებას აღარ ექვემდებარებოდნენ; მაგრამ სკოლის დავალდებულება, შესასრულოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, სკოლის ავტონომიურობას მკვეთრად ამცირებს.

აღნიშნული ინდივიდუალური აქტების შესრულებაზე კონტროლის განხორციელების მიზნით, სამინისტროს უფლება მიენიჭა, გამოითხოვოს მასალები და ინფორმაცია სკოლიდან, ან ადგილზე შეისწავლოს ის.

ამავე ცვლილებებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, რომ თუკი საკუთარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შეუსრულებლობას აღმოაჩენს, სკოლას წერილობითი გაფრთხილება მისცეს, ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე.

**6. სკოლის სამეურვეო საბჭოს დაეკისრა ვალდებულება, დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში განიხილოს.**

კანონმდებლობაში მოგვიანებით განხორციელებული ცვლილებებით, სკოლის სამეურვეო საბჭოს დაეკისრა ვალდებულება, დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში განიხილოს.

სამეურვეო საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუ სკოლის დირექტორს უფლებამოსილებას ვადამდე არ შეუწყვეტს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონი უფლებას აძლევს, არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და სკოლის დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვეტოს. დაინტერესებული მხარე წარდგინებას სასამართლოში ასაჩივრებს — დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტები სასამართლოში საჩივრდება და მათი გასაჩივრება არ იწვევს სადაც აქტების მოქმედების შეჩერებას.

**7. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიენიჭა უფლებამოსილება, ახალი დირექტორის არჩევამდე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს.**

დირექტორისათვის უფლებამოსილების (მათ შორის, ვადამდე) შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი დირექტორის კანონით გათვალისწინებულ არჩევამდე (დანიშვნამდე) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება მიენიჭა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს. თუ აღნიშნულის შემდეგ სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად არ/ვერ აირჩა დირექტორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია, დანიშნოს დირექტორი დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილება დირექტორის დანიშვნის თაობაზე საჩივრდება სასამართლოში და მისი გასაჩივრება არ იწვევს სადაც აქტის მოქმედების შეჩერებას.

**8. დირექტორის შვებულებით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა, გარდა სამეურვეო საბჭოს თანხმობისა, საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობას.**

განხორციელებული ცვლილებებით, დირექტორის შვებულებით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა, გარდა სამეურვეო საბჭოს თანხმობისა, საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე — განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროს) დისკრეციულ უფლებამოსილებად სამინისტროს) თანხმობას.

სკოლის დირექტორის შვებულებიდან გამოძახება კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე — განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროს) დისკრეციულ უფლებამოსილებად განისაზღვრა.

**9.** განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე სავალდებულოდ ნიშნავს ყველა საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში ერთ წევრს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის წარმომადგენელი ან პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან.

2010 წლის 15 დეკემბერს „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე სავალდებულოდ ნიშნავს ყველა საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში ერთ წევრს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის წარმომადგენელი, ან პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებული საჯარო სკოლების სამეურვეო საბჭოების წევრებს ნიშნავს განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტრო – მისი ცენტრალური აპარატის წარმომადგენელს ან პირს ტერიტორიული ორგანოს საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან).

განსხვავებით კანონის ძველი რედაქციისაგან, ასეთი წევრი აღარ ინიშნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით.

**10.** საბჭოს ის წევრი, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობას წარმოადგენს, შესაძლებელია არჩეული იყოს სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

ასევე შესაძლებელი გახდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრი არჩეულ იქნას სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

**11.** სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს.

ცვლილებების თანახმად (37-ე მუხლის მე-51 პუნქტი) სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ

წარმომადგენელს. კანონის თანახმად, თუ რიგგარეშე სხდომას საბჭოს თავმჯდომარე არ ესწრება, აირჩევა სხდომის თავმჯდომარე, რომელიც შესაძლებელია იყოს სწორედ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული წარმომადგენელი და ის უფლებამოსილებას კონკრეტული სხდომის ფარგლებში ახორციელებს, როგორც საბჭოს თავმჯდომარე.

როგორც უკვე აღინიშნა, კანონის დღეს არსებული რედაქცია ბაზებს კითხვას, რამდენად შეესაბამება საკუთრივ მისი დებულებები რეფორმის მიზნებს, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ ფინანსურად და ადმინისტრაციულად ავტონომიურ ერთეულებად და მომხდარიყო სისტემის დეცენტრალიზაცია. ის გზა, რომელიც კანონის მიღების შემდეგ სახელმწიფომ აირჩია ზოგადი განათლების სფეროში რეფორმების განსახორციელებლად, ცხადია, განსხვავდება თავდაპირველად დასახული რეფორმის მიზნებისაგან.

### **3.2 საოლების უსაფრთხოება ზოგადი განათლების შესახებ კანონის მიხედვით**

საქართველოს კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“ 2010 წლის 21 ივლისს განხორციელებული ცვლილებებით გამოჩენდა მანამდე ზოგადი განათლების სისტემისათვის უცხო ინსტიტუტი, მანდატური. მანდატურს მიენიჭა უფლება, რომ სათანადო მტკიცებულებების არსებობისას, დასაბუთებული ვარაუდის შემთხვევაში, თუ პირადი გასინჯვის<sup>6</sup> შედეგად გამოვლინდებოდა სკოლის შინაგანანერესით გათვალისწინებული გადაცდომა, განეხორციელებინა მოსწავლის პირადი გასინჯვა სკოლის დირექტორის ან სკოლის დირექციის წარმომადგენლის ნებართვით ან ზედამხედველობით.

მოგვიანებით ცვლილებები და დამატებები უფრო მასშტაბური გახდა და „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს დაემატა ცალკე X<sup>1</sup> თავი, რომელიც სწორედ მანდატურის სამსახურის წესს ადგენს. ამავდროულად, ცვლილებები შეეხო კანონის სხვა მუხლებსაც. მოქმედი რედაქციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისავე სისტემაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – საგანმანათლებლო დაწესებულების

6 პირადი გასინჯვა — მოქმედება, რომლის მიზანია დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვაია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და დოკუმენტის, რომელიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენა და ამოღება. სკოლაში საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის, ხოლო მანდატურის არარსებობის შემთხვევაში - სკოლის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ.

მანდატურის სამსახურს (შემდგომ — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური), რომლის ამოცანაა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა.

აღნიშნული სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ახორციელებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური (შემდგომ სამსახური) - ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე — „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და ამ დებულებით დადგენილ ფარგლებში და წესით.

სამსახურის დებულებას, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკის კოდექსსა და მანდატურის სამსახურის მიერ ხელშეკრულებების საფუძველზე გაწეული მომსახურების საფასურს ამტკიცებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

სამსახური საკუთარი სახელით იძენს უფლებებსა და მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩევედ და მოპასუხედ.

სამსახურის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, მ. ალექსიძის ქუჩა №1.

### სამსახურის მიზანია:

- საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოსწავლეთა/სტუდენტთა ჯანმრთელობისათვის და სიცოცხლისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებებში და მიმდებარე ტერიტორიაზე ჯანმრთელობისა და სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, აგრეთვე ნარკოტიკული დანაშაულის აღკვეთა;
- მოზარდ მოსწავლეთა შორის ურთიერთდაპირისპირების აღმოფხვრა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების ტერიტორიაზე მოსწავლეთა/სტუდენტთა მიერ ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების, ალკოჰოლური და ნარკოტიკული საშუალებების გავრცელების აღმოფხვრა.

## ხელმძღვანელობა

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. სამსახურის უფროსი უმაღლესი განათლების მქონე პირი უნდა იყოს. იგი საქმეებს ერთპიროვნულად უძლვება. მასვე ეკისრება სამსახურის წარმომადგენლობა. უფროსი პასუხისმგებელია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, მინისტრის ბრძანებების და დავალებების შესრულებაზე.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსი:**

- ხელმძღვანელობს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის საქმიანობას, პასუხს ავებს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ამოცანების შესრულებისათვის;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამსახურის თანამშრომლებს, აფორმებს მათთან შრომით ხელშეკრულებებს, მათ მიმართ გამოიყენებს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს.
- უზრუნველყოფს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მითითებების დროულ და სათანადო შესრულებას;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურებს აძლევს შესაბამის მითითებებს მათ მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებით;
- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და პირობების დაცვით უფროსი მინისტრს შესათანხმებლად წარუდგენს სამსახურის საშტატო განრიგს და სახელფასო ფონდს. უფროსი ამტკიცებს სამსახურის შინაგანაწესს, რომლის დაცვა ევალება სამსახურის თითოეულ თანამშრომელს.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს წარუდგენს განვითარების მუშაობის თაობაზე რეკომენდაციებსა და სტატისტიკურ ანგარიშს;
- უზრუნველყოფს სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობის კონტროლს.
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს.

- სამინისტროს წარუდგენს წინადადებებს სამსახურის დეპულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, სამსახურის საქმიანობის სრულყოფის შესახებ.
- სამინისტროს წარუდგენს სამსახურის საქმიანობის შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს.
- ახორციელებს სხვა ადმინისტრაციულ ფუნქციებს.

შვებულების, სამსახურებრივი მივლინების ან მის მიერ მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობის შემთხვევების დროს, უფროსის მოვალეობებს ასრულებს უფროსის პირველი მოადგილე.

უფროსის პირველ მოადგილეს და მოადგილეებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ხოლო მათ უფლებამოსილებებს განსაზღვრავს უფროსი. სამსახურის დაფინანსების წყაროებია შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები, მიზნობრივი გრანტები, საკუთარი საქმიანობით მიღებული შემოსავლები და საქართველოს კანონმდებლობით წებადართული სხვა შემოსავლები. აღნიშნული სახსრები და შემოსავლები მთლიანად ხმარდება სამსახურის მიზნებისადაფუნქციების განხორციელებას. სამსახურის სახსრების სხვა მიზნით გამოყენება აკრძალულია.

სამსახურის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მისი საქმიანობის კანონიერების, მიზანშენონილობის, ეფექტიანობისადასაფინანსო-ეკონომიკურისა და საქმიანობის ზედამხედველობას. კონტროლს ახორციელებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, რომელსაც უფლება აქვს, კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია მოითხოვოს.

სამინისტრო უფლებამოსილია, შეაჩეროს ან გააუქმოს სამსახურის არამართლზომიერი გადაწყვეტილება. სამსახური ვალდებულია სამინისტროს მოთხოვნისთანავე წარუდგინოს საქმიანობის ანგარიში. სამსახურის წლიურ ბალანსს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში და წესით, ამონებს სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი.

## მანდატური

კანონის თანახმად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) არის ნასამართლობის არმქონე;
- ბ) არის საქართველოს მოქალაქე;

- გ) ქმედუნარიანია;
- დ) არის 20 წლის ასაკის;
- ე) ფლობს სახელმწიფო ენას;
- ვ) სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- ზ) გავლილი აქვს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული მოსამზადებელი კურსები (აღნიშნული კურსი სწავლების სხვა კომპონენტებთან ერთად უნდა ითვალისწინებს მოსწავლის/სტუდენტის ასაკობრივი განვითარების კანონზომიერებებს და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის პროფესიულ ვალდებულებებსა და ღირებულებებს).

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ატარებს სამსახურებრივ ფორმას, რომელ-საც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. მანდატური ხელშეკრულებების საფუძველზე უზრუნველყოფს საზოგა-დოებრივი წესრიგის დაცვას.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეობები**  
**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის უფლება-მოვალეო-ბებია:**

- საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრების კონტროლი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდებარე ტერი-ტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთა და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება (ცივი იარაღის ტარების, ნარკოტიკული საშუალებების შენახვა-მოხმარების, ჯანმრთელობის დაზიანების, თამბაქოს რეალიზაციის წესების დარღვევის, წვრილმანი ხულიგნობისა და სხვა ქმედების შესახებ, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და ხელს უშლის სასწავლო პროცესის მიმდინარეობას);

- საგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოს, დირექციის, მასწავლებლის, რექტორის და აკადემიური პერსონალის თხოვნით, სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეებთან/სტუდენტებთან ურთიერთობა, მათთან ინდივიდუალური გასაუბრება, მათ ქცევაზე დაკვირვება და მათი კონტროლი;
- მოსწავლეებისათვის/სტუდენტებისათვის სამოქალაქო თავდაცვასთან, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან და სისხლის სამართლის დანაშაულებთან და მათ შედეგებთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება;
- მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირის ინფორმირება სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა ქცევის შესახებ;
- საგანგებო სიტუაციებში (ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა) მოსწავლეთა/სტუდენტთა, საგანმანათლებლო დაწესებულებაში მომუშავე და იქ მყოფი სხვა პირების დაცვა და მათი ევაკუაციისათვის ხელის შეწყობა;
- დაპირისპირებულ მოსწავლეებს/სტუდენტებს შორის მედიატორის როლის შესრულება, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენა და კონფლიქტის მოგვარება;
- სოციალური ქცევის პრობლემების მქონე მოსწავლეთა/სტუდენტთა მშობლებთან შეხვედრებში მონაწილეობა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების შინაგანაწესის შესრულების კონტროლი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევის შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ფორმის შესაბამისი საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევის აღრიცხვის ფურცლის შედგენა და საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისი უფლებამოსილი პირისათვის და საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსისათვის წარდგენა;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოვლენილი დარღვევების ელექტრონული საინფორმაციო ბაზის შექმნა;
- დისციპლინური გადაცდომის იარაღის, იმ საგნის, რომელსაც დისციპლინური გადაცდომის კვალი ატყვია, დისციპლინური გადაცდომით მოპოვებული ნივთის და ფასეულობის, აგრეთვე იმ საგნის და

დოკუმენტის, რომლებიც საჭიროა დისციპლინური გადაცდომის გარემოებათა გასარკვევად, აღმოჩენისა და ამოღების მიზნით პირადი გასინჯვის ჩატარება;

- საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში სპეციალური საშუალებების გამოყენება.

ამავდროულად, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური უფლებამოსილია, სათათბირო ხმის უფლებით დაესწროს საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების სხდომებს და მათ წინაშე დააყენოს მისი უფლებამოსილებისთვის მიკუთვნებული საკითხები. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი და მას სახელმწიფო იცავს. მისი კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა ფიზიკური პირისთვის.

არავის აქვს უფლება, ჩაერიოს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურებრივ საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის ხელის შეშლა, მისი პატივისა და ღირსების შელახვა, მისთვის წინააღმდეგობის გაწევა, მის მიმართ მუქარა, ძალადობა ან მისი სიცოცხლის, ჯანმრთელობის ან ქონების ხელყოფა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. ზოანი, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიადგა, მას სრულად აუნაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დაღუპვის შემთხვევაში, მის ოჯახს (მემკვიდრეს) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 15 000 ლარისა. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო ანაზღაურებს. სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის დასახიჩრების ან/და

დაინვალიდების შემთხვევაში, მას – სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება არა უმეტეს 7 000 ლარისა. მანდატურის საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ფარგლებში, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურისათვის შეიძლება განისაზღვროს ამ კანონით გაუთვალისწინებელი სოციალური დაცვის დამატებითი ორნისძიებები და შეღავათები.

**საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის მიერ ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შემთხვევები და წესი.**

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მსუბუქი ზომების გამოყენებით შეუძლებელია მისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურს ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების უფლება აქვს შემდეგ შემთხვევებში:

- სამართალდარღვევის აღკვეთისას და სამართალდამრღვევის დაკავებისას;
- საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფ პირზე თავდასხმის მოგერიებისას;
- სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების დროს მისთვის წინააღმდეგობის განვისას;
- დაკავებულის პოლიციისათვის წარდგენისას, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისათვის, რომ დაკავებული მიმაღლება ან ზიანს მიაყენებს გარშემოყოფთ.

საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატური ვალდებულია, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების დროს გააფრთხილოს პირი ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ, მისცეს მას საკმარისი დრო მისი მოთხოვნების შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დაყოვნება საფრთხეს შეუქმნის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან გამოიწვევს სხვა მძიმე შედეგებს, ან როცა წინასწარ გაფრთხილება შეუძლებელია.

მანდატურმა ფიზიკური ძალა და სპეციალური საშუალებები უნდა გამოიყენოს საფრთხის ხასიათის შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ მიყენებული ზიანი მინიმალური იყოს.

ნებისმიერ შემთხვევაში, ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენებიდან 24 საათის განმავლობაში, მანდატურმა წერილობით, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მეშვეობით შეატყობინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს; მანდატურმა აღნიშნული საშუალებების გამოყენებისას საფრთხე არ შეუქმნას გარშემოყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

**შენიშვნა:** მანდატურს ეკრძალება ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება ფეხმძიმე ქალისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათი მოქმედებით აშკარა საფრთხე ექმნება საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ან სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

არსებობს საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის ეთიკის კოდექსი, რაც მანდატურის ქცევის სავალდებულო ნორმების, დისციპლინური გადაცდომისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეების, დისციპლინური წარმოების, მათ შორის, დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანოს შექმნის, წესების ერთობლიობაა.

სკოლა ვალდებულია, შექმნას ჯანმრთელობისათვის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო სასკოლო დროს სკოლის შენობაში, აგრეთვე, მის მიმდებარე ტერიტორიაზე. ამ მიზნით, კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება – უფლებამოსილია საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან გააფორმოს მომსახურების ხელშეკრულება. საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მომსახურება ფინანსდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მანდატურის ეთიკის კოდექსი მანდატურის ზოგადი ქცევის წესებს განსაზღვრავს. აღნიშნული წესების მიხედვით, მანდატური თავის საქმიანობაში უნდა ეყრდნობოდეს პროფესიონალიზმს და ეთიკურ ნორმებს, იგი მუდმივად უნდა აკონტროლებდეს თავის მოქმედებას, გრძნობებსა და ემოციებს. მანდატური უნდა იყოს ობიექტური ყველას მიმართ, მიუხედავად მათი ასაკობრივი თუ სოციალური სტატუსისა. მანდატური ვალდებულია, იყოს თავაზიანი და დაიცვას პროფესიული და კოლეგიალური ეთიკის

ნორმები. იგი მუდმივად უნდა იმაღლებდეს პროფესიულ უნარ-ჩვევებს და კვალიფიკაციას. მანდატურმა სამსახურებრივი მოვალეობა ყოველთვის უნდა შეასრულოს კანონის ფარგლებში, დაიცვას საგანმანათლებლო დაწესებულებაში საზოგადოებრივი წესრიგი და უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო. მან პატივი უნდა სცეს და დაიცვას ადამიანის ფუნდამენტური უფლებები, თავისუფლება და ღირსება.

მანდატური არ ეწევა რელიგიურ ან პოლიტიკურ პროპაგანდას საგანმანათლებლო დაწესებულებაში, იცავს კონფიდენციალობას, პუნქტუალურია - დროულად ცხადდება სამსახურში, ეფექტურად განკარგავს სამუშაო დროს და არ იყენებს სტატუსს პირადი პრივილეგიებისთვის.

### მანდატურს ეკრძალება:

- სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს იმყოფებოდეს ალკოჰოლის, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;
- თამბაქოს მოწევა სპეციალურად გამოყოფილი ადგილების გარდა;
- სამორინექსა და სხვა გასართობ დაწესებულებებში შესვლა ფორმით;
- ცინიკური გამონათქვამები, უარგონით საუბარი და სხვათა პატივისა და ღირსების შელახვა.

მანდატურის ურთიერთობა მოსწავლეებთან/სტუდენტებთან, მასწავლებლებთან/ ლექტორებთან და მშობლებთან დამყარებული უნდა იყოს ურთიერთთანამშრომლობისა და ნდობის პრინციპზე. მანდატური მოსწავლეს/სტუდენტს უნდა დაეხმაროს პიროვნებისადმი პატივისცემის, დისციპლინის, ქცევის, ნებისყოფისა და სიძნელეების გადალახვის უნარის გამომუშავებაში. მანდატური პატივისცემით ეპყრობა მასწავლებელს/ ლექტორს, საგანმანათლებლო დაწესებულების დირექციას და საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებულ სხვა პირებს, მიუხედავად მათი პროფესიული გამოცდილებისა თუ პიროვნული თავისებურებებისა.

მანდატური მოსწავლეებთან/სტუდენტებთან ურთიერთობაში უნდა იყოს განონასწორებული, არ უნდა ახდენდეს ფსიქოლოგიურ ზენოლას მოსწავლეებზე/სტუდენტებზე, უნდა შეეძლოს კონფლიქტური სიტუაციების პრევენცია და მათი განმუხტვა.

მანდატური უნდა ატარებდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებულ ფორმის ტანსაცმელს. იგი უნდა ზრუნავდეს ფორმის ტანსაცმლის სისუფთავეზე, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაზე, პირად ჰიგიენაზე და არ უნდა გამოიყურებოდეს შეუსაბამოდ.

### **მანდატურის დისციპლინური გადაცდომის სახეები**

#### **დისციპლინური გადაცდომა:**

- სამსახურებრივ მოვალეობათა შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება;
- სამსახურებრივი მოვალეობისადმი დაუდევარი დამოკიდებულება;
- მანდატურის სამსახურისათვის ან/და საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის ქონებრივი ზიანის მიყენება, ან ასეთი ზიანის წარმოშობის საშიშროების შექმნა;
- ზნეობრივ-ეთიკური ნორმების წინააღმდეგ, თანამშრომლის, პედაგოგის/ლექტორის, მოსწავლის/სტუდენტის, მშობლის, მანდატურის სამსახურის ან საგანმანათლებლო დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული ულირსი საქციელი, განურჩევლად მისი ჩადენის ადგილისა;
- სამსახურში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
- შრომის დისციპლინის დარღვევა;
- საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის კოდექსის დარღვევა;
- სამსახურებრივი დოკუმენტაციის დაკარგვა ან არასრულყოფილად შევსება;
- სამსახურში ალკოჰოლური სასმელების ზემოქმედების ქვეშ გამოცხადება ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ალკოჰოლური სასმელის მიღება ფორმის ტანსაცმლით, ან არაფხიზელ მდგომარეობაში ყოფნა ფორმის ტანსაცმლით;
- შეუფერებული ვარცხნილობის ტარება, პირადი ჰიგიენის დაუცველობა, მიუღებელი სამკაულის ტარება (პირსინგი) და ტატუირება;
- თამბაქოს მოწევა, გარდა ამისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა;
- სამსახურში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დამტკიცებული ფორმის ტანსაცმლის გარეშე გამოცხადება ან ფორმის მთლიანობის დარღვევა;

- სამსახურებრივი მოწმობის დაკარგვა, დაგირავება ან პირადი მიზნებისთვის გამოყენება;
- სამსახურებრივი სარგებლობისათვის მასზე გადაცემული მატერიალური ფასეულობების დაკარგვა ან ბრალეულად დაზიანება;
- სამსახურებრივი სარგებლობისათვის მასზე გადაცემული ფორმის ტანსაცმლის, ეკიპირების, აღჭურვილობის და სპეციალური საშუალებების სხვა პირისთვის გადაცემა ან გასხვისება;
- სამსახურის თვითნებური მიტოვება.

### დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები

დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, მანდატურის მიმართ გამოყენება შემდეგი დისციპლინური პასუხისმგებლობის სახეები:

- გაფრთხილება;
- საყვედური;
- სასტიკი საყვედური;
- ათი სამუშაო დღის ხელფასის დაკვება;
- სამსახურიდან დათხოვნა (გათავისუფლება).

მანდატურის მიმართ დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დაყენება შეუძლია მშობელს, მოსწავლეს/სტუდენტს, მასწავლებელს/ლექტორს, საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურულ ერთეულებს და სსიპ – საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მონიტორინგის სამმართველოს (შემდგომში – მონიტორინგის სამმართველო), თანამშრომელს წერილობითი ფორმით (წარდგინებით) დისციპლინური სახდელის შეფარდების შესახებ, რასაც თან უნდა ახლდეს დისციპლინური გადაცდომის ამსახველი მასალა/დასაბუთება.

დასაბუთებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები: მანდატურის სახელი და გვარი, თანამდებობა, დისციპლინური გადაცდომის არსი, მონაცემები, რომლებიც ადასტურებს გადაცდომის ფაქტს, დასაბუთება შესაძლო დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თარიღი. დისციპლინური სახდელი გამოიყენება გადაცდომის გამოვლენისთანავე, მაგრამ არა უგვიანეს 1 წლისა მისი გამოვლენის დღიდან, მანდატურის ავადმყოფობის ან შვებულებაში ყოფნის დროის ჩაუთვლელად. დისციპლინური სახდელი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გადაცდომის ჩადენის დღიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო

რევიზიის ან საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შემოწმების შედეგების მიხედვით, არა უგვიანეს 2 წლისა — მისი ჩადენის დღიდან. ამ ვადაში არ შედის სამსახურებრივი შემოწმებისა და სისხლის სამართლის საქმის წარმოების დრო. დისციპლინური გადაცდომისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთი დისციპლინური სახდელი.

მანდატურის სამსახურის უფროსს შეუძლია დისციპლინური წარმოების დაწყებიდან 24 საათის განმავლობაში მანდატური ჩამოაშოროს სამსახურს. ასეთი საფუძვლით სამსახურს ჩამოშორებულ მანდატურს უნარჩუნდება ხელფასი.

#### **დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების საფუძველია:**

- დაინტერესებული პირის საჩივარი ან შუამდგომლობა;
- დაზარალებულის საჩივარი;
- დისციპლინური დარღვევის ფაქტი;
- ცხელი ხაზიდან შემოსული შეტყობინება (გარდა ანონიმურისა);
- პრესაში, ტელევიზიით ან სხვა საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

მანდატურის მიერ დისციპლინური გადაცდომის განხილვის მიზნით, სამსახურის უფროსის ბრძანებით, იქმნება დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო 5 წევრის შემადგენლობით, რომელიც განიხილავს საკითხს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო უფლებამოსილია, თუ მას ესწრება, სულ მცირე, 3 წევრი მაინც. გადაწყვეტილება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით მიიღება. საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად არსებობს 1 თვის ვადა – საქმის წარმოებაში მიღებიდან. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო დისციპლინური საქმის განხილვისას ადგეს ოქმს, რომელსაც ხელს აწერს თავმჯდომარე და მდივანი. დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო ვალდებულია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შემდეგ.

დისციპლინური გადაცდომის განმხილველი ორგანო მსჯელობს დისციპლინური გადაცდომის იმ სახეებზე, რომელიც ეხება სამსახურიდან გათავისუფლების და 10 დღის ხელფასის დაქვითვის საკითხს. სხვა დისციპლინური პასუხიმგებლობის სახეების დაკისრების შესახებ

გადაწყვეტილებას ღებულობს სამსახურის უფროსი, მონიტორინგის სამმართველოს დასკვნის საფუძველზე (მონიტორინგის სამმართველოს დასკვნა სამსახურის უფროსისთვის სარეკომენდაციის ხასიათის დოკუმენტია).

დისციპლინური სახდელის გამოყენებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას ჩადენილი გადაცდომის შინაარსი და სიმძიმე, შედეგები, აგრეთვე, ჩადენის გარემოებები, მანდატურის პიროვნება და დამსახურება. დისციპლინური გადაცდომის ამსახველი დასკვნა და ბრძანება დისციპლინური სახდელის შეფარდების თაობაზე შეიტანება მანდატურის პირად საქმეში.

დისციპლინური სახდელი შეიძლება ვადაზე ადრე იქნას მოხსნილი, თუ მანდატურმა ახალი გადაცდომა არ ჩაიდინა და თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა თანამშრომელმა და სახდელის დადებიდან გასულია სულ მცირე 3 თვე მაინც. დისციპლინური სახდელი ვადაზე ადრე შეიძლება მოხსნას სამსახურის უფროსის მიერ. დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა შეიტანება მანდატურის პირად საქმეში. თუ მანდატურს ერთი წლის ვადაში არ შეეფარდა ახალი დისციპლინური სახდელი, იგი ითვლება დისციპლინური პასუხისმგებლობის არმქონედ.

მანდატურის სამსახურის მომსახურებით შეუძლიათ ისარგებლონ როგორც საჯარო, ისე კერძო სამართლის იურიდიულ პირებად რეგისტრირებულმა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებმა. თუმცა, საჯარო სკოლებთან მიმართებით, მანდატურის სამსახურის მომსახურება სავალდებულო ხასიათისაა. აღნიშნული საკითხი იმდენადაა პრობლემატური, რამდენადაც სკოლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ზედამხედველობა ეკისრება პირს, რომელიც პასუხისმგებელი არ არის სკოლის დირექციის წინაშე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საჯარო სკოლების ავტონომიურობის ხარისხი კიდევ უფრო დაეცა იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მანდატურის სამსახურის ფუნქცია სკოლაში განისაზღვრება არა თავად სკოლის მოთხოვნილებების საფუძველზე, არამედ სამინისტროს შეხედულებისამებრ. აღნიშნული სამსახური მკაცრად ცენტრალიზებული უწყებაა, რომელიც განათლებისა და მეცნიერების მინისტრს ექვემდებარება. ის ამავდროულად კონტროლს ახორციელებს სკოლაში შინაგანაზესის დაცვაზე, მოსწავლეთა ქცევაზე და ა.შ.

## 4. დეცენტრალიზაცია და მონიტორინგი

### 4.1 შესავალი

კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლას ანიჭებს უფლებებს, რომლებმაც მის დამოუკიდებლობას უნდა შეუწყოს ხელი. თანამედროვე სკოლის წარმატებისთვის მნიშვნელოვანია მისი ეფექტური თანამშრომლობა ადგილობრივ თემთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშობლებთან, სხვა სკოლებთან.

თანამედროვე სკოლა გულისხმობს მომავალი თაობის აღზრდას ისეთ ვითარებაში, სადაც რეალიზებული იქნება სკოლის მონაწილეობითი მართვა და არ მოხდება გადაწყვეტილებების მიღება „ზემოდან“ მოწოდებული ინსტრუქციების შესაბამისად.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების სკოლასთან თანამშრომლობის სურვილს გამოთქვამენ. თუმცა, დღეს არა მხოლოდ თანამშრომლობა, სკოლებიდან ინფორმაციის მიღებაც კი პროცედურულად გართულებულია. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის დიმიტრი შაშვინის №837 ბრძანების მიხედვით (2010 წლის 12 ნოემბერი), სკოლებთან თანამშრომლობის ნებისმიერი ინიციატივა შეთანხმებული უნდა იყოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. შეთანხმების პროცესი კი საკმაოდ რთულია. ხშირ შემთხვევაში, ვერ ხერხდება თანხმობის მიღება.

ზოგადი განათლების შესახებ კანონი აღიარებს რომ:

- ✓ სამეურვეო საბჭო სკოლის თვითმმართველობის უმაღლესი ორგანოა,
- ✓ სკოლის მართვა უნდა ხორციელდებოდეს საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

ამავე კანონის მიხედვით, სკოლა ჯერ კიდევ დეცენტრალიზებული ინსტიტუციაა. თუმცა, სკოლებთან თანამშრომლობის საკითხი მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან წერილობითი დასტურის შემთხვევაშია შესაძლებელი.

#### კითხვები:

- ✓ ვინ მონაწილეობს რეალურად სკოლის პრიორიტეტების განსაზღვრასა და საქმიანობების დაგეგმვაში?

- ✓ ვინ მართავს სკოლის ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს?
- ✓ ვინ ახორციელებს სკოლაში მიმდინარე საქმიანობების მონიტორინგს/კონტროლს?
- ✓ როგორ არის ჩართული სამეურვეო საბჭო სკოლის ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში?

საკითხის განხილვისა და გააზრების მიზნით, გავეცნოთ დეცენტრალიზაციისა<sup>7</sup> და მონაწილეობისა<sup>8</sup> არსა.

#### 4.2 დეცენტრალიზაცია

დეცენტრალიზაცია პროცესია, რომლის საშუალებითაც გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მთავრობის მაღალი ინსტანციიდან გადაეცემა დაბალ ინსტანციას და თვით სკოლებსაც კი (დონალდ რ. უინკლერი). დეცენტრალიზაცია წამყვანი პოლიტიკური მიმართულებაა ბევრ ქვეყანაში. დეცენტრალიზაცია მოიცავს პასუხისმგებლობის გადანაწილების სამ ტიპს: დევოლუცია, დეკონცენტრაცია და დელეგირება.

დევოლუცია არის იურიდიული ან კონსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების მუდმივი უფლებამოსილება, მიმართული მთავრობის მაღალი დონიდან დაბალი დონეებისკენ.

დეკონცენტრაცია არის გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადასვლა მაღალი დონიდან დაბალი დონეებისკენ ხელისუფლების ერთი და იმავე სფეროს ფარგლებში.

დელეგირება კი ნიშანავს გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადასვლას სხვა ინსტიტუციაზე.

სამივე ტიპის დეცენტრალიზაცია ჩვეულებრივი მოვლენაა სხვადასხვა ქვეყნის განათლების სექტორში. ჩვენს ქვეყანაში გადაწყვეტილების მიღება გადანაწილებულია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სკოლის დონეზე.

---

<sup>7</sup> სტატიაში მოცემულია დეცენტრალიზაციის განმარტება რობერტ უინკლერის მიხედვით. Municipal and private sector response to decentralization and school choice, Donald R. Winkler and Taryn Rounds, 1999

<sup>8</sup> სტატიაში მოცემულია მონაწილეობის განმარტება შერი ერნშტეინის მიხედვით, “A ladder of Citizen Participation” Sherry Arnstein, 1969

### კითხვები

- ✓ რატომ განახორციელეს სისტემის დეცენტრალიზაცია წარმატებულმა ქვეყნებმა?
- ✓ არის თუ არა დეცენტრალიზაცია დადებითი მოვლენა განათლების ხარისხის ხელმისაწვდომობისა და სისტემის ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით?
- ✓ როგორ უზრუნველვყოთ კანონში დეკლარირებული სკოლების დეცენტრალიზაცია ცხოვრებაში? როგორია საზოგადოების როლი ამ პროცესში?

### 4.3 მონაცემლეობა

ახლა მოკლედ გავეცნოთ მონაწილეობის არსს შერი ერნშტეინის მიხედვით – დეცენტრალიზაციის მხარდამჭერი ერთ-ერთი რგოლის, ყველა საჯარო სკოლაში არჩეული სამეურვეო საბჭოს მაგალითზე.

შერი ერნშტეინმა ჩამოაყალიბა სამოქალაქო მონაწილეობის კიბის განმარტება (Sherry Arnstein, 'A Leader of Citizen Participation", 1969), სადაც მონაწილეობის დონეები წარმოდგენილია კიბის საფეხურების სახით. თითოეულ დონეს თითოეული საფეხური შეესაბამება. სქემის მიხედვით, არსებობს ცრუმონაწილეობა, სიმბოლური მონაწილეობა და გადაწყვეტილების მიღება.

#### ა) ცრუმონაწილეობა

მონაწილეობის ყველაზე დაბალი საფეხურებია **მანიპულაცია** და **თერაპია**. ამ დროს საზოგადოების წარმომადგენლები არ მონაწილეობენ პროცესების დაგეგმვასა და მართვაში, მიმდინარეობს მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენელთა „განათლება“ და „გაჯანსაღება“. **მანიპულაციის** დროს, სკოლაში არსებობს ისეთი სამეურვეო საბჭო, რომელსაც საკუთარი აზრი არ გააჩნია. საბჭოს „შემქმნელს“ სურვილი აქვს, კერძო ინტერესებით იმოქმედოს, სურს, იზრუნოს სამეურვეო საბჭოს წევრთა „განათლება – გათვითცნობიერებაზე“. ეს მონაწილეობის ყველაზე დაბალი საფეხურია, როდესაც ძალაუფლების მქონე გადაწყვეტილებას ცენტრალიზებულად იღებს და სკოლის პრიორიტეტებსაც თავადვე განსაზღვრავს. სამეურვეო საბჭო მხოლოდ ამტკიცებს მიღებულ გადაწყვეტილებას.

მონაწილეობის ამ ილუზორული ფორმის დროს ენყობა საბჭოს სახდომები, რომლებზეც უკვე გადაწყვეტილ საკითხებს განიხილავენ. საჭიროა სამეურვეო საბჭოს მხოლოდ ფორმალური თანხმობა გარკვეულ საკითხებზე. მონაწილეობის ნიღბით შეფარული თერაპია კიბის მეორე საფეხურია. მიმდინარეობს სამეურვეო საბჭოს გაჯანსაღებაზე ზრუნვა. სამეურვეო საბჭოს წევრები ჩართულნი არიან საქმიანობებში, მაგრამ ამ საქმიანობების მათი „გამოსწორება“ და არა სიტუაციის რეალური ცვლილება. თერაპიის დროს სამეურვეო საბჭოს ძალაუფლების მქონენი ზოგადი შინაარსის პუბლიკაციებს უგზავნიან, ტრენინგებს უტარებენ, თუმცა, მათი ჩართულობა სკოლის ცხოვრებაში კვლავაც დაბალია. სწორედ ამიტომაა, რომ გადაწყვეტილების მიმღები პირებისგან ხშირად გვესმის:

სამეურვეო საბჭო არ არის ქმედუნარიანი და მას არ შეუძლია, მონაწილეობა მიიღოს სკოლის განვითარების გეგმის შედგენასა და პროცესების მონიტორინგში.

### **ბ) სიმბოლური მონაწილეობა**

ინფორმირება და კონსულტირება სიმბოლური მონაწილეობის საფეხურებია. ამ დროს მიმდინარეობს საზოგადოების ინფორმირება; მათ უხსნიან, რისი გაკეთებაა დაგეგმილი; მაგრამ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოება არ მონაწილეობს, ვერ ხერხდება მათი მოსაზრებების გათვალისწინება. მონაწილეობის ამ საფეხურზე სამეურვეო საბჭო ფლობს ინფორმაციას საკუთარ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე; იღებს ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღები პირისგან, თუმცა, არ არსებობს გამოხმაურების საშუალებები; არ ხდება მოლაპარაკება, საკითხის განხილვა საბჭოს წევრებთან. სამეურვეო საბჭო ინფორმაციას დაგეგმვის ბოლო ფაზაში ღებულობს, შესაბამისად, მას მცირე საშუალება აქვს, გავლენა მოახდინოს გეგმის შინაარსზე.

ინფორმირება შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტი მონაწილეობისკენ გადადგმულ ნაბიჯად, თუ მას თან ახლავს სამეურვეო საბჭოსთან საკითხების განხილვა. ამ შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სამეურვეო საბჭოს მოსაზრებებისა და იდეების გათვალისწინება დაგეგმვის პროცესში.

**გარიგება** სიმბოლური მონაწილეობის უმაღლესი საფეხურია, რადგანაც კანონი საზოგადოებას უფლებას აძლევს, იმსჯელოს გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან, თუმცა, იგი კვლავ არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ მხარეს. ინფორმირებული, კონსულტირებული სამეურვეო საბჭო

ზოგჯერ მაინც ექცევა გადაწყვეტილების მიმღები პირების გავლენის ქვეშ. მმართველი ცდილობს, მშვიდობიანი ფორმით მოახდინოს მასზე ზეგავლენა, აუხსნას, რომ გადაწყვეტილება მას სერიოზულ სარგებელს მოუტანს.

### გ) გადაწყვეტილების მიღება

**თანამშრომლობა-პარტნიორობის** საფეხურზე საზოგადოების წარმომა-დგენელს საშუალება ეძლება, მოლაპარაკებები აწარმოოს გადაწყვეტილების მიმღებ პირთან. თანამშრომლობის დროს პასუხისმგებლობები სკოლის დირექტორსა და სამეურვეო საბჭოს შორის ნაწილდება; ისინი თანხმდებიან, ითანამშრომლონ დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; თითოეულ მხარეს კარგად განსაზღვრული პასუხისმგებლობები აქვს. სკოლაში მხარეთა ქცევის წესები ჩამოყალიბებულია და მათი ცალმხრივად შეცვლა შეუძლებელი ხდება. ასეთ სკოლაში არსებობს მდგრადი ანგარიშვალდებულება სკოლის თემის, მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლების წინაშე. მონაწილეობის ამ საფეხურზე სამეურვეო საბჭო საზოგადოების ხმა და მისი ინტერესების გამტარებელია.

**დელეგირების** საფეხურზე საზოგადოებრივ ჯგუფებს აქვთ საკმარისი ძალაუფლება, რომ მონაწილეობა მიიღონ საქმიანობათა დაგეგმვაში, მიზნების განსაზღვრასა და განხორციელებაში; იმსჯელონ გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან.

თუ სკოლის დირექტორის თანამშრომლობა და პარტნიორობა სამეურვეო საბჭოსთან იმით სრულდება, რომ სამეურვეო საბჭო რეალურად ახერხებს გადაწყვეტილების მიღებას – ეს დელეგირებული ძალაუფლებაა. დელე-გირებული ძალაუფლების მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს ის, რომ კანონით უზრუნველყოფილია სკოლის დირექტორის ანგარიშვალდებულება სამეურვეო საბჭოს წინაშე. სამეურვეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, შეარჩიოს დირექტორი ან ხელშეკრულება გაუუქმოს მას, დაამტკიცოს ან არ დაამტკიცოს სკოლის წლიური გეგმა და ბიუჯეტი, გააკონტროლოს სკოლის დირექტორის მიერ ფინანსების ხარჯვა და ქონების განკარგვა, განიხილოს საჩივრები და მიიღოს შესაბამისი ზომები და ა.შ. სამეურვეო საბჭო სწორედ ამ დროს წარმოადგენს სკოლის ავტონომიურობის საფუძველთა საფუძველს.

**სამოქალაქო კონტროლი.** ამ საფეხურზე სამეურვეო საბჭოს ენიჭება უფლება, ძალაუფლების მქონე პირის საქმიანობების კონტროლი განახორციელოს. თუმცა, შეუძლებელია, აბსოლუტური კონტროლის

მექანიზმები არსებობდეს. ამ შემთხვევაში, კონტროლი გაგებულ უნდა იქნას, როგორც საზოგადოების მიერ მოთხოვნილი და სამეურვეო საბჭოს მიერ შემოწმებული საქმიანობები, რითიც ისინი სკოლის მმართველობაში ერთვებიან.

### კითხვები

ბოლო წლებში ზოგადი განათლების სისტემაში ცენტრალიზაციისკენ გადადგმული ნაბიჯები, ჩვენი აზრით, ბადებს კითხვებს:

- ✓ მონაწილეობის რომელ საფეხურზეა ქართული სკოლების სამეურვეო საბჭოები?
- ✓ ვინ უნდა იზრუნოს სამეურვეო საბჭოს ქმედუნარიან ორგანოდ განვითარებაზე?
- ✓ რა ღონისძიებები უნდა გაატაროს სამოქალაქო სექტორმა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იმისათვის, რომ სკოლის ცხოვრებაში სამეურვეო საბჭოს მონაწილეობა გაიზარდოს?

## 5. ფინანსურის სამსახურის საჭარო სკოლები

### 5.1. შესავალი

მოზარდთა შორის აგრესია და ძალადობა ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთი მწვავე პრობლემაა. საკითხი აქტუალურია როგორც სახელმწიფო სისტემისათვის, ისე მასმედისა და სხვა სოციალური სტრუქტურებისათვის. აგრესია და ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ნორმების დარღვევითაც მთავრდება და მოზარდების სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებაში მიცემას იწვევს. ჯერ კიდევ 2005 წლისათვის არასრულწლოვანთა აღმზრდელობით დაწესებულებაში 26 მოზარდი იხდიდა სასჯელს, 2006 წლიდან კი მათი რიცხვი კატასტროფულად გაიზარდა. იყო პერიოდი, როცა რაოდენობამ 200 პატიმარსაც კი გადააჭარბა. დღეისათვის მოზარდთა სპეციალურ დაწესებულებაში სასჯელს 162 არასრულწლოვანი პატიმარი იხდის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორებსაც, რომ აგრესია და ძალადობა ყოველთვის არ იღებს დანაშაულის სახეს, ხოლო არარეგისტრირებულ დანაშაულთა მაჩვენებელი ჩვენთვის უცნობია, მოზარდთა მიერ აგრესისა და ძალადობის გამოვლენის ფაქტები, სავარაუდოდ, ბევრად მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე – ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვი.

სწორედ ეს და კიდევ სხვა სახის მიზეზები (მოსწავლეთა მხრიდან განათლების მიღების დაბალი მოტივაცია, სკოლებში სასწავლო პროცესის ქაოტური და არაორგანიზებული ხასიათი, რაც მოსწავლეთა მხრიდან სკოლის ხშირ გაცდენაში გამოიხატებოდა) გახდა განათლების სისტემაში „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის შემუშავების საფუძველი, რაც გულისხმობს:

- სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოღებას;
- სკოლების დაყოფას სამი სასწავლო საფეხურის მიხედვით;
- ვიდეოთვალის მეშვეობით სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო ზონების შექმნას;
- მოსწავლეთათვის საკრედიტო საბარათე სისტემის შემოღებასა და მის მიბმას პორტალზე;

- მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად პროკურატურის, პოლიციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებებსა და სხვა სამართლებრივ საკითხებზე შეხვედრების ორგანიზებას.

განათლების პოლიტიკის შემქმნელთა მხრიდან ზემოთ მოტანილი თითოეული ღონისძიების სკოლაში გატარების საჭიროება კონკრეტული მიზეზებითაა ნაკარნახევი და ასევე ორიენტირებულია კონკრეტული შედეგების მიღწევაზე. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მონაცემებით, იმის შემდეგ, რაც თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის სკოლებში მანდატურის ინსტიტუტი ამოქმედდა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

დიმიტრი შაშკინმა უურნალისტებს მსოფლიო ბანკის მიერ ჩატარებული კვლევაც წარუდგინა. კვლევის მიხედვით, გამოკითხულთა 75% აღნიშნავს, რომ მთელი წლის განმავლობაში საქართველოში განათლების დონე გაუმჯობესდა. 83%-ს კი მანდატურები წარმატებულ პროექტად მიაჩნია. შაშკინის განცხადებით, „ეს კვლევა მსოფლიო ბანკმა ჩაატარა, რისთვისაც, ბოლო ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, მოსახლეობის გამოკითხვა, კვლევის დამუშავება და გამოქვეყნებაც მოასწრეს“. სამწუხაროდ, კვლევები ვერ მოვიძიეთ, ცნობილი არ არის კვლევის მიზანი და ინსტრუმენტი.

უნდა აღინიშნოს, რომ უსაფრთხო სკოლის იდეის სკოლაში განხორციელების პარალელურად, საქართველოს უმრავლეს სკოლაში გაუქმდა ფსიქოლოგის შტატი, თუმცა, ჩვენ არ ვიცით განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოზიცია და მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით.

სკოლაში ფსიქოსოციალური სერვისის დანერგვის და ფსიქოლოგის შტატის აღდგენის აუცილებლობა ნაკარნახევია ობიექტური რეალობით. ჩვენი მოსაზრებები სუბიექტური პოზიციის დაფიქსირება რომ არ ყოფილიყო, ამისათვის შევეცადეთ, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეებისგან შეგვეგროვებინა და ექსპერტთა მოსაზრებებს დავყრდნობოდით. ჩვენ მიერ მოძიებულ ინფორმაციას ნამდვილად არ გააჩნია კვლევის პრეტენზია და, უბრალოდ, პრობლემის სხვადასხვა კუთხით ხედვის მცდელობაა. ამისათვის შევხდით მოსწავლეთა 2 ჯგუფს (სულ 20 მოზარდი) და გავესაუბრეთ პრაქტიკოსებს: სოცმუშაკთა ასოციაციის წევს – მარინა უშვერიძეს; World Vision საქართველოს სოცმუშაკს – მაია ჯაშს; განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული მულტიდისციპლინური ჯგუფის წევრს, ფსიქოლოგ ქეთევან ფილაურს (მათი მოსაზრებების ციტირებისას მივუთითებთ ავტორს).

## კონტროლი თუ ზრუნვა? სააღმზრდელო დეფიციტი თანამედროვე საჯარო სკოლებში.

საჯარო სკოლებში მანდატურის ინსტიტუტის შემოტანამ და ვიდეოთვალის მეშვეობით სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო ზონების შექმნამ ამ სივრცეში კონტროლის მექანიზმი გაზიარდა. თუმცა, არის თუ არა მხოლოდ კონტროლის გაძლიერება საკმარისი უსაფრთხო სკოლის შექმნისათვის და რა დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი უშუალოდ მოსწავლეებს, ამის გარკვევა მათთან გასაუბრებით ვცადეთ. შევხვდით (14-დან 17 წლამდე) მოსწავლეთა 2 ჯგუფს. მათგან პირველ ჯგუფში გაერთიანდნენ მოსწავლეები, რომლებიც სწავლაში წარმატებულები არიან და საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის ემზადებიან; ხოლო მეორე ჯგუფში გაერთიანდნენ მოსწავლეები, რომლებიც კონსულტაციებს გადიან „ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის ცენტრში“ (შეხვედრებში მონაწილეობდნენ თბილისის 113-ე, 118-ე, 123-ე, 138-ე საჯარო სკოლის და, ასევე, ბრიტანულ-ქართული აკადემიისა და სენტ ეგზიუპერის ფრანგული კოლეჯის მოსწავლეები).

მოზარდებმა შემდეგ შეკითხვებს უპასუხეს:

1. რა ასოციაციებს იწვევს სიტყვა „უსაფრთხოება?“
2. სად გრძნობთ თავს უსაფრთხოდ?
3. ვინ არის პასუხისმგებელი თქვენს უსაფრთხოებაზე ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში?
4. რას ნიშნავს პირადად თქვენთვის უსაფრთხო სკოლა?
5. რა წესები უნდა დაიცვან სკოლაში მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და სხვა თანამშრომლებმა, რომ ბავშვებმა უსაფრთხოდ იგრძნონ თავი?
6. ირლვევა მოსწავლეთა უსაფრთხოება სკოლაში? თუ პასუხია „დიახ“, ვინ და როგორ არლვევს მას?

7. დავუშვათ, თქვენ მუშაობთ უსაფრთხოების კონცეფციაზე, თქვენი – როგორც მოსწავლის – გამოცდილების გათვალისწინებით, რას ურჩევდით უფროს ადამიანებს?

როგორც ბავშვების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ანალიზმა აჩვენა, მათთვის „უსაფრთხოების“ ტერმინებით განიხილება შემთხვევები, როცა – „არავინ გჩაგრავს“, „შეურაცხყოფას არ გაყენებენ“, „არ ძალადობენ“, „არ გაიძულებენ აკეთო ის, რაც არ მოგწონს“, „შეგიძლია თამამად გამოთქვა შენი აზრი“, „მთავარია სულიერი უსაფრთხოება. თუ ფიზიკურად საფრთხე

მემუქერება, ან გავიქცევი, ან შეიძლება მოვერიო კიდეც. მაგრამ როცა შეურაცხყოფას მაყენებენ, აღარ ვიცი, რა გავაკეთო“. ასევე, მოსწავლეთა მხრიდან ხშირად ისმოდა ფრაზა - „როცა ყველა კანონს იცავს“.

მოზარდებისათვის უსაფრთხო ადგილად ძირითადად დასახელდა ეკლესია; მეგობართა წრე; სოფელი, სადაც დასასვენებლად ჩადის; ოჯახი; „ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის ცენტრი“. მხოლოდ ერთ შემთხვევაში გაჩნდა სკოლის ასოციაცია – „სკოლაშიც, თუ მასწავლებელი კარგ ხასიათზეა.“

იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ არის მოზარდთა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ჯგუფის მონაწილეები ხშირად მიუთითებდნენ მათი უფლებების უხეშ დარღვევაზე – როგორც მშობლების, ასევე მასწავლებლების, სკოლის დირექტორის, მანდატურის მხრიდან („მუდმივად გვაკონტროლებენ“, „არ გვენდობიან“, „არ გვისმენენ და ჩვენი აზრი არ აინტერესებთ“, „შეურაცხყოფას გვაყენებენ“ და სხვა) - პოზიციები გაიყო. კერძოდ, I ჯგუფის წევრი მოზარდები მიიჩნევენ, რომ აქ დასახელებული ადგილებიდან (ოჯახი, სკოლა, ქუჩა) მთავარი პასუხისმგებლობა მათზეა - „ძირითადად, ყველგან მე ვაგებ პასუხს საკუთარ ქცევაზე, აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებაზეც. თუ მე სუსტი ვარ, ვერც მშობელი მიშველის, ვერც მასწავლებელი და ვერც დაცვა“ (კერძო სკოლის მოსწავლე). „მართალია სრულწლოვანი არ ვარ, მაგრამ ვგრძნობ პასუხისმგებლობას“. „ჩემი ყველა ქმედება ჩემგან გამომდინარეობს; თუ არასწორად ვიქცევი, ამით საკუთარ თავსაც ვუქმნი საფრთხეს და სხვებსაც“. „სკოლის შემოსასვლელში დაცვა დგას, ვიცი, რომ უცხო პირი ვერ შემოვა, დანარჩენი კი ჩემზეა“ (კერძო სკოლის მოსწავლე). ასევე, აქვე გამოითქვა მოსაზრება – „მიმაჩნია, რომ სკოლაში მასწავლებელი არ არის პასუხისმგებელი ჩემს უსაფრთხოებაზე, უფრო — დირექტორი. რაც შეეხება მანდატურს, მგონია, რომ მასწავლებლებს უფრო აკონტროლებენ და მასწავლებლებს უფრო ეშინიათ მათი, ვიდრე მოსწავლეებს“.

მოზარდთა II ჯგუფი კი ოჯახში მშობელს მიიჩნევს უსაფრთხოების გარანტად, სკოლაში — დამრიგებელს და მანდატურს: „მართალია არ მსიამოვნებს აქ მისი ყოფნა, მაგრამ თავის მოვალეობას ასრულებს“. უნდა აღინიშნოს, რომ I და II ჯგუფს შორის ასეთი განსხვავების მიზეზად შეიძლება შემდეგი ფაქტორები მივიჩნიოთ: I ჯგუფის მონაწილე მოზარდები, მიუხედავად მათი უფლებების დარღვევისა, საკუთარ უსაფრთხოებაზე ზრუნავენ პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებით. გამოდის, რომ თვითონ იცავენ თავს. ხოლო II ჯგუფის მონაწილეები პასუხისმგებლობას უფროსებს აკისრებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათი უფლებებიც ხშირად ირღვევა. ანუ გამოდის, რომ არც I და II ჯგუფის მონაწილეებს უსაფრთხოების განცდა

არ გააჩნიათ, უბრალოდ, | ამას „უმკლავდება“, ხოლო || – ვერ „უმკლავდება“ (|| ჯგუფის მონაწილეების შესახებ აქვე ვიტყვით, რომ „ოჯახზე და ბავშვზე ზრუნვის ცენტრში“ კონსულტაციას გადიან მოზარდები, რომლებსაც აქვთ გარკვეული ტიპის ემოციური, ქცევითი და აკადემიური პრობლემები: სწავლის დაბალი მოტივაციით გამოირჩევიან, ხშირად აცდენენ სკოლას ან გაკვეთილის ჩაშლას ცდილობენ, აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება, კონფლიქტები თანატოლებთან, პედაგოგებთან, ემოციების რეგულაციის პრობლემები, ოპოზიციური ქცევა და სხვა).

**კითხვაზე:** თუ რას ნიშნავს მოზარდებისათვის უსაფრთხო სკოლა, – საგულისხმოა, რომ არც ერთი ჯგუფის მონაწილეს არ გასჩენია მანდატურის ასოციაცია და, შესაბამისად, მანდატურის ინსტიტუტის განხილვა არ მომხდარა არც დადებით და არც უარყოფით კონტექსტში. მოსწავლეები, ძირითადად მაინც, მასწავლებლის და სკოლის დირექტორის პასუხისმგებლობაზე საუბრობდნენ და ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში არ უნდა იყოს ქაოსი, ბავშვები არ უნდა ატარებდნენ ცივ იარაღს, არ უნდა ეწეოდნენ, არ უნდა ჩხუბობდნენ; საჭიროა კონტროლი და არა სიმკაცრე - „უსაფრთხოების დაცვა სიმკაცრეში არ უნდა გადაიზარდოს და უსაფრთხოებაში მოსწავლის თავისუფლებაც უნდა იგულისხმებოდეს“. შეხვედრის მონაწილეებმა სამართლიანობაზეც ისაუბრეს - „როცა რამეს დაგიშავებენ, დაუყოვნებლივ უნდა აღმოგიჩინონ დახმარება, ფიზიკურიც და სულიერიც. შესაბამისად, უნდა დაისაჯოს ის, ვინც დაგიშავა. არ ვგულისხმობ ფიზიკურ დასჯას, უბრალოდ, მან უნდა იგრძნოს პასუხისმგებლობა, ასე მოითხოვს სამართლიანობა“. „სკოლამ თვითონ უნდა შექმნას უსაფრთხოება. მაგალითად, არის მასწავლებელი, რომელთანაც კონფლიქტი მაქვს, ამიტომ, ვფიქრობ, რომ იქაურობა ჩემთვის უსაფრთხო აღარაა. ხანდახან ჩემს თავზე პასუხს ვეღარ ვაგებ.“

უსაფრთხო სკოლის კონცეფციის კონტექსტში მონაწილეებმა განსაკუთრებით აღნიშნეს ე. წ. „მშვიდი პედაგოგის“ და „დალაგებული ურთიერთობების“, „მოწესრიგებული სწავლის პროცესის“ ფაქტორი. „მკაცრი მასწავლებელი კარგ მასწავლებელს არ ნიშნავს მასწავლებელი უნდა იყოს მომთხოვნი და არა მკაცრი და უსამართლო; პირველ რიგში, გაკვეთილი უნდა იყოს საინტერესო და სასიამოვნო“. საბოლოო ჯამში, მოზარდთა თვალსაზრისით - „დაცულია სკოლა, როცა აქ ზრუნავენ როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, არ ცდილობენ დაგჩაგრონ, მუდმივად გაკონტროლონ. კონტროლით ზედმეტად არ უნდა გზღუდავდნენ“.

ორივე ჯგუფის მონაწილეთა მოსაზრებების შეჯერებით გამოიკვეთა წესების ნუსხა, რომელიც სკოლაში როგორც მასწავლებლებმა, ისე

მოსწავლეებმა უნდა დაიცვან იმისათვის, რომ ბავშვებმა/მოზარდებმა თავი უსაფრთხოდ იგრძნონ, კერძოდ:

1. მასწავლებელმა მოსწავლე არ უნდა გამოარჩიოს არც კარგი, არც ცუდი ნიშნით;
2. აუცილებელია ურთიერთპატივისცემა მოსწავლეებს, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მასწავლებლებს შორის;
3. მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა სასწავლო გარემოს თანაბრად უნდა სცენ პატივი;
4. ყველას უნდა შეეძლოს, გამოთქვას განსხვავებული აზრი; თანატოლებმა და უფროსებმა მათ უნდა მოუსმინონ;
5. უფროსებს უნდა ესმოდეთ ბავშვების, არ უნდა ზღუდავდნენ მათ, არ უნდა აშინებდნენ, ემუქრებოდნენ, ეჩეუბებოდნენ;
6. უფროსკლასელები არ უნდა ჩაგრავდნენ უმცროსკლასელებს; ასევე სკოლაში არავინ უნდა იჩაგრებოდეს, ყველა თანასწორი უნდა იყოს;
7. ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ისინი სკოლაში სწავლისათვის არიან;
8. მასწავლებლებმა ნორმალურად უნდა ახსნან გაკვეთილი და არ უნდა იკივლონ;
9. ბავშვებმა უნდა მოუსმინონ მასწავლებლებს გაკვეთილის მიმდინარეობისას;
10. მასწავლებლებმა უნდა გაიარონ ფსიქოლოგის კურსები;
11. საჭიროა დისტანციის შენარჩუნება, რაც ურთიერთპატივისცემაში გამოიხატება.

წესების ამ ჩამონათვალში კარგად ჩანს, რომ სასკოლო გარემოს უსაფრთხოებისათვის ორივე ჯგუფის მონაწილეები თანაბრად აკისრებენ პასუხისმგებლობას როგორც მასწავლებლებს, ასევე მოსწავლეებს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ამ კონტექსტშიც მოზარდები მხოლოდ ორ სუბიექტს განიხილავდნენ — მოსწავლესა და მასწავლებელს (რაც, სავარაუდოდ, მათ შორის ურთიერთობის მოწესრიგების საჭიროებაზე მიანიშნებს, ან იმაზე, რომ მოსწავლეს მართლაც აქვს განცდა, რომ სასწავლო პროცესი მხოლოდ ამ ორი სუბიექტის თანაარსებობას გულისხმობს).

შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სკოლებში უხეშად ირღვევა მოსწავლეთა უსაფრთხოება, რაც ყველაზე ხშირად მათი უფლებების შეღასვაში გამოიხატება - „სკოლაში ბავშვების უფლებები ფეხქვეშა გათელილი“, „ბევრი მასწავლებელია, რომელიც ბავშვს როგორც ფიზიკურ, ისე სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებს“, „მანდატურები უკანონოდ აძლევენ ბავშვებს შენიშვნას და ის, ვინც კანონი არ იცის, იჩაგრება“, „მანდატურებს

ხელფასი ემატებათ ოქმის გამოწერაში, ამიტომ ისინი დაინტერესებულები არიან, ბავშვები უსამართლოდ დასაჯონ“; „შუა გაკვეთილზე შემოდიან მანდატურები და გვამოწმებენ, მობილურები თუ გამოვრთეთ, გვაქვს თუ არა წიგნები. მათ ამის უფლება არ აქვთ“; „შარშან ერთ-ერთმა მასწავლებელმა ჩემი კლასელი სცემა, 10 წუთის განმავლობაში ურტყამდა; საბეჭიროდ, დირექტორმა ის სამსახურიდან გაათავისუფლავ“; „მასწავლებელი მთელი გაკვეთილი ეძახდა ჩემს თანაკლასელს „გამოშტერებულს“, მე ეს გავაპროტესტე და მასწავლებელმა უურნალში ორიანი ჩამინერა“; „მანდატური გვყავს, რომელიც საკლასო ოთახის კარზე ყურს ადებს და გვისმენს. ამას ბავშვი უყურებს და რას სწავლობს?“; „მასწავლებელი დასჯის მიზნით გაკვეთილიდან აგდებს მოსწავლეს, ზოგს რვეულებს უხევს“; „მანდატურები უსაფრთხოების განცდას კი არა, შიშს ნერგავენ ბავშვებში“; „მასწავლებელი სულ გვემუქრება – თუ კარგად არ მოვიქცევით, მანდატურს ეტყვის და ის დაგვსჯის, ოქმს შეგვიდგენს“; „მანდატური თუ არის სკოლაში, უფრო მეგობრული უნდა იყოს და მისი არ უნდა გვეშინოდეს“.

მოზარდები მიიჩნევენ, რომ უსაფრთხო სკოლის შექმნისათვის მნიშვნელოვანია, მასწავლებლებმა დაივიწყონ პირადი პრობლემები და სკოლაში მუშაობის დაწყებამდე გაიარონ ფსიქოლოგიური შემოწმება, რომ „სკოლაში ვინმე ფსიქოპათი არ შევიდეს გაკვეთილის ჩასატარებლად“. ყველამ, ვინც სკოლაში მუშაობს და სწავლობს, საკუთარი უფლებები და ვალდებულებები უნდა იცოდეს; „მასწავლებელი ვალდებულია, პატივი სცეს მოსწავლის პიროვნებას და მოსწავლე ვალდებულია, პატივი სცეს თანატოლებს და უფროსებს“; მასწავლებლებმა უნდა იცოდნენ ყველაფერი ბავშვის შესახებ, რომ მისი ქცევის მიზეზი ესმოდეთ - „პირველ რიგში, მასწავლებლებს ჩავუტარებდი ტრენინგებს და შევამოწმებდი მათ კვალიფიკაციას როგორც საგნის ცოდნაში, ასევე ბავშვის ცოდნაში“; „მიმაჩნია, რომ სკოლაში აუცილებლად უნდა იყოს ფსიქოლოგი, რომელიც ბავშვების შინაგან მდგომარეობაზე იზრუნებს და დაიცავს მათ.“

რაც შეეხება მანდატურის ინსტიტუტს, მოზარდები მიიჩნევენ, რომ ისინი მასწავლებლებს აკონტროლებენ, მასწავლებლები კი ამის გამო ბავშვებში მათდამი შიშს ნერგავენ. „ოქმს შეგიდგენენ, ან სადაც საჭიროა, იქ გაგიშვებენ; სამი ოქმის შედგენის შემდეგ სკოლიდან გაგრიცხავენ.“ როგორც მოსწავლეებთან შეხვედრის და მათი მოსაზრებების ანალიზმა აჩვენა, ისინი სკოლაში გრძნობენ კონტროლის, მუქარის გაძლიერებას, შესაბამისად, მათ არ აქვთ უსაფრთხოების განცდა. მოსწავლეთა მოსაზრებით, უსაფრთხო სკოლა უნდა იყოს ადგილი, სადაც ბავშვების უფლებები და ღირსება არ ირღვევა. სამწუხაროდ, მოზარდთა მოსაზრებებში არსად დადებით კონტექსტში არ გამოჩენდა ზრუნვა და მხარდაჭერა.

მოგეხსენებათ, რომ კონტროლის მუშაობისას ჩვენ გავესაუბრეთ რამდენიმე ექსპერტს უსაფრთხო სკოლის იდეასთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით; მაგალითად, ფსიქოლოგი ქეთევან ფილაური მიიჩნევს: „ვფიქრობ, ბავშვის აღზრდა მიმართული უნდა იყოს ზრუნვაზე, რომელიც გულისხმობს, ერთი მხრივ, მხარდაჭერას და, მეორე მხრივ, კონტროლს. როგორც მშობელი, ისე მასწავლებელი უნდა აკონტროლებდეს ბავშვს – სად არის, რას აკეთებს, რითი ინტერესდება, ვისთან მეგობრობს და ა.შ. ძალიან მოკლედ რომ ვთქვათ, მანდატურის ინსტიტუტი თავის თავზე სწორედ კონტროლის ფუნქციას იღებს, რაც, ცხადია, საჭიროა, თუმცა, ამ სამსახურის ეფექტურობა ჩემთვის საეჭვოა, თუ არ გვექნება მხარდაჭერის კომპონენტი. მხარდაჭერაში ვგულისხმობ არა ინდივიდუალურ დონეზე მხარდაჭერას. შესაძლოა, ცალკეული მასწავლებელი და მანდატური ძალიან მხარდამჭერი იყოს კონკრეტული მოსწავლის მიმართ. საუბარია სერვისის არსებობაზე, რომელიც დახმარებას გაუწევდა სხვადასხვა ტიპის პრობლემების მქონე და რისკის ჯგუფის მოსწავლეებს. ფსიქო-სოციალურმა სამსახურმა შესაძლოა სწორედ მხარდაჭერის კომპონენტი აიღოს თავის თავზე, თუმცა, ვფიქრობ, არ არის სასურველი სერვისების ასეთი გახლეჩა – ზოგი აკონტროლებდეს და ზოგი მხარს უჭერდეს. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა, როგორც ერთი მთლიანი ორგანიზმი, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიით მოქმედებდეს და აქ, ბავშვის კონტროლთან ერთად, მასზე ზრუნვაც იყოს პრიორიტეტული.

კონტროლი მხარდაჭერისა და მზრუნველობითი დამოკიდებულების გარეშე, მარტივად რომ ვთქვათ, ბავშვისათვის საშიშია. აღზრდის თვალსაზრისით, ეფექტურია, როცა მშობელი აკონტროლებს და, ამავე დროს, თბილი და მხარდამჭერი ავტორიტეტია ბავშვისათვის (ასევე მასწავლებელიც). ხოლო თუ კონტროლის ფუნქციას იღებს ავტორიტარი, რომელსაც უსიტყვოდ ემორჩილებიან, უკვე დგება საკითხი – რა გვინდა? თაობა, რომელიც დაგვემორჩილება? თუ თაობა, რომელსაც გააზრებული ექნება საკუთარი პასუხისმგებლობა და „კარგად მოიქცევა“, იმიტომ, რომ ეს მისთვის და მისი საზოგადოებისთვისაა კარგი. თუ იმიტომ, რომ ასე აიძულესა ან ვინმესია ეშინია? უნდა აღვნიშნო აგრეთვე მანდატურის ფორმა, რომელიც ძალიან ჰგავს პატრულის/პოლიციის ფორმას და ნამდვილად არ ასოცირდება მხარდაჭერასთან.“

სოციალური მუშაკი მაია ჯაში მიიჩნევს, რომ სკოლაში მანდატურის ინსტიტუტის შემოტანით კონფლიქტის ესკალაცია კი არ უნდა ხდებოდეს, არამედ მანდატური თითოეული ბავშვის უსაფრთხოებაზე უნდა ზრუნავდეს - „არის შემთხვევები, როცა მანდატური მოსწავლისაგან თავისივე თანატოლის დაბეზღებას მოითხოვს. ამას მერე კონფლიქტები მოჰყვება, რომლებიც,

შექმნილი ვითარების გამო, ალბათ, სკოლის გარეთ გადაინაცვლებს. მგონია, რომ მანდატური ბავშვსა და ნებისმიერ მხარეს შორის მედიატორი უნდა იყოს, პრობლემა უშუალოდ სკოლაში უნდა წყდებოდეს. მუქარა – რომ მანდატური ოქმს შეადგენს, ან სპეციალურ სკოლაში გაგგზავნის – პრობლემას ვერ მოაგვარებს. პირიქით, ასეთ გარემოში მოზარდი უფრო დაძაბულია და შესაძლოა გარემომ მას პროტესტისა და ოპოზიციური ქცევისაკენ უბიძგოს.“

სათვალთვალო კამერებთან დაკავშირებით, რაც სკოლის უსაფრთხო ზონებად დაყოფას გულისხმობს, ორივე ექსპერტს აქვს მოსაზრება, რომ, ერთი მხრივ, შესაძლოა ეს მართლაც იყოს დამცავი ფაქტორი: უშუალოდ იქ, სადაც ვიდეოთვალია, ბავშვებმა აკონტროლონ საკუთარი ქცევა. თუმცა, ამ შემთხვევაში, კონტროლის მექანიზმი გარეთაა და არა ბავშვის „შიგნით“, ბავშვი სწავლობს „კარგად მოქცევას“ კამერების წინ, ხოლო იქ, სადაც ალარ უთვალთვალებენ და ალარ აკონტროლებენ, მისი ქცევა შესაძლოა უმართავი გახდეს. ამიტომ, უსაფრთხო სკოლის ის მექანიზმი, რაც დღეს საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ, საჯარო სკოლებში მოქმედებს, პრობლემების სკოლის გარეთ გატანის მცდელობა უფროა, ვიდრე მოზარდთა ანტისოციალური ქცევის პრევენცია. ეს მექანიზმები არ გულისხმობს მოსწავლეთა მიერ პასუხისმგებლობის გაშინაგნებას.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წარმომადგენელი მარინა უშვერიძე, მიიჩნევს: „წარმოვიდგინოთ, რომ გვაქვს პრევენცია და გვაქვს კრიზის-მენეჯმენტი. რა არის უკეთესი: არ გვქონდეს პრობლემა, თუ ის, რომ სულ პრობლემები ვაგვაროთ? რა თქმა უნდა, პრობლემები მაინც გაჩნდება და ეს არამარტო საქართველოს, არამედ წამყვანი ევროპული ქვეყნების უნივერსალური პრობლემაცაა. ანუ, სკოლებში პრობლემა ყოველთვის იქნება, მაგრამ ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს და ამიტომ ვფიქრობ, რომ იქ ისეთი ადამიანის არსებობა, რომელიც იზრუნებს (არა მხოლოდ გააკონტროლებს) ბავშვების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე და სხვის კომპეტენციაში არ შეიქრება, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. მანდატურის ინსტიტუტი დახვენას საჭიროებს და განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობა თუ შედგება, სკოლებიც თავიანთ აზრს თუ გამოთქვამენ, შესაბამისად, შესაძლებელი გახდება პოზიციური ცვლილებების შეტანა მანდატურის ინსტიტუტში. მაგრამ ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ ეს ცუდი წამოწყებაა.“

ყველა ინფორმაციაზე დაყრდნობით, რაც ზემოთ განვიხილეთ, თვალსაჩინოა, რომ თანამედროვე ქართულ საჯარო სკოლებში აშკარაა აღზრდის დეფიციტი. თუ გავითვალისწინებთ, რომ სკოლა არა მხოლოდ

საგანმანათლებლო სივრცეა (თუმცა, როგორც ვიცით, სკოლაში ამ თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი პრობლემებია), არამედ ბავშვის/მოზარდის სოციალური გარემოც არის, სადაც ის ურთიერთობებს სწავლობს, საკუთარ სოციალურ როლების იაზრებს და პასუხისმგებლობას აცნობირებს, სადაც ბავშვს მორალური ფასეულობები უყალიბდება და ა. შ. დავინახავთ იმის აუცილებლობას, რომ სკოლა მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდეს ბავშვის ოჯახთან, ასევე, ბავშვზე ორიენტირებულ სხვადასხვა სამთავრობო თუ არასამთავრობო სტრუქტურასთან. სკოლა უნდა ხელმძღვანელობდეს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიით, სადაც აღზრდის მთავარი ბერკეტები იქნება ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა, რაც თავის თავში კონტროლსაც გულისხმობს. იქ, სადაც ზრუნვა და მხარდაჭერაა, ბავშვი/მოზარდი თავს სრულფასოვან პერსონად აღიქვამს; მას აქვს განცდა, რომ უყვართ, პატივს სცემენ, აღიარებენ. ხოლო იქ, სადაც მხოლოდ კონტროლია, ხოლო ზრუნვა ცარიელი სიტყვაა, ბავშვს აქვს განცდა, რომ არ ენდობიან, არ უყვართ, პატივს არ სცემენ, მის უფლებებს „ფეხქვეშ თელავენ“, არ აღიარებენ, – რაც ან წარმოშობს პრობლემებს, ან უკვე არსებულ პრობლემებს კიდევ მეტად აღრმავებს.

დასასრულისთვის მინდა დავეყრდნო ლოურენს კოლბერგის მორალური განვითარების თეორიას, სადაც ის მორალური განვითარების 6 საფეხურს და 2 დონეს გამოყოფს. მათ შორის, პირველ დონეს თვითცენტრირებულს უნდებს, სადაც ბავშვისთვის წამყვანია მხოლოდ საკუთარი სურვილები, ინტერესები, მოთხოვნილებები, პირადი კეთილდღეობა. მაგალითად I დონეზე (5-10წლი) მყოფი ბავშვის მორალი ასეთია: წესებს და კანონებს ქმნიან ძლიერები, უფროსები, რომლებსაც ყველა უნდა ემორჩილებოდეს; წესები არ უნდა დაარღვიო იმიტომ, რომ დაისჯები; ის, ვინც გსჯის, ყოველთვის მართალია, იმიტომ, რომ შენზე ძლიერია. ცუდია ყველა ის ქცევა, რომლისთვისაც დაისაჯე, ხოლო ქცევა, რომელიც შესაძლოა თავისი შინაარსით ცუდია, მაგრამ რომლის გამოც არ დასჯილხარ (უფროსებს გამოეპარათ, ვერავინ დაგინახა) არ არის ცუდი. განვითარების ამ დონეზე მყოფი ბავშვები მორალს მხოლოდ იმ თვალსაზრისით აღიარებენ, რომ ძლიერები, უფროსები არ გაანაწყენონ. ბავშვის მორალის მთავარი ბერკეტი აქ დასჯის შიშია და არა გაშინაგნებული მორალი. 10-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვისათვის მორალურია ყველა ის ქცევა, რასაც მისთვის სარგებლობა მოაქვს, რითაც მიზანს აღწევს. ამ ასაკის ბავშვის მორალით – თუ სხვისი ჩაგვრით ადგილს იმკვიდრებ, გამოდის, რომ კარგად იქცევი.

სამწუხაროდ, ადამიანების დიდი ნაწილი ვერ აღწევს არათვითცენტრირებულ მორალურ განვითარებას. ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა აღზრდის სტილი დასჯაზეა ორიენტირებული.

სურათი, რომელიც ჩვენი ანალიზით მივიღეთ, ცალსახად აჩვენებს, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიდგომა, რაც კონტროლის გაძლიერებაზე, მუქარაზე და დასჯაზეა ორიენტირებული, სწორედ დაბალი მორალური განვითარების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. მოსწავლე სწავლობს „კარგად მოქცევას“ ვიდეოთვალის კონტროლის ქვეშ, „ოქმის შედგენის შიშით“, „სკოლიდან გარიცხვის შიშით“, „სამტრედიის სპეცსკოლაში გადაყვანის შიშით“; ხოლო იქ, სადაც ეს „შიშები“ აღარ არსებობს, დაბალი მორალით მოქმედებს.

მგონი, არავისთვის უნდა იყოს საკამათო ის საკითხი, რომ სკოლებში სააღმზრდელო დეფიციტი უნდა აღმოიფხვრას; წამყვანი უნდა გახდეს ზრუნვა და მხარდაჭერა; სასკოლო გარემოში მოხვედრისას მოსწავლე მოტივირებული უნდა იყოს, დაიცვას სასკოლო წესები, რომელთა დაცვასაც მას უფროსები ასწავლიან (პედაგოგი, გნებავთ, მანდატური). დასწავლა უნდა მოხდეს არა დასჯის შიშის ხარჯზე, არამედ პირადი პასუხისმგებლობის გააზრების ხარჯზე.

აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, სკოლაში გაჩნდეს დამატებითი სერვისი ფსიქოსოციალური სამსახურის სახით, რომელსაც ექნება როგორც პრევენციული, ასევე ინტერვენციული დატვირთვა და რომელიც სააღმზრდელო დეფიციტსაც შეავსებს.

## 5.2 რატომ უდა არსებობდეს სკოლაში ფსიქოსოციალური სამსახური?

- სტატისტიკურად, არასრულწლოვანები/მოზარდები შეადგენენ მოსახლეობის ყველაზე კრიმინალურ სეგმენტს, თუმცა, საბოლოოდ, მათი უმრავლესობა წყვეტის კრიმინალურ და დევიაციურ ქმედებას სწორი და ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად. United Nations World Youth Report, 2005
- ბავშვებისა და მოზარდების ქცევითი პრობლემები არის არა მხოლოდ აღზრდის დეფიციტის (როგორც ოჯახში, ისე სკოლაში) შედეგი, არამედ განპირობებულია მთელი რიგი, მათ შორის, ინდივიდუალური ფაქტორებით – ადრეული ანტისოციალური ქცევა, მაღალი ქცევითი აქტივობა და ქცევის შეკავების მექანიზმების სისუსტე, დაბალი კოგნიტური განვითარება, დაბალი ინტელექტუალური კოგნიტური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების დეფიციტი, კონცენტრაციის პრობლემები, მოუსვენრობა, აგრესია, გარისკვა და სხვა; ასევე ოჯახური ფაქტორებით – ურთიერთობის ნაკლებობა

მშობელსა და ბავშვს შორის (ჩარევის, კონტროლის უქონლობა), ძალადობა ან ქრონიკული უყურადღებობა ბავშვის მიმართ, ძალადობა და კონფლიქტური მდგომარეობა ოჯახში, მშობლების გაშორება, მძიმე ფინანსური მდგომარეობა, მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ოჯახში ანტისოციალური ქცევები და სხვა; **სკოლისა და საზოგადოების ფაქტორები** – ვერ ამყარებს ახლო ურთიერთობებს სკოლაში, ხშირად აცდენს სკოლას, გარიცხეს სკოლიდან, დაბალი აკადემიური მოსწრება, დაბალი აკადემიური მოტივაცია და მისწრაფებები, დეზორგანიზებული სკოლა, დეზორგანიზებული უბანი, დელიქვენტი ჯგუფების სიმრავლე, იარაღის/ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა; **გარემო ფაქტორები (მაკრო დონეზე)** – სიღარიბე, ძალადობის მედიოთ სისტემატური გაშუქება, ზოგადად, „ლარიბი“ სამოქალაქო გარემო ახალგაზრდებისთვის.

- ბავშვისა და მოზარდის ანტისოციალური ქცევის პრევენციისათვის აუცილებელია, საგანმანათლებლო სისტემაში, კერძოდ, სკოლაში არსებობდნენ კვალიფიციური სპეციალისტები — ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები, რომლებიც შეძლებენ ბავშვის პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, პრობლემების სისტემურ გაანალიზებას და მიზანმიმართულ ინტერვენციას, რაც შემდეგი სახის კვალიფიციურ ცოდნას საჭიროებს:

1. ბავშვისა და მოზარდის ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური, პიროვნული, მორალური განვითარების კანონზომიერებები და დეფიციტები (ფსიქოლოგი, სოცმუშაკი);
2. სწავლება-სწავლის თეორიები, ჯგუფის მართვის სტრატეგიები, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების საშუალებები, სასწავლო გარემოს ორგანიზების თავისებურებები (ფსიქოლოგი);
3. კრიზისული სიტუაციების მართვა (ფსიქოლოგი);
4. მოსწავლეთა რთული ქცევის მართვა (ფსიქოლოგი, სოცმუშაკი);
5. ფსიქოლოგიური კვლევის მეთოდები – მონაცემთა შეგროვება, ანალიზი, ინტერპრეტაცია (ფსიქოლოგი);
6. სოციალურ საჭიროებათა კვლევა (სოცმუშაკი);
7. კონფლიქტების მართვის თეორიები და პრაქტიკული უნარ-ჩვევები (ფსიქოლოგი, სოცმუშაკი);

8. ბავშვებთან და მოზარდებთან ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის მეთოდები (ფსიქოლოგი, სოციუმაკი);
- სკოლაში ფსიქოსოციალური სამსახურის არსებობა და კონკრეტულად სოციალური მუშაკის შტატის შემოღება შესაძლებელს გახდის ბავშვისა და მისი გარემოს (ოჯახი, უპანი, სასკოლო გარემო) სრული სურათის შესწავლას, სწავლასა და ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების ზედმინევნით ანალიზსა და პრევენციული ღონისძიებების სტრატეგიის პროფესიულ დაგეგმვას, სადაც ფსიქოსოციალური სამსახური ითანამშრომლებს ბავშვთან, მის ოჯახთან, სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგთან, მანდატურთან, კლასთან და ა. შ.
  - საჯარო სკოლებში მიმდინარე უსაფრთხო სკოლის პროგრამის კონტექსტში ფსიქოსოციალური სამსახური შეიძლება წარმოადგენდეს მნიშვნელოვან რეოლს, რომელიც, თავისი პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ახდენს რისკ-ფაქტორების დროულ იდენტიფიკაციას, თანატოლთა შორის ძალადობის რისკების შემცირებას, რთული და ანტისოციალური ქცევის მქონე ბავშვებთან და მოზარდებთან საჭირო სამუშაოს დაგეგმვას და, რაც ყველაზე მთავარია, პრევენციული სამუშაოს დაწყებას უმცროსი სასკოლო ასაკიდან.
  - საჯარო სკოლებში ფსიქოსოციალური სამსახურის არსებობა ხელს შეუწყობს მზრუნველი და მხარდამჭერი ურთიერთობების განვითარებას, რაც ყველაზე ეფექტური მიდგომაა ჯანსაღი სასწავლო და სააღმზრდელო გარემოს შექმნისათვის.

### 5.3. სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო აღნერილობა

#### ვინ არის სკოლის ფსიქოლოგი

სკოლის ფსიქოლოგი არის უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლების მქონე პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს, მოზარდებს და, საჭიროების შემთხვევაში, სკოლის სხვა თანამშრომლებს (სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პედაგოგი, მანდატური) სასკოლო სივრცეში წამოჭრილი ისეთი ტიპის პრობლემების შემცირებაში, რომლებიც უკავშირდება ბავშვის/მოზარდის შემეცნებით, პიროვნულ, ემოციურ, ქცევით პრობლემებსა და საჭიროებებს.

## სკოლის ფსიქოლოგის განათლება

სკოლის ფსიქოლოგიად შეიძლება დაინიშნოს უმაღლესი ფსიქოლოგიური განათლების ან მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე პროფესიონალი; სასურველია, მას გავლილი ჰქონდეს სპეციალური გადამზადება ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგის მიმართულებით.


## სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო არეალი

ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ ასეთი პირობითი დაშვება და წარმოვიდგინოთ სასკოლო სივრცეში არსებულ მოსწავლეთა შემდეგი სამი კატეგორია — ტიპური მოსწავლე (70%), რთული ქცევის მქონე მოსწავლე (25%), განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე (5%). ტიპური მოსწავლის კატეგორიაში შედიან ბავშვები/მოზარდები, რომელთა კოგნიტური, ემოციური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები შეესაბამება მათ ასაკს, რომელთაც არ აქვთ სპეციფიკური ქცევითი და ემოციური პრობლემები, რომელთა აქტივობა არ არის მიმართული სასწავლო პროცესის ჩაშლისკენ, არ აქვთ გამუდმებული კონფლიქტები თანატოლებთან და პედაგოგებთან, მეტ-ზაკლებად ექვემდებარებიან სასკოლო წესებს და გამოვლენილი პრობლემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სისტემატურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ლოკალურია და კონკრეტულ პრობლემას უკავშირდება. რთული ქცევის მქონე ბავშვები/ მოზარდები სხვადასხვა სახის ქცევით, ემოციურ პრობლემებს ავლენენ, არ ექვემდებარებიან სკოლის შინაგანანესს, სწავლის დაბალი მოტივაცია აქვთ, მათი აქტივობები ხშირ შემთხვევაში მიმართულია სასწავლო პროცესის ცნობიერი ან უნებლივ ჩაშლისკენ, აქვთ კონფლიქტები თანატოლებთან, პედაგოგებთან, ადმინისტრაციასთან; ტიპური მოსწავლეებისგან განსხვავებით კი, გამოვლენილი პრობლემები სისტემატურ ხასიათს ატარებს და ინტენსიურია. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა კატეგორიაში შედიან ბავშვები/მოზარდები, რომლებსაც გარკვეული ტიპის განვითარების შეფერხება ან სწავლის უნარის დარღვევები აქვთ.

განხილული კატეგორიებიდან გამომდინარე, სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო არეალს წარმოადგენს რთული ქცევის მქონე მოსწავლეები და საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები (30%).

სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო არეალის ასეთი გამიჯვნა ხელს შეუწყობს მისი პროფესიული რესურსის დაზოგვას, არ გამოიწვევს მუშაობის ეფექტურობის რედუქციას და პროფესიულ სტრესს და ა. შ.

ტიპურ მოსწავლეებთან მუშაობისათვის, რომლებიც სკოლის მოსწავლეთა კონტინგენტის უმრავლესობას წარმოადგენენ, წამოჭრილი პრობლემების მართვა უშუალოდ პედაგოგებს უნდა შეეძლოთ. ამისათვის კი საჭიროა, მათ გაიარონ სპეციალური ტრენინგები ბავშვის განვითარების თავისებურებებთან, კლასის მართვასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.



### სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის მიმართულებები

- პრობლემების იდენტიფიკაცია, შეფასება და ანალიზი – სკოლის ფსიქოლოგი სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით აღმოჩენს და აანალიზებს პრობლემებს.
- ფსიქოლოგიური კონსულტაცია – სკოლის ფსიქოლოგთან კონსულტაციის გავლა შეუძლიათ სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს. კონსულტაციის თემა შეიძლება იყოს: ბავშვთა და მოზარდთა განვითარება, თავისებურებები, მართვის და სწავლების სტრატეგიები განვითარების დარღვევების შემთხვევაში; თანატოლთა, თანასკოლელთა, მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობებში წარმოქმნილი სიძნეების დაძლევა; რთული ქცევის და კლასის მართვის სტრატეგიის სწავლება; აღზრდის საკითხები.

- **განმავითარებელი საქმიანობა –** სკოლის ფსიქოლოგი მონაწილეობს განმავითარებელი პროგრამების შექმნაში პედაგოგებთან (საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი) ერთად, რაც ემსახურება ბავშვების/ მოზარდების კოგნიტურ, ემოციურ, სოციალურ განვითარებას და ამ სფეროში არსებული პრობლემების შემცირებას (მაგალითად, განმავითარებელი თამაშები განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის: ფსიქოლოგი ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე განსაზღვრავს თამაშების ხასიათს, კონსულტაციას უწევს პედაგოგს თამაშების ჩატარების კუთხით და ახდენს პროცესის მონიტორინგს).
- **სოციალური ინტეგრაცია –** სკოლის ფსიქოლოგი დახმარებას უწევს (საჭიროების შემთხვევაში) ბავშვებს/მოზარდებს კლასთან, სკოლასთან ინტეგრაციაში.
- **პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული (ფსიქოკორექციული) სამუშაოს დაგეგმვა და წარმოება –** საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ფსიქოლოგი ატარებს ფსიქოკორექციულ სამუშაოს ბავშვთან/ მოზარდთან ან მათ ჯგუფებთან (მაგალითად, ბრაზის მენეჯმენტზე, ემოციების რეგულაციაზე და სხვა). რეფერალური ქსელის შექმნა და რეფერირება – სკოლის ფსიქოლოგი გადაწყვეტილებებს იღებს და განიხილავს საკითხებს მხოლოდ საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში და საჭიროების შემთხვევაში ახდენს ბავშვის/მოზარდის რეფერირებას შესაბამის სპეციალისტებთან სკოლის გარეთ – ნეიროფსიქოლოგი, ლოგოპედი და ა.შ. სკოლის ფსიქოლოგი დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ეფექტური რეფერალური ქსელი ააგოს (მაგალითად, სოციალური ზრუნვის სააგენტო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, შესაბამისი პროფილით მომუშავე არასამთავრობო სექტორი და სხვა)

### სკოლის ფსიქოლოგის მუშაობის ფორმები

- **ინდივიდუალური მუშაობა –** სკოლის ფსიქოლოგი, საჭიროებებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურად ხვდება სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებს, მშობლებს შემდეგი მიზნებისათვის: ინფორმაციის შეგროვება (ტესტირება: სამიზნე ჯგუფი – მოსწავლე), კონსულტაცია (სამიზნე ჯგუფი – მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი), კორექციული სამუშაოები (მოსწავლე).
- **ჯგუფური მუშაობა –** სკოლის ფსიქოლოგი, საჭიროებებიდან გამომდინარე, აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს გარკვეული ტიპის

მოსწავლეთა ჯგუფთან (საჭიროების შესაბამისად), კლასთან, პედაგოგთა ან მშობელთა ჯგუფთან, რასაც შესაძლოა ჰქონდეს კონსულტირების ან პრობლემის გადაჭრაზე (ფსიქოკორექციაზე) ორიენტირებული დატვირთვა (ფსიქოკორექციული სამუშაოს სამიზნე ჯგუფი მხოლოდ მოსწავლეები არიან).

### სკოლის ფსიქოლოგის ეთიკური ნორმები

სკოლის ფსიქოლოგმა თავის საქმიანობაში უნდა იხელმძღვანელოს შემდეგი პრინციპებით:

**„არ ავნო“** – სკოლის ფსიქოლოგი უნდა მოქმედებდეს პრინციპით „არ ავნო“ და მისმა საქმიანობამ არ უნდა მიაყენოს ზიანი ბავშვის/მოზარდის ჯანმრთელობას, ფსიქიკას, სოციალურ სტატუსს, ეროვნულ, რელიგიურ წარმომავლობას.

**კონფიდენციალობა** – სკოლის ფსიქოლოგი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობა; ბავშვებისგან/მოზარდებისგან, მშობლებისაგან, პედაგოგებისაგან და სხვა პირებისგან მიღებული კონფიდენციური ინფორმაცია შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ პროფესიული მიზნებისათვის და მხოლოდ იმ პირებთან, ვინც საკითხს იცნობს და ვინც ბავშვის კეთილდღეობით არის დაინტერესებული; ასევე, ნებისმიერი დოკუმენტური მასალა (პროექციული ტესტი, კითხვარი და სხვა) შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბავშვის კეთილდღეობით დაინტერესებული პირებისათვის და არ შეიძლება გავრცელდეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

**კომპეტენტურობა** – ფსიქოლოგი უნდა მოქმედებდეს მხოლოდ საკუთარი კომპეტენციისა და პროფესიული განათლების ფარგლებში. მან მასთან მომუშავე პირებს უნდა შესთავაზოს მხოლოდ ის სერვისი, რომელიც მისი პროფესიული კომპეტენციის სფეროშია; ასევე შეუძლია დაეყრდნოს სხვა პროფესიონალების კონსულტაციას, რეფერირების საჭიროების შემთხვევაში.

**ობიექტურობა** – ფსიქოლოგი უნდა იყოს ობიექტური და თავისუფალი რაიმე სახის პირადი მოტივაციისგან.

**ნებაყოფლობითობის პრინციპი** – ფსიქოლოგის სამუშაო შეიძლება შესრულდეს მხოლოდ ბავშვის/მოზარდის და მშობლის მხრიდან წერილობით მიღებული დასტურის შემთხვევაში; ფსიქოლოგმა მოზარდებს უნდა გააცნოს მათთან ჩატარებული კვლევის (ტესტირების) მიზნები და ამოცანები.

**დისკრიმინაციული სტერეოტიპებისგან თავისუფლება — სკოლის ფსიქოლოგმა თავის პროფესიულ საქმიანობაში უნდა გამორიცხოს ბავშვის/მოზარდის და მასთან მომუშავე ნებისმიერი პირისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულება რელიგიური, ეთნიკური, სოციალური, გენდერული ან სხვა რამე ნიშნით.**

სკოლის ფსიქოლოგი ვალდებულია, იხელმძღვანელოს ბავშვთა უფლებების კონვენციით, კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ და სხვა ნორმატიული დოკუმენტებით ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების დასაცავად; ყველა ამოცანის გადაჭრისას ფსიქოლოგმა უპირველესად ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს.

#### 5.4 სოციალური მუშაკი სკოლაში

დასაწყისისთვის, სანამ სოციალური მუშაკის სამუშაო აღწერილობას შემოგთავაზებდეთ, გვინდა მოგაწოდოთ საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასლციაციის წევრის მარინა უშვერიძის მოსაზრება საჯარო სკოლაში ფსიქოსოციალური სამსახურის საჭიროებასთან დაკავშირებით.

„ევროპასა და ამერიკაში სოციალური მუშაკი ნებისმიერ შემთხვევაში მუშაობს სკოლაში. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს დანაშაულის პრევენცია, ისევე, როგორც სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური პრობლემების, „ბულინგის“ პრევენცია, რაც ძალიან ხშირად აფერხებს მოსწავლის პიროვნულ და აკადემიურ წარმატებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ, მაგალითად, ბავშვი ხშირად იმყოფება ფსიქოლოგიური ძალადობის ქვეშ, რაც, ფიზიკურისგან განსხვავებით, ნაკლებად შესამჩნევია, ეს შეიძლება დიდი პერიოდის მანძილზე გრძელდებოდეს და ძალიან ნეგატიურად აისახოს აკადემიურ წარმატებაზე, პიროვნულ ზრდაზე. ბავშვს შეიძლება განუვითარდეს სხვადასხვა სახის კომპლექსები, ბარიერები, რაც შემდგომში ხელს შეუშლის მისი, როგორც სრულფასოვანი პიროვნების, საზოგადოებაში თვითორეალიზაციას. აქედან გამომდინარე, უაღრესად მნიშვნელოვნად მიმართა სკოლის სოციალური მუშაკის როლი.

რაც შეეხება დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებას, იქ სკოლებში მუშაობენ როგორც ფსიქოლოგები, ასევე სოცმუშაკები და მათ საკმაოდ გამიჯნული აქვთ უფლება-მოვალეობები. კვლევამ და ამ ქვეყნების მიერ განვლილმა დიდმა გზამ აჩვენა, რომ სკოლაში ორივე სახის სპეციალისტია საჭირო. ეს აუცილებელია, რადგან სოცმუშაკი ძირითადად სხვადასხვა რესურსის დაკავშირებას ახდენს. იგი მუშაობს თემთან, ანუ მან შეიძლება

ვიზიტები ჩაატაროს მეზობლებთან, ბავშვის მშობლებთან, მეგობრებთან. გარდა ამისა, ის შეისწავლის ოჯახს, მშობლებთან ამყარებს ურთიერთობას, ბავშვს სხვადასხვა სახის ჯგუფურ აქტივობებში რთავს, აფასებს მას. მაგალითად, თუ ბავშვს ძალადობის ადრეული ნიშნები გამოუვლინდება, სოცმუშაკს უნდა შეეძლოს, რომ შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით დაადგინოს ეს ნიშნები, ბავშვთან დროულად მოახდინოს ინტერვენცია და არა მას შემდეგ, რაც პოტენციური მოძალადე ნამდვილ მოძალადედ გადაიქცევა. ასევეა მსხვერპლის შემთხვევაშიც. რაც უფრო ღრმად მიდის პროცესი, მით უფრო ძნელია ინტერვენცია. ერთი მხრივ, ძვირი ჯდება, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო ნეგატიურ შედეგებამდე მივყავართ და ნეგატიური ზეგავლენაც ღრმავდება.“

ჩვენ ვიზიარებთ ქალბატონი მანანა უშვერიძის მოსაზრებებს და შევეცდებით, შემოგთავაზოთ სკოლაში მომუშავე სოციალური მუშაკის სამუშაო აღნერილობა, რომელიც გამიჯნული იქნება სკოლის ფსიქოლოგის სამუშაო ვალდებულებებისაგან (რაც არ გამორიცხავს ამ ორი პროფესიონალის მჭიდრო თანამშრომლობას). აგრეთვე, შევეცდებით, სოციალურ მუშაკს დავაკისროთ ისეთი ტიპის აქტივობების წარმოება სკოლაში, რომელსაც პრევენციული და, რიგ შემთხვევებში, ინტერვენციული შინაარსი ექნება.

### ვინ არის სოციალური მუშაკი

სოციალური მუშაკი არის შესაბამისი განათლების მქონე პროფესიონალი, რომელსაც უნარი შესწევს, მოემსახუროს ბავშვებსა და მოზარდებს, რათა მათ სასკოლო გარემოში დაძლიონ და/ან შეამცირონ სხვადასხვა სახის სოციალური პრობლემა. სოციალური მუშაკი ასევე თანამშრომლობს ბავშვის/მოზარდის უახლოეს სოციალურ ველთან (ოჯახი, მეგობრები, მასწავლებელი, თანაკლასელი და სხვა), გეგმავს და ორგანიზებას უწევს სასკოლო გარემოში პრევენციულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს, რომლებიც მოსწავლის კოგნიტურ, ემოციურ და სოციალურ განვითარებას უკავშირდება.

### სოციალური მუშაკის განათლება

სკოლის სოციალურ მუშაკად შეიძლება დაინიშნოს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხის მქონე პიროვნება ან უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური კურსი სოციალური სამსახურის წარმოების შესახებ და აქვს ინფორმაცია ბავშვისა და მოზარდის განვითარების თავისებურებებთან დაკავშირებით. სკოლაში


არსებულმა სოციალურმა სამსახურმა ასევე შეიძლება გამოიყენოს იმ მოხალისე სტუდენტების რესურსიც, რომლებიც ამ პროფილით განათლებას იღებენ უმაღლეს სასწავლებლებში (ლონისძიებების ორგანიზება, ბავშვის/ მოზარდის გარშემო ინფორმაციის შეგროვება და სხვა).

### სოციალური მუშავის მუშაობის არეალი

სოციალური მუშავი თანამშრომლობს ჩვენ მიერ პირობითად შექმნილი მოსწავლეების სამივე კატეგორიასთან – ტიპური მოსწავლე, რთული ქცევის მქონე მოსწავლე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე,

რადგან სოციალური შინაარსის პრობლემები შესაძლოა თითოეული ჯგუფის მოსწავლის ცხოვრებაში არსებობდეს. რაც ყველაზე მთავარია, არის შემთხვევები, როცა მოსწავლის სოციალური გარემოს შესახებ ინფორმაციის მოპოვებას, მის ოჯახთან და ახლობლებთან ურთიერთობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მიზეზების დადგენის, პრევენციული ან ინტერვენციული ლონისძიებების დაგეგმვის თვალსაზრისით.

სოციალური მუშავის სამუშაო არეალში ასევე შედიან სკოლის თანამშრომლები: ადმინისტრაცია, პედაგოგები, სამედიცინო პერსონალი, მანდატური. ის ფსიქოლოგთან მჭიდროდ თანამშრომლობს და ერთგვარი მეკავშირე რგოლია ფსიქოსოციალურ სამსახურსა და სკოლის სხვა სტრუქტურებს შორის (სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მშობელი და სხვა).



## სოციალური მუშაკის მუშაობის მიმართულებები

- **პრობლემის დაფიქსირება, შეფასება, სოციალური ანალიზი – სკოლის სოციალური მუშაკი პედაგოგის, კლასის დამრიგებლის, მანდატურის მიმართვის საფუძველზე სწავლობს და აანალიზებს წარდგენილ საკითხს (ეს შეიძლება იყოს სახელმძღვანელოების არქონის/ვერშეძენის ფაქტები, სკოლის ხშირი გაცდენის ფაქტები, კონფლიქტების ესკალაციის შემთხვევები და სხვა).**
- **დამხმარე/მხარდამჭერი რესურსებისა და სერვისების მოძიება – სკოლის სოციალური მუშაკი ცდილობს სკოლის სივრცეში წამოჭრილი პრობლემისათვის დამხმარე სერვისების ან რესურსების მოძიებას (მაგალითად, თუ არსებობს მოსწავლე, რომელსაც არ აქვს სახელმძღვანელოები, ცდილობს გაარკვიოს მიზეზები, მოიძიოს რესურსი და სხვა)**
- **სოციალური ინტეგრაცია – სკოლის სოციალური მუშაკი მოსწავლის სკოლაში შესვლის/გადასვლის პირველივე დღეებიდან ცდილობს დაეხმაროს მას სოციალურ ინტეგრაციაში, აცნობს სკოლის შინაგანაწესს – პირველკლასელებს ეხმარება სასწავლო წესების ათვისებაში სხვადასხვა სახის ჯგუფური აქტივობების დაგეგმვის საშუალებით; გადმოსულ მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, შინაგანაწესს, აწყობს ახალი მოსწავლის კლასისათვის წარდგენის აქტივობას და თვალყურს ადევნებს მოსწავლის კლასთან ინტეგრაციის პროცესს.**
- **პრევენციული აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება – სოციალური მუშაკი სხვადასხვა ასაკის ბავშვებისა და მოზარდებისათვის სკოლაში ნერგავს სახელმწიფო ან არასამთავრობო სექტორის მიერ მოწოდებულ პროგრამებს (მაგალითად: ადამიანის უფლებები და სამართლებრივი საკითხები, ნარკომანიისა და სხვადასხვა სახის დამოკიდებულების პრევენციული პროგრამები, ჯანსაღი ცხოვრების წესის უნარ-ჩვევების განვითარების პროგრამები). ასევე სოციალური მუშაკი სკოლის ფსიქოლოგთან თანამშრომლობის საფუძველზე ქმნის დევიანტური, ადიეტიური ქცევების პრევენციულ პროგრამებს – კომუნიკაციის უნარ-ჩვევების, კონფლიქტების მართვის და სხვ.**
- **პირველადი ინტერვიუ და სოციალური საჭიროებების კვლევა – სკოლის სოციალური მუშაკი მასწავლებლის, მანდატურის ან სკოლის სხვა პერსონალის მიმართვის საფუძველზე აწყობს პირველად ინტერვიუს სკოლის მოსწავლესთან და, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს რეფერირებას სკოლის ფსიქოლოგთან; ასევე, საჭიროების**

შემთხვევაში, სპეციალური კითხვარის საშუალებით სწავლობს ბავშვის/ მოზარდის სოციალურ გარემოს (ოჯახი, მეგობრები, თანაკლასელები და სხვა).

- **მედიაცია სკოლაში –** სკოლის სოციალური მუშავი სკოლის მანდატურის ან პედაგოგის მიმართვის საფუძველზე ცდილობს კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას კონფლიქტის ორივე მხარესთან მუშაობის საშუალებით (საჭიროების შემთხვევაში, რთავს ფსიქოლოგს, ან გადის მასთან კონსულტაციას) და აწყობს ე. წ. მედიაციის სესიას, სადაც ხვდება კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარე, ასევე, მათი მშობლები და სკოლის მანდატური (საჭიროების შემთხვევაში, დისციპლინური კომიტეტის წარმომადგენელი).

### სოციალური მუშაობის მუშაობის ფორმები


- **ინდივიდუალური მუშაობა –** სოციალური მუშავი აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრებს სკოლის მოსწავლესთან პირველადი ინტერვიუს სახით, სადაც, გამოკვეთილი პრობლემების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მის რეფერირებას სკოლის ფსიქოლოგთან. ასევე, სოციალური მუშავი სოციალურ საჭიროებათა კვლევის კითხვარის საშუალებით აწყობს ინდივიდუალურ შეხვედრას ბავშვის ოჯახთან.
- **ჯგუფური მუშაობა –** სკოლის სოციალური მუშავი აწყობს ჯგუფურ შეხვედრებს მოსწავლეებთან ან მოსწავლეთათვის (შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოწვევით) პროფილაქტიკური ღონისძიებების სახით.

სოციალური მუშავი თავისი სამუშაოს წარმოებისას მოქმედებს პროფესიული ეთიკური ნორმების შესაბამისად (იხ. ზემოთ – ეთიკური ნორმები სკოლის ფსიქოლოგისათვის), იცავს საქართველოს კანონებს და ბავშვის უფლებათა კონვენციას.

## 5.5 სკოლაში ნამოწველი პროგლემის მართვის ფრავები

ყველა სახის პრობლემა, რომელიც ბავშვის/მოზარდის კოგნიტურ, ემოციურ, ქცევით და ასევე სოციალურ საჭიროებებს უკავშირდება, ბავშვთან უშუალოდ მომუშავე პირის მიერ (დამრიგებელი, საგნის მასწავლებელი ან, კონკრეტულ შემთხვევებში, მანდატური) რეფერირდება ფსიქოსოციალურ სამსახურთან, კონკრეტულად კი სოციალურ მუშაქთან. სოციალური მუშავი ამზადებს (აյ იგულისხმება ბავშვის და მისი მშობლის წერილობითი თანხმობა) და ანყობს პირველად ინტერვიუს, სადაც პრობლემის ხასიათი და ინტენსივობა განისაზღვრება. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური მუშავი მიმართავს ფსიქოლოგს და მას ბავშვის/მოზარდის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მოპოვებაში ეხმარება (საჭიროებათა კვლევა ოჯახური და სოციალური გარემოს ანალიზისათვის). ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს/მოზარდს სკოლის ფსიქოლოგის დახმარება არ ესაჭიროება და პრობლემა უფრო სოციალური შინაარსის არის, სოციალური მუშავი ამზადებს შემთხვევის ისტორიას და ორგანიზებას უწევს „მოსწავლეზე ზრუნვის საბჭოს შეხვედრას“ (პირობითად ასე შეიძლება ვუწოდოთ პროფესიონალთა გუნდს, რომელიც ზრუნავს პრობლემის გადაჭრაზე. აქ შეიძლება შედიოდნენ შემდეგი პირები: ფსიქოლოგი, კლასის დამრიგებელი ან საგნის მასწავლებელი, ადმინისტრაციის წარმომადგენელი, მანდატური). საბჭოს შეხვედრაზე განისაზღვრება პრიორიტეტები და იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად, სოციალური მუშავი აგრძელებს მოქმედებას: ან სერვისებს და რესურსებს ეძებს, ან პროფილაქტიკურ ღონისძიებას გეგმავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „მოსწავლეზე ზრუნვის საბჭოზე“ გადის მხოლოდ რთული შემთხვევები, სადაც სოციალური მუშავი დამოუკიდებლად ვერ იღებს გადაწყვეტილებას.

შესაბამისად, ფსიქოლოგი, მას შემდეგ, რაც სოციალურმა მუშავმა მასთან გადაამისამართა პრობლემური შემთხვევა, სწავლობს მას (კვლევითი ინსტრუმენტების გამოყენებით), იღებს გადაწყვეტილებას და გეგმავს სტრატეგიას, რაც შეიძლება გულისხმობდეს ბავშვთან/მოზარდთან ინდივიდუალურ ფსიქოკორექციულ მუშაობას; მშობლის, პედაგოგის კონსულტირებას; ჯგუფურ შეხვედრებს და სხვა. ფსიქოლოგი შემთხვევაზე მუშაობის პროცესში შეიძლება შეხვდეს მოსწავლეზე ზრუნვის საბჭოს - მხარდამჭერი ქსელის გაფართოების ან პრობლემაში მათი ჩართულობის აუცილებლობის შემთხვევაში.



## 5.6 ფინანსონისალური სამსახურის მოღები

შესაძლებელია, ფსიქოსოციალური სამსახურის სხვადსხვა მოდელი განვიხილოთ:

- I. ფსიქოსოციალური სამსახური შედგება რამდენიმე პროფესიონალისგან: 2 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი (გამომდინარე იქედან, რომ ამ სამსახურის ფუნქციების და მოქმედების არეალი უფრო ფართოა სოციალური მუშაკისათვის).
- II. 2 სოციალური მუშაკი, 2 ფსიქოლოგი — ეს ვარიანტი შეიძლება რელევანტური იყოს ისეთი შემთხვევებისთვის, როცა სკოლის

ფსიქოლოგის ფუნქციებს დაემატება პედაგოგებისათვის ტრენინგების მოწყობა (რთული ქცევის კლასის მართვა, განვითარების დარღვევები და მასთან მუშაობის თავისებურებები), პედაგოგთა პროფესიული გადაწვის პროფილაქტიკა. სკოლის ერთ-ერთი ფსიქოლოგი მთლიანად დაკავდება ამ საქმიანობით. ამგვარი მოდელის არჩევის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება ზრუნვის კომპონენტის გავრცელება პედა-გოგებზეც – მათი განათლების და მათთვის პროფესიული გადაწვის თავიდან აცილების საშუალებით, რაც, თავისთავად ცხადია, მოსწავლეებზე ასახება. ასევე, ეს მოდელი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თავიდან ააცილებს პედაგოგთა დიდი რაოდენობისათვის ტრენინგების მოწყობის აუცილებლობას. ტრენინგებს გაივლიან სკოლის ფსიქოლოგები, რომლებსაც მუშაობის მეთოდიკა და მოდულები გადაეცემათ. ამ პრინციპით, ტრენინგგავლილი ერთი ფსიქოლოგი შეიძლება 30 დატრენინგებულ პედაგოგს უდრიდეს. იმავე მოდელის არჩევის შემთხვევაში – რადგან პედაგოგებთან მუშაობის მიმართულება მთლიანად ერთი ფსიქოლოგის ხელშია – შესაძლებელი იქნება, რომ სკოლის მეორე ფსიქოლოგი უფრო მეტად ჩაერთოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა დახმარების საქმეში: ჩატაროს ტესტირება, მოახდინოს დიაგნოსტირება და მხარდამჭერი აქტივობები დაგეგმოს (დღეისათვის ამ ფუნქციას ასრულებს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდი, რომელსაც, როგორც წესი, სკოლა მიმართავს. სპეციალისტები ქალაქის სხვადასხვა სკოლაში დადიან დიაგნოსტირებისა და დახმარების სტრატეგიების შემუშავებისათვის. თუ სკოლის ფსიქოლოგები ამ მიმართულებით სპეციალურ ტრენინგებს გაივლიან, ეს შესაძლებელს გახდის, სერვისი მთლიანად სკოლის სივრცეში გადავიდეს და პროცესს მულტიდისციპლინური გუნდი ხელმძღვანელობდეს – სკოლის ფსიქოლოგებისათვის კონსულტაციების გაწევის, ახალი ინფორმაციით უზრუნველყოფის და მონიტორინგის თვალსაზრისით).

- III. სკოლის ფსიქოსოციალური სამსახური შედგება 2 სოციალური მუშაკისგან, ხოლო სკოლის ფსიქოლოგი შესაძლოა ერთბაშად ემსახურებოდეს 2-ან 3 სკოლას (ეს მოდელი ეკონომიკურია, მაგრამ ეფექტიანი ვერ იქნება).
- IV. სკოლის ფსიქოსოციალური სამსახური შედგება 1 სოციალური მუშაკის და 1 სკოლის ფსიქოლოგისგან. ასეთი მოდელის არჩევის შემთხვევაში, ან სოციალური მუშაკის სამოქმედო არეალი უნდა შეიზღუდოს, ან – მისი მუშაობის მიმართულებები.

## 6. როგორ ვმუშაობთ რთული ქცევის პავშვებთან

საბჭოთა კავშირს დაშლის შემდეგ განვითარებულმა ცნობილმა მოვლენებმა წარმოშვა ე.წ. „ქუჩის ბავშვები“. დაიხურა ფაბრიკა-ქარხნები, სანარმოები, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი იყო დასაქმებული. ადამიანების უზარმაზარი არმია უმუშევარი დარჩა. გარკვეულმა ნაწილმა სხვადასხვა ფორმით მოახერხა დასაქმება. ნაწილი ვერ ადაპტირდა გარემოში და მათ შვილები ქუჩაში სამათხოვროდ გაუშვეს. ბავშვები საკუთარი ოჯახების შემოსავლის ერთადერთი წყარო გახდნენ.

2005 წლის 1 ივნისიდან თბილისში „ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“ გაიხსნა. ის, ძირითადად, ემსახურებოდა ქუჩაში უსახლკაროდ დარჩენილი ბავშვებისა და მოზარდების პრობლემების შესწავლა-გადაწყვეტას. ცენტრი მომსახურებას უწევდა სხვადასხვა ასაკის კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ მზრუნველობამოკლებულ, მიუსაფარ, ოჯახური კონფლიქტების, ოჯახური ძალადობის, მშობლებისაგან უგულებელყოფის მსხვერპლ, ქუჩაში დარჩენილ, კანონთან კონფლიქტში და სხვა კრიზისულ სიტუაციაში მყოფ (ცენტრს აკითხავდნენ ფეხმძიმე მოზარდებიც) ბავშვებს, მოზარდებს, ხშირ შემთხვევაში, მათ ოჯახებს. ცენტრის მიზანი იყო აღნიშნული ბენეფიციარების სოციალური რეაბილიტაცია, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციისათვის ხელშეწყობა.

მათხოვრობა, ტოკისიკომანია, ქურდობა და სხვა ფსიქოლოგიური თუ ქცევითი პრობლემები ამ ბავშვებს საჯარო სკოლაში ინტეგრაციაში უშლიდა ხელს. ბავშვების უმეტესობას აღენიშნებოდა პედაგოგიური ხელმიშვებულობა; მათი უმრავლესობისთვის ხელმიუწვდომელი იყო მარტივი სააზროვნო ოპერაციები. იყო შემთხვევები, როდესაც 15-18 წლის მოზარდებს საერთოდ არ უვლიათ სკოლაში. მათ საკუთარი სახელისა და გვარის წერაც კი არ იცოდნენ.

ცენტრის ბენეფიციარების სპეციფიკიდან გამომდინარე – რადგანაც იქ უმეტესწილად ხედებოდნენ კრიმინალური გამოცდილების მქონე ბავშვები და მოზარდები, რომლებსაც ქუჩაში ცხოვრების საკმაოდ დიდი სტაჟი ჰქონდათ – დამფინანსებლის გადაწყვეტილებით (ქ. თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახური), ცენტრს ემსახურებოდა დაცვის სპეციალური სამსახური (24 საათის განმავლობაში

ადგილზე 3 ადამიანი მორიგეობდა). მათ განსაზღვრული ჰქონდათ უფლება-მოვალეობები, კერძოდ:

- შიდა და გარე პერიმეტრის დაცვა;
- მატერიალური ფასეულობების დაცვა;
- აღსაზრდელების ფიზიკურ უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

დაცვის სამსახური წელიწადნახევრის განმავლობაში ფუნქციონირებდა. ბიუჯეტის შემცირების გამო, ცენტრი შემდგომ წლებში მხოლოდ დარაჯს ქირაობდა.

ცენტრის გახსნის პირველ ეტაპზე წამოიჭრა საკითხი, რომ სერიოზულად გამკაცრებულიყო ბენეფიციარებზე კონტროლი, შექმნილიყო ახალი შინაგანანესი, რომელშიც მითითებული იქნებოდა სხვადასხვა ტიპის დარღვევებზე შესაბამისი სასჯელი. დაცვის სამსახურს უნდა მიეღო ნებართვა, გაეჩერიკა მოზარდები და მათი პირადი ნივთები ტერიტორიაზე ყოველი შემოსვლის დროს. განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში, მოზარდს აღარ უნდა შეძლებოდა ცენტრში ცხოვრება. გამოითქვა მოსაზრება, ცენტრი დახურული/რეჟიმული ტიპის დაწესებულება გამხდარიყო.

ადმინისტრაციამ, ფსიქოლოგებთან კონსულტირების საფუძველზე, უარი თქვა მსგავსი შეზღუდვების დაწესებაზე შემდეგი სპეციფიკური გარემოებების გამო:

- ბენეფიციარებისათვის ეს ღონისძიებები მუქარის და საფრთხის შემცველი იქნებოდა, რაც გაცილებით გაზრდიდა მათ შფოთვას, შიშებს, აგრესიას და გაამძაფრებდა ბავშვების ქცევით აშლილობებს. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია გამოეწვია დათრგუნულობისა და უსუსურობის განცდა;
- უკიდურესად გაძნელდებოდა ნებისმიერი სააღმზრდელო-საგანმანათლებლო შინაარსის აქტივობა;
- შეუძლებელი გახდებოდა მათი ნდობის მოპოვება;
- დაბოლოს, მოზარდები ცენტრს დატოვებდნენ და შემდეგ აღარ დაბრუნდებოდნენ, ეს კი მათთვის იმ პერიოდში სიცოცხლის რისკის ტოლფასი შეიძლებოდა გამხდარიყო

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, უარი ითქვა ზედმეტი შეზღუდვების დაწესებაზე. სწორედ ამის გამო, თანდათან მოვიპოვეთ მოზარდების ნდობა, იმდენადაც კი, რომ ბავშვებს ცენტრში მოჰყავდათ თანატოლები, რომლებიც დამეებს ქუჩაში და, ზოგ შემთხვევაში, ინტერნეტკაფეებში ათევდნენ. ბავშვებმა იცოდნენ, რომ ცენტრში მათ ყოველთვის მიიღებდნენ, მოუსმენდნენ, მათ წუხილს გაიზიარებდნენ და მათ ფიზიკურ

და ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებაზე იზრუნებდნენ. თანდათან შემცირდა ტერიტორიის დაუკითხავად დატოვების ფაქტები, თანატოლებსა და გარშემო მყოფების მიმართ აგრძესია, აუტოაგრძესია, ტოქსიკომანია, ცენტრის ქონების განზრახ დაზიანება. ბენეფიციარებმა შეიძინეს თვითმოვლის ჩვევები, ბავშვებს გაუჩნდათ სწავლის, უფროსებს – შრომის მოტივაცია.

ცენტრის წარმატებული მუშაობის ძირითადი დასაყრდენი ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები იყვნენ, რომელთა სამუშაო აღწერილობა ასე გამოიყურებოდა:

**ფსიქოლოგი** (ფუნქციონირების პირველ წელს ცენტრში სამი ფსიქოლოგი მუშაობდა, შემდგომში ბიუჯეტის შემცირების გამო დარჩა ერთი):

- ინდივიდუალური მუშაობა (კრიზისული დახმარება, ფსიქოდიაგნოსტიკა, ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა);
- ჯგუფური მუშაობა (ფსიქოკორექცია, განმავითარებელი თამაშები, ხელოვნებითი თერაპია);
- მუშაობა სოციალურ გარემოში ინტეგრაციის მიზნით;
- ბენეფიციარებისათვის დახმარების აღმოჩენა კლასთან, სკოლასთან ინტეგრაციაში;
- საკონსულტაციო მუშაობა ცენტრის აღმზრდელებთან და სხვა თანამშრომლებთან, მათთვის ელემენტარული ფსიქოლოგიური ცოდნის მიწოდება.

**სოციალური მუშაკი** (დასაწყისში მუშაობდა ექვსი, შემდგომში – ორი):

- ბავშვებისა და მათი ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოპოვება – დამუშავება;
- ბენეფიციარების პირადი დოკუმენტაციის მოწესრიგება;
- საგანმანათლებლო პრობლემების მოგვარება;
- სოციალური ბენეფიციების მოპოვება (პენსია, პოლისი);
- სოციალური ადვოკატირება: სამხედრო კომისარიატთან, პრობაციის ბიუროსთან, სამართალდამცავ სტრუქტურებთან;
- რეკრიაციული ღონისძიებების დაგეგმვა, განხორციელება;
- დამხმარე რესურსების (უფროსი ასაკის ბენეფიციარების დასაქმება) ან რესურსების მოძიება.

აღსანიშნავია, რომ ის ბავშვები, რომლების საჯარო სკოლებში მიყვანა მოხერხდა, შეეგუვნენ სასკოლო წესებს, გარემოს. განსაკუთრებული

სირთულეები არ ჰქონიათ თანატოლებთან ადაპტაციის მხრივ. ისინი ცდილობდნენ, არ ყოფილიყვნენ კლასელებისაგან უარყოფითი ნიშნით გამორჩეულები. რამდენიმე მათგანი სწავლის უფრო მაღალ მოტივაციას იჩინდა, ვიდრე სხვა თანაკლასელები. სიძნელეები ბავშვებს ექმნებოდათ ძირითადად იმ სტიგმის გამო, რასაც საზოგადოება დებს ტერმინში „ქუჩის ბავშვები“ და რისგანაც, სამწუხაროდ, არც მათი მასწავლებლები იყვნენ თავისუფალი. იმ სკოლის დაწყებითი კლასების მასწავლებლებს, რომელშიც ბავშვები დადიოდნენ, გავლილი ჰქონდათ სპეციალური ტრენინგი განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებთან მუშაობის სპეციფიკის გასაცნობად. მიუხედავად ამისა, პედაგოგებს უჭირდათ ცენტრის ბენეფიციარებთან თანამშრომლობითი ურთიერთობა, რაც, ზოგ შემთხვევაში, დაბლა სწევდა ბავშვების ისედაც დაბალ თვითშეფასებას. მასწავლებლებს არ შეეძლოთ აღსაზრდელების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების გათვალისწინება. სამწუხაროდ, სკოლაში არ მუშაობდა ფსიქოლოგი, რომელიც შეძლებდა, მასწავლებლებისათვის გაეცნო მსგავსი კატეგორიის ბავშვების ფსიქოტიპი, მათი ქცევების განსაკუთრებულობა. ჩვენი გამოცდილებით, ხშირ შემთხვევაში, ფსიქოლოგის მუშაობა ასევე აუცილებელია იმ მშობლებთანაც, რომელთა შვილებიც ე.ნ. „ქუჩის ბავშვების“ თანაკლასელები აღმოჩნდნენ. სკოლის ფსიქოლოგი, ცენტრის ფსიქოლოგთან თანამშრომლობით, დახმარებას გაუწევდა (საჭიროების შემთხვევაში) ბავშვებს/მოზარდებს კლასთან, სკოლასთან ინტეგრაციაში.

სოციალური ადაპტაციის ცენტრის გამოცდილებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ფსიქოლოგის და სოციალური მუშაკის შეუცვლელი როლი რთული ქცევის ბავშვებისთვის და მოზარდებისთვის რეალურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბებაში.

**დამატებითი ინფორმაცია ცენტრისა ცენტრისა და ცენტრში მცხოვრები ბავშვების შესახებ.**

„ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრი“ ლია, რეზიდენტული ტიპის დაწესებულება იყო, აქ ბავშვები სადღელამისო მომსახურებით სარგებლობდნენ. ძირითადად, ცენტრის მიზანს წარმოადგენდა მოკლევა-დიანი მომსახურების გაწევა, შემდგომი რეფერირების მიზნით. ბავშვების ნაწილი გადადიოდა გრძელვადიან ინსტიტუციურ დაწესებულებაში, ხოლო ნაწილი ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრაციისთვის მზადდებოდა. იყო შემთხვევები, როდესაც 18 წელს გადაცილებული აღსაზრდელები დამოუკიდებლად იწყებდნენ ცხოვრებას.

ცენტრის მომსახურება სცილდებოდა თბილისის ფარგლებს. ბენე-ფიციარები საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და სოფლიდან იყვნენ. დაარსებიდან 2011 წლის 1 იანვრამდე ცენტრის მომსახურებით ისარგებლა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფმა 550-ზე მეტმა ბავშვმა, მოზარდმა და მათმა ოჯახმა. 2011 წლის 1 იანვრიდან ცენტრმა ძველი სტატუსით ფუნქციონირება შეწყვიტა. ორგანიზაცია სამართავად სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს გადაეცა.

## 7. საფრთხესის განცდით დახუცდული უსაფრთხო სკოლა

2010 წლის დეკემბერში, საშობაო არდადევების დადგომამდე, თბილისის 173-ე საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესი ჩაიშალა, სკოლის მოსწავლეები დირექტორის – მზია გიორგობიანის თანამდებობიდან გათავისუფლებას აპროტესტებდნენ.

სკოლაში განათლების მინისტრი დიმიტრი შაშკინი მივიდა. ჯერ პედაგოგებს შეხვდა, მერე შენობის გარეთ „ამბოხებულ“ მოსწავლეებთან შესახვედრად გავიდა, მოსწავლეების რიგებს შეერია და მათთვის დირექტორის სკოლიდან გაშვების დასაბუთებას ცდილობდა.

ტელეკომპანია „მაესტროზე“ გასული ეს სიუჟეტი, რომელიც მინისტრის სკოლაში მისვლას მიეძღვნა, 173-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის ერთ-ერთი მოსწავლის კომენტარით სრულდება: „თერთმეტი წელია, ამ სკოლაში ვსწავლობ და ასეთი რამე არ მინახავს. ბავშვებს ერთმანეთი გვიყვარდა, მასწავლებელთან მეგობრული ურთიერთობა გვქონდა. რაც ეს რაღაც რეფორმა – ჩემი აზრით, უაზრო რეფორმა – შემოიღეს, ყველაფერი შეიცვალა. შეიძლება დანაშაული შემცირდა, მაგრამ სხვა რაღაც, არანაკლებ ცუდი, წარმოიქმნა. დაიკარგა ძველი ურთიერთობა მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის.“

173-ე საჯარო სკოლაში პროცესი ამით არ დამთავრებულა. გათავისუფლებული დირექტორის ადგილზე სკოლის მანდატური დანიშნეს. საქართველოში პირველად მოხდა, როცა დირექტორი იმავე სკოლის მანდატური გახდა. თინათინ ნასიძე დღემდე 173-ე საჯარო სკოლის დირექტორია.

საქართველოში მანდატურის ინსტიტუტის გარშემო დისკუსია არ წყდება. მის შესახებ საზოგადოების სხვადასხვა სპექტრში განსხვავებული შეხედულებები არსებობს. ჩვენი მიზანია, შევისწავლოთ და შეფასებისთვის წარმოვადგინოთ რეალური სურათი.

\* \* \*

სკოლის მანდატურის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მიღების ორი გზა არსებობს: ერთია ოფიციალური - განათლების სამინისტროს კვლევის შედეგები, რომელსაც სამინისტროს საიტზე შეგიძლიათ გაეცნოთ. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ: სკოლებში თითქმის მოისპონ მოსწავლეების მიერ თამბაქოს მოხმარება. 80%-ით შემცირდა მოსწავლეების დაგვიანების, 75%-ით — მოსწავლეების სკოლიდან გაპარვის, ხოლო 95%-ით — ფულის გამოძალვის ფაქტები.

ინფორმაციის მიღების მეორე გზა არაოფიციალურია – ეს არის სკოლის საზოგადოების მიერ მანდატურის საქმიანობის შეფასება. ჩვენ ეს გზა ავირჩიეთ. სკოლის მოსწავლეებთან და პედაგოგებთან დიალოგით, ვეცდებით, დავადგინოთ, რა და როგორ შეიცვალა სკოლებში; რატომ არის მანდატურის ინსტიტუტი ბევრისთვის მტკიცნეული; რამდენად გავრცელდა „სხვა რაღაც, არანაკლებ ცუდი“, რაზეც 173-ე საჯარო სკოლის მოსწავლე საუბრობს და ა.შ.

\* \* \*

20 წელია, რაც თამარი თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის. მას ვთხოვთ, მანდატურების საქმიანობაზე საკუთარი მოსაზრება გაეზიარებინა. „20 წელია სკოლაში ვმუშაობ და ასეთი დაძაბული, როგორიც ახლა ვარ, არასოდეს ვყოფილვარ. მიმართია, რომ სკოლაში ჯანსაღ სასწავლო ატმოსფეროს თბილი, თანამშრომლობითი ურთიერთობების გარეშე ვერ შექმნი. მანდატურის საქმიანობით, განსაკუთრებით, პედაგოგი დაითრგუნა. პედაგოგს, რომელსაც სულ ეშინია, რომ კლასის მცირედ ხმაურზეც კი სასწავლო პროცესში მანდატური ჩაერცვა, ჯანსაღი სასწავლო ატმოსფეროს შექმნაზე ზრუნვას ვერ მოსთხოვ,“ – აღნიშნა თამარმა. მას მიაჩნია, რომ მანდატურის ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია მასწავლებლის დისციპლინურ გადაცდომებზე რეაგირებაა.

სკოლის საზოგადოებიდან მანდატურის მიმართ ყველაზე ნეგატიურად პედაგოგები განეწყვნენ. თამარის განმარტებით, სიტუაციას ისიც ამძიმებდა, რომ პედაგოგთა უმეტესობა 2010 წლის სასერთტიფიკაციო გამოცდებზე მიღებული უარყოფითი შედეგებით ისედაც დაზაფრული იყო. სასერტიფიკაციო გამოცდებზე ჩაჭრილმა და შეშინებულმა პედაგოგებმა — მათი ყოველდღიური პედაგოგიური პრაქტიკის მიმართ მანდატურის დაინტერესებაში — სამსახურის დაკარგვის საფრთხე დაინახეს.

„ყველა ჩვენგანი განიცდიდა გამოცდებს და იმ აუიოტაჟს, რაც შედეგების გამოცხადებას მოჰყვა სხვადასხვა ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამებში. ბევრი პედაგოგის ღირსებას ეს მტკიცნეულად შეეხო. ჯერ კიდევ საგამოცდო სტრესის ქვეშ ვიყავით, სკოლაში მანდატურები რომ შემოვიდნენ. ჩვენთვის ეს გარკვეული საფრთხის მანიშნებელი სიგნალი იყო, შემდეგ ეს მათ საქმიანობაში გამოჩნდა“, – დასძინა თამარმა.

„მანდატურები სკოლაში შემოსვლისთანავე აქტიურად შეუდგნენ დაკისრებული უფლება-მოვალეობების შესრულებას. თავიდან ძალიან ხისტად იქცეოდნენ, ხან მოსწავლეებს უდგენდნენ ოქმებს და ხან მასწავლებლებს. ასეთ ქაოტურ რეჟიმში დაიწყო ახალი სასწავლო წელი“, – იხსენებს თამარი.

ამ ქაოსს ისიც ამძაფრებდა, რომ, არსებული კანონმდებლობიდან გამომდინარე, მანდატურისა და სკოლის დირექციის, სამეურვეო საბჭოსა და დისკიპლინური კომიტეტის ფუნქციები იდენტური იყო: თითოეულ მათგანს სკოლის შინაგანანესის შესრულებაზე კონტროლი ევალებოდა. ამიტომ, მანდატურის სამსახურის შემოღების შემდეგ შექმნილი სიტუაცია სკოლის საზოგადოების ნაწილმა ორხელისუფლებიანობას შეადარა. „ყველა ფრთხილად იყო, დირექტორით დაწყებული, ადმინისტრაციის წევრებით დამთავრებული. ყველგან – პირად საუბრებში, კათედრაზე, დირექტორთან შეხვედრაზე – მუდმივად ერთი რამ გვესმოდა: მთავარია მანდატური როგორ შეაფასებს ჩვენს საქმიანობასო“, – თქვა იმავე სკოლის პედაგოგმა ლალიმ.

„როცა მანდატური გეუბნება, რომ კლასის მართვა არ შეგიძლია, რომ შენი კლასიდან ხმაური გამოდის და ახსნა-განმარტების ჩაბარება გინევს მისთვის ხმაურის მიზეზებზე, მათ შორის, ინტერაქციის შესაძლო პროცესზე, – ეს დამამცირებელია. მაგრამ უფრო დამამცირებელია, თუ საუბარს დერეფანში გამოსული ბავშვებიც ისმენენ...“ – გააგრძელა საუბარი ამავე სკოლის პედაგოგმა მაგდამ. მაგდა სკოლაში 5 წლის მისულია და მიაჩნია, რომ მის პედაგოგიურ წინსვლას და პროფესიულ ზრდას წახალისება უფრო წაადგება, ვიდრე მანდატურების მხრიდან კონტროლი და არაკვალიფიციური კრიტიკა.

მანდატურის ინსტიტუტმა სკოლის ატმოსფერო მნიშვნელოვნად შეცეალა. ამას ყველა მოსწავლე, პედაგოგი, მშობელი ამჩნევს. ზოგისთვის ცვლილებები დადებითია, ზოგისთვის უარყოფითი, მაგრამ იმ ფაქტს, რომ მანდატურის უფრო მეტად პედაგოგს და სკოლის ადმინისტრაციას ეშიანია, – ყველა აღნიშნავს.

რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლე, ვალერი გოგრიჭიანი, დაბეჯითებით ამბობს, რომ მას მანდატურის მიმართ შეძი არ გააჩნია, რომ მათი მხოლოდ მასწავლებლებს ეშინიათ. „თუ კლასში ხმაურია, ოქმს მასწავლებლს უწერენ. ამიტომ მასწავლებლები მუდმივად იმეორებენ: ჩუმად, მანდატურმა არ გაიგოს; ჩუმად, მანდატური მოდისო!“ – გაგვენდო ვალერი.

„დადიან სართულიდან სართულზე და თუ დარღვევებს მიაკვლიეს, ოქმს აფორმებენ, ხშირად უსამართლოდ, უმნიშვნელო დარღვევებზე“, – ამბობს ნინი. ნინი თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში მუშაობს პედაგოგად და მიაჩნია, რომ, მისი კოლეგებისგან განსხვავებით, მანდატურის ნაკლებად ეშინია, რადგან მან კარგად იცის საკუთარი უფლებები და მოვალეობები. თუმცა, იმასაც აღიარებს, რომ ძალიან ფრთხილობს, რადგან თუ მანდატურმა ოქმი დაგიწერა, მართალიც რომ იყო, ვერაფერს გახდები. „რადგან სამინისტროში მანდატურის უფრო სჯერათ, ვიდრე მასწავლებლის,“ – დასძინა ნინიმ.

ნინის ინფორმაციით, სექტემბრიდან მათ სკოლაში ყველა საკლასო ოთახის კარს პატარა ფანჯარა გაუკეთდება იმისათვის, რომ მანდატურმა კლასში სიტუაცია ოთახში შეუსვლელად, ფანჯრიდან გააკონტროლოს.

„ამის შემდეგ ფსიქოლოგიური დაძაბულობა უფრო მოიმატებს, ეს უდავოა. მანდატური თუ რამე დარღვევასთან დაკავშირებით ოქმს გამოწერს, მერე უნდა ამტკიცო, რომ კონკრეტული სიტუაცია არასწორად იყო აღქმული მანდატურის მიერ. მაგრამ ჩემს სიმართლეს, ალბათ, მაინც ვერ დავამტკიცებ,“ – დასძინა ნინიმ.

„ბუჩერის და მენინგის განმარტებით, უსაფრთხო სკოლად ითვლება ისეთი სკოლა, სადაც არამარტო მოსწავლეები, არამედ მასწავლებლები და ადმინისტრაცია მშვიდობიან გარემოში ურთიერთობენ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სასკოლო კლიმატი მუქარისაგან და დაშინებისგან თავისუფალია“. – ვკითხულბოთ ილიას უნივერსიტეტის პროფესორის სოფიო გორგოძის სტატიაში, სადაც ის უსაფრთხო სკოლის მნიშვნელობაზე საუბრობს.

ნაშრომში ვკითხულობთ, რომ სკოლის უსაფრთხო კლიმატის შექმნაზე, ადმინისტრაციასთან ერთად, განსაკუთრებული როლი მასწავლებლებს ენიჭებათ. მასწავლებლები, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უშუალოდ წარმართავენ და პასუხსაც აგებენ სასწავლო პროცესის ფორმირებაზე. შესაბამისად, ისინი პირდაპირ უნდა იყვნენ ჩართულნი ნებისმიერი ტიპის სასწავლო პროგრამის დაგეგმვაში. „ყველაზე ახლოს მათ უხდებათ მოსწავლეებთან ყოფნა და ხშირად პრობლემის ყველაზე რეალისტურ გადაჭრასაც მათ შეუძლიათ მიაგნონ.“ – ვკითხულობთ ნაშრომში.

როგორი რეალობა გვაქვს დღეისათვის? – არსებული სიტუაციით, მასწავლებლისა და მანდატურის თანამშრომლობა ხელოვნური, მხოლოდ ადმინისტრირების წესით შექმნილი ურთიერთობაა და სკოლის გამოწვევებს სათანადოდ ვერ პასუხობს, – მიაჩინია თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორს. მან საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა, რადგან, მისივე თქმით, მანდატურებთან პოზიტიურ ურთიერთობას ინარჩუნებს და ამ განცხადებით სკოლაში სიტუაციის დაძაბვა არ სურს.

„როცა ბავშვი ხედავს, რომ მანდატური და მასწავლებელი და, მათ შორის, დირექტორიც ერთმანეთთან ფარულ დაპირისპირებაში არიან, ბავშვები ვითარებით სარგებლობენ და სხვადასხვა არაჯანსალ მანიპულაციას მიმართავენ, მაგალითად, მასწავლებელს მანდატურთან აპეზლებენ. შესაძლოა, შემთხვევა განგებ დაამახინჯონ, ან შეცვალონ კიდეც,“ — დასძენს ბატონი დავითი. მან მათ სკოლაში მომხდარი ინციდენტი გაიხსენა. ერთ-ერთმა მოსწავლემ ასაკოვანი და დიდი სტაჟის მქონე პედაგოგი მანდატურთან დააბეზლა. მანდატური მოურიდებლად, ისე, რომ სიტუაციაში გარკვევა არც უცდია, შევიდა ოთახში და კლასის თანდასწრებით პედაგოგს უხეშად მიმართა. „ეს ინციდენტი ამ მასწავლებლის სკოლიდან წასვლით დასრულდა, რადგან პედაგოგი შეურაცხყოფილი იყო,“ – დასძინა ბატონმა დავითმა.

ანონიმად დარჩენის მსურველი დირექტორების სიფრთხილე ნაწილობრივ მაინც მისაღებია, თუ გავითვალისწინებთ, რომ პიროვნული დაპირისპირების გამო მანდატურებსა და სკოლის საზოგადოებას, მათ შორის, დირექტორებს შორის არაერთი ინციდენტი მოხდა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტი ქალაქ ფოთის მე-5 საჯარო სკოლაში დადასტურდა. მანდატურთან ინციდენტის გამო სკოლა დატოვა მისმა დირექტორმა ნანა თოფურიამ. ფოთის ტელევიზიონით („მეცხრე ტალღა“) გასულ სიუჟეტში ფოთის მე-5 საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი ამბობს, რომ მანდატურებმა მისი მოსწავლე აიძულეს, დაეწერა ჩვენება, სადაც ის აღწერს, რომ დირექტორი მას ხელით შეეხო. სიუჟეტში მოსწავლის მშობლის აზრიც არის დაფიქსირებული, სადაც იგი ამბობს, რომ მისი შვილი ნაცემი არ იყო და მან მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილება მიიღო დირექტორისგან. მშობელი ეჭვს გამოთქვაშს, რომ მის შვილს ჩვენება შეაცვლევინეს.

სასკოლო სივრცეში მანდატურის გამოჩენის შემდეგ, მასწავლებლის პედაგოგიური ცხოვრება, სასწავლო პროცესის სხვა გამოწვევებთან ერთად, უფრო სტრესული გახდა.

„მასწავლებლობა საკმაოდ რთული პროცესიაა სასწავლო პროცესის გადაწყობა, მისი ახლებური გააზრება და სიახლეების პრაქტიკაში

განხორციელება რთულია. ამ პროცესში მასწავლებელს კვალიფიციური დახმარება უნდა გაეწიოს, როგორც სკოლის გარედან – სხვადასხვა პროფესიული უნარ-ჩვევის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული პროგრამებით – ასევე, სკოლის შიგნით. ამის მაგივრად კი მას მანდატურით ვაშინებთ?“ – აღნიშნავს ფსიქოლოგი მანანა მელიქიშვილი. მას სკოლაში ფსიქოლოგად მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და ხაზგასმით ამბობს, რომ მანდატური პედაგოგის და ბავშვის ურთიერთობაში არ უნდა ჩაერიოს, თუ ადგილი არ აქვს რთული ფორმით აგრესის გამოვლენას.

მანდატური ვალდებულია, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დარღვევები გამოავლინოს, აღწეროს და მათ შესახებ შესაბამისი ელექტ-რონულისაინფორმაციობაზაშექმნას. მას სკოლის შინაგანაწესის შესრულების კონტროლიც ევალება. შინაგანესი კი ამომწურავად განსაზღვრავს დისციპლინური გადაცდომების ნუსხას და ამ გადაცდომებისთვის გათვალისწინებულ დისციპლინურ სასჯელს. მაგრამ, როგორც პედაგოგები ამბობენ, ხშირად მანდატურებს წარმოდგენა არ გააჩნიათ სკოლის შინაგანაწესზე. დარღვევებზე ხისტად, თვითნებურად, სუბიექტურად რეაგირებენ და ერთპიროვნულად იღებენ მოსწავლის სკოლიდან გარიცხვის ან პედაგოგის განთავისუფლების შესახებ გადაწყვეტილებას.

მანდატურები ხშირად არიან თავის ქმედებაში სუბიექტური და ამის დამატებით არაერთი ფაქტი არსებობს.

თბილისის მე-40 საჯარო სკოლაში ერთ-ერთ მოსწავლესა და მანდატურს კონფლიქტი მოუვიდათ. მოსწავლემ მანდატურს შეურაცხყოფა მიაყენა. მანდატურმა ბავშვის სკოლიდან გარიცხვის საკითხი დააყენა. თვითმხილველი ხაზგასმით ამბობს, რომ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კონფლიქტის შემთხვევაში მანდატური მხოლოდ ოქმის შედგენით დაკმაყოფილდებოდა. ამ შემთხვევაში კი მანდატურმა უკანონო და სუბიექტური გადაწყვეტილება მიიღო და მოსწავლის გარიცხვის საკითხი დირექციის წინაშე დააყენა.

ასევე, მანდატურის ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვა სკოლა ქუთაისის №1 საჯარო სკოლის ბიოლოგიის მასწავლებელმა.

თბილისის 32-ე საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელები — გიორგი გუგუშვილი და გიორგი მირიანაშვილიც — სკოლის მანდატურთან შელაპარაკების გამო გარიცხეს სკოლიდან. ამ შემთხვევაშიც სკოლის მანდატურის – ვახტანგ ბერიძის გადაწყვეტილება გახდა ბავშვების სკოლიდან გაძევების საფუძველი.

მანდატურის წინადადების საფუძველზე, თბილისის მე-8 საჯარო სკოლის დირექტორმა ერთ-ერთი მასწავლებლი სამსახურიდან გაათავისუფლა. „კონსტიტუციის 42-ე მუხლმა“ მანდატურის მიერ საჯარო სკოლაში უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე სასამართლოში სარჩელი შეიტანა. იურისტ თამარ გაბისონიას ინფორმაციით, სამოქალაქო სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და საქმე სააპელაციო სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

მანდატურები – ხშირად, თავისი უფლებამოსილების გადამეტებით – სკოლის თვითმმართველობაში ჩართული სხვა რგოლების უმოქმედობის, პარალიზებისა და დასუსტების მიზეზი ხდებიან. მანდატურის წინადადება, როგორც წესი, გადამწყვეტია.

\* \* \*

ნინი დაწყებით კლასებს ასწავლის. ამ კლასებში დისციპლინის დარღვევის სიმცირის გამო ნაკლებად უწევს მანდატურებთან ურთიერთობა. მაგრამ უფროს კლასებში სიტუაცია განსხვავებულია. მანდატური გაკვეთილებზე ხშირად შედის და დისციპლინის დამრღვევი მოსწავლე კლასიდან გამოჰყავს. მანდატური ამ მეთოდით ცდილობს, ხელი შეუწყოს საგაკვეთილო პროცესის მშვიდ გარემოში წარმართვას. „თუმცა, ჩემი კოლეგებისგან ვიცი, რომ ბავშვები მაინც არ იცვლებიან. მეორე დღეს იგივე ბავშვი ისევ ისეთი მოუსვენარია. მაგრამ ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ბავშვებს მაინც ეშინათ მანდატურების მიერ დაწერილი დისციპლინური ოქმების. ამიტომ, თვითონაც და მშობლებიც დაინტერესებულები არიან, მანდატურს თვალში არ მოხვდნენ,“ — ამბობს ნინი.

მანდატური სკოლაში მხოლოდ მასწავლებლის საქმიანობის „მონიტორინგს“ არ ეწევა, მანდატურის მოვალეობა რთული ქცევის ბავშვებთან ურთიერთობაც არის. მას „რთულ“ მოსწავლეთა ქცევაზე დაკვირვება ევალება. „მანდატური სულ იმუქრება, თუ კარგად არ მოიქცევით, გაგიშვებთ სკოლიდან, არ არის აუცილებელი, 12 კლასი ყველამ დაამთავროსო,“ — ლიმილით ამბობს რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლე.

მიუხედავად იმისა, რომ პედაგოგები მანდატურებისგან მუდმივი კონტროლის რეჟიმში იმყოფებიან, მათ მაინც მოუწოდებენ, რომ მანდატურებთან ითანამშრომლონ და ერთად გაუმკლავდნენ რთული ქცევის ბავშვებს. მოსწავლეები ჩივიან, რომ მასწავლებლები მათი მხრიდან ელემენტარული დისციპლინური გადაცდომების დროსაც კი დასახმარებლად მანდატურებს მიმართავენ.

„პირადად მე ოქმი გამიფორმეს იმის გამო, რომ თანაკლასელს თმა მოვქაჩე,“ — ამბობს ნიკა, ქალაქ რუსთავის მე-4 საჯარო სკოლის მოსწავლე. მისი აზრით, მანდატურების დამოკიდებულება ბავშვების მიმართ ხშირად უსამართლოა. მანვე გაიხსენა მათ სკოლაში მომხდარი ბოლო შემთხვევა, როცა სკოლიდან ორი მოსწავლე მხოლოდ იმიტომ გაუშვეს, რომ საპირფარეშოში სიგარეტის სუნი იდგა. „ბავშვები ამტკიცებდნენ, რომ მათ არ მოუწევიათ. მე მჯერა ჩემი კლასელების, მაგრამ რომც მოეწიათ, ამის გამო სკოლიდან გაშვება რა საჭიროა, არ მესმის?“ — კითხულობს ნიკა.

„სკოლაში ერთი დღე მაინც უნდა დაჰყოთ, რომ ნახოთ, რა შედეგები მოაქვს მანდატურს სკოლის ცხოვრებაში. ხანდახან ისეთი უსუსურია მათი ჩარევა სხვადასხვა ტიპის სიტუაციებში, რომ უხერხულობის განცდა მეუფლება. ისინი ისე მარტივად ცდილობენ ხოლმე კონფლიქტის მოგვარებას, მაშინვე მიხვდებით, რომ რთული ქცევის ბავშვებთან ურთიერთობას უფრო მეტი ცოდნა და კვალიფიკაცია სჭირდება,“ — გვითხრა პედაგოგმა, რომელსაც მზევინარი ჰქვია და მისი სადამრიგებლო კლასიდან ერთი მოსწავლის ისტორია გვიამბო.

„მე-8 კლასში ერთი გოგონა ამოიჩემეს თანაკლასელებმა. ბავშვი განსაკუთრებით განიცდიდა ზეწოლას ერთ-ერთი თანაკლასელი გოგონას მხრიდან. მან ეს გოგონა მანდატურთან დაბეზღა. მანდატურმა ბავშვი კლასიდან გაიყვანა, დაარიგა და განუცხადა, რომ თუ ისევ გააგრძელებდა ამგვარ მოქცევას, სკოლის დატოვება მოუწევდა. ამის შემდეგ „მოძალადე“ გოგონა, სხვა თანამოაზრე გოგონებთან ერთად, „ამოჩემებულ“ ბავშვს სკოლის გარეთ დახვდა და შეურაცხყოფა მიაყენა. „ამოჩემებულის“ განცხადებით, სოციალური ქსელის საშუალებით, ყოველდღე მუქარის წერილებს უგზავნიან. ბავშვი იძულებულია, სკოლა დატოვოს და სასწავლებლად სხვაგან გადავიდეს, იმიტომ, რომ ჩვენ ვერ შევძელით, დავხმარებოდით მას თანაკლასელებთან ურთიერთობის მოგვარებაში“.

გიორგი 42-ე საჯარო სკოლაში სწავლობს და აღიარებს, რომ მანდატურების შიშით, სკოლაში აღარ, მაგრამ სკოლის გარეთ ხშირად ხდება ბიჭებს შორის საქმეების გარჩევა. პირველი ნაკადის მანდატურებში იყო ერთი, რომელსაც, გიორგის თქმით, საკმაოდ კარგად ესმოდა ბავშვების: „ოქმებს ნაკლებად წერდა, უფრო ხშირად საუბრობდა ბავშვებთან და ერთხელ სკოლის გარეთ ქუჩაში დაპირისპირებულ მხარესთან შერიგებაშიც დაგვეხმარა. ძალიან კარგი მანდატური იყო. დარწმუნებული ვარ, რომ ახალი ნაკადის მანდატურების უმეტესობა ამგვარ ქცევაზე ოქმს გააფორმებდა. იმ ძველი მანდატურის მიმართ კი ბიჭები კეთილად განვეწყვეთ. ასეთი განწყობა მაშინ მოდის, როცა ხედავ, რომ შენთვის კარგი უნდა ადამიანს. მაგრამ

როცა ყველა დარღვევაზე ოქმს გინერენ, რა უნდა ქნა? ერთადერთი გზა გრჩება: გეშინოდეს და ფრთხილად იყო,“ – ამბობს გიორგი.

გიორგის მანდატურმა ოქმი მხოლოდ იმიტომ გამოუწერა, რომ მანდატურს თავის მენტორულ მითითებაზე: „კლასში ზარის დარეკვამდე შედი“-ო, მოსწავლის პასუხის ტონი (და არა შინაარსი) აგდებული და უზრდელური მოეჩვენა.

გიორგი აღნიშნავს, რომ უფროსკლასელებს აღიზიანებთ მანდატურის მითითებები, რაც ხშირად უთანხმოების მიზეზი ხდება.

\* \* \*

სკოლებში გარკვეული პოზიტიური შედეგებიც არის, მაგალითად, ბავშვები ფიზიკურ ძალადობას სკოლის შენობაში აღარ მიმართავენ. მაგრამ მანდატური ვერ იცავს ბავშვების ფსიქიკას ემოციური საფრთხისაგან. ემოციურ-ფსიქოლოგიური ძალადობის ტიპები - დაცინვა, ქილიკი, ჩაგვრა, დევნა საკმაოდ გავრცელებულია სკოლებში და ამ ტიპის აგრესია ხშირად შეუმჩნეველი რჩება მანდატურისთვის.

მანდატური სასწავლო პროცესს არ ესწრება, ვერ ამჩნევს, თუ რას განიცდიან ბავშვები კლასში, როგორია მათ შორის ურთიერთობები. ამის შემჩნევა მხოლოდ სასწავლო პროცესის უშუალო მონაწილეს – პედაგოგს შეუძლია. სკოლაში ბავშვებს შორის ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთობის ჩამოყალიბების შესაძლებლობასა და გარემოს ძირითადად სასწავლო პროცესი იძლევა და ამ პროცესის მართვაზე პასუხისმგებელი პირი კი მასწავლებელია.

ფსიქოლოგი ნატალია ზაზაშვილი მიიჩნევს, რომ მანდატურის ინსტიტუტის შემოღებამ სკოლა ფიზიკურად უსაფრთხო გახადა, თუმცა, ბავშვებზე „რეპრესის“ გაძლიერებას იგი უარყოფითად აფასებს და გადაჭრით ამბობს, რომ ეს შედეგს არ მოგვცემს. „რეპრესიების გზა არაეფექტურია იმიტომ, რომ ზოგადად ადამიანზე და, მით უფრო, არასრულწლოვანზე, ბავშვზე წნების გაძლიერებამ მხოლოდ პირველ ეტაპზე შეიძლება მოგცეს ეფექტი. მაგრამ, დარწმუნებული იყავით, რომ ასეთი დამოკიდებულება მოზარდში აგრესის დაგროვების წინაპირობა გახდება. ჩვენ მუშაობა იქით უნდა წარვმართოთ, რომ ბავშვს ავუხსნათ, გავაგებინოთ, ჩავაფიქროთ. ჩვენი მიზანი უნდა იყოს, რომ ბავშვმა გაიაზროს თავისი ცუდი ქცევის შედეგები და შეცვალოს ქცევა. ეს რომ შევძლოთ, აუცილებელია, ბავშვი მუდმივად გრძნობდეს, რომ ის უყვართ, რომ მასზე ზრუნავებ.“

როგორც ფსიქოლოგები აღნიშნავენ, ბავშვი რომ აღზარდო, მისი ქცევის შეცვლა რომ შეძლო, პირველ რიგში, მასთან ნდობით გამსჭვალული ემოციური კავშირის დამყარებაა საჭირო. ამგვარი კავშირის დამყარებას კი ხელს ის ფაქტი უშლის, რომ მანდატურები ხშირად იცვლებიან, ერთი სკოლის გარემოსთან ადაპტაციას ვერც ასწრებენ, ისე უხდებათ სხვა სკოლაში გადასვლა.

„მანდატურის ფორმის მორგებამდე პირმა რამდენიმე ეტაპი უნდა გაიაროს“, – ვკითხულობთ საგანმანათლებლო დაწესებულება „მანდატურის სამსახურის“, ოფიციალურ საიტზე. კერძოდ: მსურველი ავსებს განაცხადის ფორმას, შემდეგ აბარებს ტესტირებას უნარ-ჩვევებში. კანდიდატი ბარიერს თუ გადალახავს, მეორე ეტაპზე გასაუბრებას კომისიის წევრებთან და ფსიქოლოგებთან გადის. ბოლო ეტაპი კი სამკვირიან გადამზადებას გულისხმობს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის აკადემიაში.

განათლების სფეროს ექსპერტი გიორგი გახელაძე მიიჩნევს, რომ მანდატურის შესარჩევი საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაბალია. 20 წლის და ზემოთ ასაკის მანდატურს ხშირად სათანადო ცოდნა და გამოცდილება არ გააჩნია, მოსამზადებელი სამკვირიანი კურსები კი სათანადო ცოდნის მისაღებად არასაკმარისია.

„პირველი კვირა ეთმობა გადაუდებელი პირებების საკითხების შესწავლას. დანარჩენი ორი კვირის განმავლობაში სწავლობენ ბავშვების ასაკობრივი განვითარებისა და ქცევის თავისებურებებს. ასევე, საჯარო სკოლის ფუნქციურ განაწილებას და სტრუქტურას,“ – ამბობს გიორგი გახელაძე.

\* \* \*

მოსწავლის საკრედიტო ბარათების შემოღება და სკოლებში ფულის აკრძალვა „უსაფრთხო სკოლის“ კონცეფციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. „უსაფრთხო სკოლის პროგრამის კონცეფციის ავტორები ფიქრობენ, რომ მოსწავლის მშობელმა არჩევანი უნაღდო ანგარიშსწორებაზე უნდა გააკეთოს, რადგან მისი დანერგვა სკოლაში მოსწავლეთა შორის ფულის გამოძალვის ფაქტებს და, ზოგადად, ფულთან დაკავშირებულ პრობლემებს აღმოფხვრის.

„ლიბერთი ბანკის“ „უსაფრთხო და ჯანმრთელი სკოლის“ პროგრამის ანგარიშის მიხედვით, 2010 წლის დეკემბრის ჩათვლით, ბარათი 30 000 მოსწავლეს დაუმზადდა. მაგრამ საკრედიტო ბარათით მოსწავლეთა მცირე ნაწილი სარგებლობს, რაც ცხადს ხდის, რომ უნაღდო ანგარიშსწორების

სერვისმა მშობლების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. თავდაპირველად, საკრედიტო ბარათის დამზადებისთვის მშობელს მხოლოდ სკოლაში მისვლა და შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერა ევალებოდა. მაგრამ ეს პირობა მშობელთა გააქტიურებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. მშობელთა უმრავლესობა ბარათის ასაღებად სკოლაში დღემდე არ მისულა, ხოლო ვინც აიღო, მათი უმრავლესობა ბარათს არ იყენებს.

მშობელთა დიდი ნაწილი არჩევს, შვილს ტრადიციულად ფული ხელში მისცეს, ვიდრე ბარათზე ჩაურიცხოს.

„უნაღდო ანგარიშსნორების დანერგვა სკოლებში ფულის გამოძალვასთან დაკავშირებულ პრობლემებს ვერ აღმოფხვრის. ფულს თუ არა, ბარათებს ართმევენ ერთმანეთს და ასეთი ფაქტები იყო ჩვენს სკოლაში. გარდა ამისა, „პოსტერმინალები“ ძალიან გაუმართავია. საკმარისია ერთი შეცდომა და ყველაფერი ირევა,“ – ამბობს მე-20 საჯარო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის მშობელი.

სამინისტრომ სერვისის დასანერგად, 2011 წლის იანვრიდან მარტის ჩათვლით, საპილოტე სკოლების სასადილოებში ნაღდი ანგარიშსნორება აკრძალა.

„მინისტრი შაშვინი დირექტორებს ყველა შეხვედრაზე გვაფრთხილებდა, – აიძულეთ მშობლები, ბარათები აიღონ და მათზე ფული ჩატვირთონ. როგორ ვაძულო მშობელი, როცა მეუბნება, რომ იგი ამ ინიციატივის აზრს ვერ ხედავს?“ – ამბობს ერთ-ერთი საჯარო სკოლის დირექტორი, რომელმაც საკუთარი ვინაობის გამხელა არ ისურვა.

ნაღდი ანგარიშსნორების აკრძალვამ საპილოტე სკოლის სასადილოების დაცარიელება და სკოლაში შესული მენარმეების ისედაც ლარიბი ბიზნესის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვია. ალბათ, ამიტომ აკრძალვა 2 თვეში, მარტის დასაწყისში დროებით მოიხსნა და მომავალი სასწავლო წლის 15 სექტემბრამდე გადავადდა.

სკოლებში უნაღდო ანგარიშსნორების დანერგვა ფინანსურ სიძნე-ლეებთანაც არის დაკავშირებული. მოქნილი და სწრაფი სერვისის დანერგვა ძვირი ჯდება. შესაბამისად, რთული სათქმელია, 15 სექტემბერს, ახალი სასწავლო წლის დასაწყისში, უნაღდო ანგარიშსნორების საპილოტე პროგრამის ფარგლებში, ნაღდ ფულზე ვაჭრობის აკრძალვას როგორი მზაობით შეხვდება სკოლები და ამჯერად მაინც თუ მოიწონებენ მშობლები სამინისტროს ინიციატივას.

\* \* \*

უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე მომზა-  
დებულ სიღრმისეულ რეპორტაჟში მეტ-ნაკლებად სრულად რომ აგვესახა  
საქართველოს საჯარო სკოლებში არსებული ვითარება, საგანმანათლებლო  
დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან შემდეგი ინფორმაცია  
გამოვითხოვთ:

1. არის თუ არა გამოვლენილი მანდატურების მიერ გადაცდომის ჩადენის  
შემთხვევები;

დადებითი პასუხის შემთხვევაში, როგორია სტატისტიკური ინფორმაცია  
(მანდატურთა იდენტიფიცირების გარეშე):

ა) ვინ იყო დისციპლინური სახდელის შეფარდების საკითხის დამყენებელი  
სუბიექტი და რამდენ შემთხვევაში?

ბ) რამდენი საქმე გადაწყდა მანდატურების სასარგებლოდ და რამდენ  
შემთხვევაში დაედო მათ სახდელი?

გ) რომელი სახდელი იქნა გამოყენებული თითოეული ინდივიდუალური  
დისციპლინური გადაცდომისათვის?

თუ აღნიშნული ინფორმაცია არ მოიპოვებოდა სტატისტიკური  
მონაცემების სახით, მოვითხოვეთ, რომ გადმომოვათ შესაბამისი დისციპ-  
ლინური სამართალწარმოების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების  
ყველა ასლი. თანახმა ვიყავით, ასლები მოეწოდებინათ იმ ფორმით, რომ  
შეუძლებელი ყოფილიყო კონკრეტული პირების იდენტიფიცირება.

2. რამდენი მანდატური მუშაობს სისტემაში?

3. საჯარო სკოლაში დასაქმებამდე, პროფესიული მომზადების რა კურსს  
გადიან მანდატურები?

4. როგორ რეგულირდება საჯარო სკოლებში მანდატურების როტაცია?

5. როგორი სისტემით ხორციელდება მანდატურთა საქმიანობის  
მონიტორინგი და, კონკრეტულად, რომელი დოკუმენტით რეგულირდება ეს  
პროცედურები?

სამწუხაროდ, წერილობითი ფორმით გაგზავნილ შეკითხვებზე მანდატურის  
სამსახურის მხრიდან პასუხი არ მიგვიღია და არც იმის შესაძლებლობა  
მოგვცემია, რომ პირადად შევხვედროდით და გავსაუბრებოდით ამ  
სამსახურის რომელიმე წარმომადგენელს, ვისაც ჩვენს კითხვებზე  
კვალიფიციური პასუხის გაცემა შეუძლია.

ამასთან, ბოდიშს ვიხდით იმის გამო, რომ რეპორტაჟის მომზადების პროცესში ჩართული პირები – მათ შორის, პედაგოგები, დირექტორები, მოსწავლეები – არ არიან იდენტიფიცირებულნი. მხოლოდ ეს ფაქტიც თვალსაჩინოდ მიუთითებს, რამდენად არაუსაფრთხოდ გრძნობენ თავს სკოლის საზოგადოების წევრები.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შევეცდებით, ჩამოვაყალიბოთ მიზეზების ერთობლიობა, რომელიც ქმნის დღეს საჯარო სკოლებში არსებულ სურათს:

პედაგოგებს მანდატურის უფლება-მოვალეობების შესახებ მკაფიო წარმოდგენა არ გააჩნიათ. ხშირად მათ არ იციან, რის უფლებას ანიჭებს და რა მოვალეობებს აკისრებს კანონი მანდატურს. მაგრამ არის შემთხვევები, როცა პედაგოგი საკმარის ინფორმაციას ფლობს სკოლის მანდატურის უფლება-მოვალეობების შესახებ, კითხვები კი მაინც უჩნდება. ამ შემთხვევაში, პასუხის გამცემი არავინაა. უფლება-მოვალეობების შესახებ ინფორმაციის დეფიციტის გამო, რესპონდენტები მანდატურების საქმიანობის შეფასებისას, პირველ რიგში, მათ პიროვნულ თვისებებს გამოყოფენ. ჩემი აზრით, მანდატურის უფლება-მოვალეობებზე სკოლის საზოგადოება მეტად ინფორმირებული უნდა იყოს და მანდატურის შეფასებაც სწორი კრიტერიუმებით უნდა ხდებოდეს. პედაგოგებმა კარგად უნდა იცოდნენ, რისი უფლება აქვს მანდატურს და რისი – არა; როდის მოქმედებს მანდატური კანონის შესაბამისად და როდის – არა; რა ძალა აქვს მანდატურის მიერ დაწერილ ოქმს; ვინ და რის საფუძველზე აკონტროლებს მანდატურის საქმიანობას და ა.შ.

როგორც წესი, მანდატურების მიმართ კრიტიკულად უფროსკლასელი მოსწავლეები არიან განწყობილნი. მათი თქმით, ხშირად მანდატურების გადაწყვეტილებები უსამართლოა; ხშირად იგი ვერ ახერხებს კარგი პიროვნული ურთიერთობების ჩამოყალიბებას მოსწავლეებთან. ერთ-ერთმა მოსწავლემ აღნიშნა, რომ არის შემთხვევები, როცა საერთოდ ვერ იგებს, რას ითხოვს მანდატური მისგან. ჩემი აზრით, აუცილებელია, მოსწავლეებს მკაფიოდ განუმარტონ მოსწავლის ქცევის წესები, დისციპლინური გადაცდომის სახეები და შესაბამისი სახდელები. ეს დიდწილად აღმოფხვრის გაუგებრობებს მანდატურისა და უფროსკლასელების ურთიერთობაში.

პედაგოგებს მანდატურების ეშიანიათ. ეს გარემოება ხელს უშლის ამ ორ სუბიექტს შორის ჯანსაღი თანამშრომლობითი ურთიერთობების

ჩამოყალიბებას. ხშირად ადგილი აქვს მანდატურსა და პედაგოგს შორის პიროვნულ დაპირისპირებას, რაც ცუდად აისახება სკოლის ცხოვრებაზე და, წახალისების ნაცვლად, აფერხებს იმ ადამიანური რესურსის ეფექტიანად ამოქმედებას, რამაც სკოლის განვითარება და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა უნდა უზრუნველყოს.

მანდატური „ძლევამოსილი“ პოზიციიდან აკნინებს სკოლის თვითმმართველი რგოლების ფუნქციებს, რაც გამორიცხავს სკოლის დემოკრატიულ განვითარებას და სრულად ეწინააღმდეგება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის სულისკვეთებას.

დაბოლოს: თუ ზოგადი განათლების ეროვნულ დოკუმენტში ასახული განათლების კონცეფციის მიზანი ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც მოზარდს გონიეროვ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს უვითარებს, საჭირო ცოდნას აძლევს, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას უყალიბებს, – მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს სკოლებში არსებული გარემო თავისუფალი მოზარდის აღზრდის პირობებს ვერ ქმნის.

---

## 8. დასკვნითი ნაილი

### 8.1 სიტუაციის ზოგადი აღნერა

2004 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ ფართომასშტაბიანი სისტემური რეფორმები განახორციელა როგორც სკოლის მართვისა და მისი ფინანსური შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, ასევე სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

რეფორმის კონცეფცია ეფუძნებოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების დეცენტრალიზაციას, სკოლის თვითმმართველობების ჩამოყალიბებას, სკოლის ფინანსური რესურსების დაკავშირებას მოსწავლეთა რაოდენობასთან, სახელმძღვანელოების შერჩევის ახლებური წესის ჩამოყალიბებას, მასწავლებელთა გადამზადებასა და სერტიფიცირებას.

რეფორმის ერთ-ერთი სფერო სკოლების უსაფრთხოება იყო.

ზოგადი განათლების რეფორმირების კონცეფცია ნორმატიულ აქტად გარდაიქმნა და აისახა 2005 წლის 8 აპრილს მიღებულ კანონში „ზოგადი განათლების შესახებ“. აღნიშნული კანონის საფუძველზე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ჩამოყალიბდა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად, რომელსაც ავტონომიურობის მაღალი ხარისხი ჰქონდა. სკოლაში დირექტორის თანამდებობა არჩევითი იყო. სკოლის ცხოვრების მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობდნენ როგორც სამეურვეო საბჭოს, ასევე, დისციპლინური კომიტეტისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები — პედაგოგები, მოსწავლეები და მშობლები.

სკოლის სამეურვეო საბჭოს დასახმარებლად სახელმწიფომ დიდი ძალისხმევა გასწია: 2005-2008 წლებში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელდა პროექტი „განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და აკრედიტაცია“, რომლის ფარგლებშიც ტრენინგები მომზადდა სკოლის ახალი მმართველობითი გუნდის გაძლიერების მიზნით.

2007 წელს გაეროს ბავშვთა ფონდმა (UNICEF), საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, ჩაატარა კვლევა, სათაურით: „ეროვნული კვლევა სკოლაში ძალადობის აღმოსაფხვრელად“.

კვლევამ აჩვენა, რომ ბევრი მოსწავლე სკოლაში სხვადასხვა სახის ძალადობის მსხვერპლია და რომ ამ პრობლემის მოსაგვარებლად ერთი გამოსავალი ვერ იარსებებს – კომპლექსური ღონისძიებებია საჭირო.

საერთაშორისო გამოცდილების თანახმად, ძირითადად გამოიყოფა უსაფრთხოების ორგვარი კონცეფცია, რომელიც განსხვავებული ცნებებით გამოიხატება:

- ა) პროცესზე დაფუძნებული მიდგომა;
- პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა.
- ბ) ზრუნვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო;
- კონტროლზე ორიენტირებული სასკოლო გარემო.
- გ) პრევენციული ღონისძიებების პრიმატი;
- ინტერვენციული ღონისძიებების პრიმატი.

პროდუქტზე დაფუძნებული მიდგომა დაცვას, კამერებს, დეტექტორებს, მოსწავლეთა პირადი საქმეების კომპიუტერულ უზრუნველყოფას მოიცავს; ხოლო პროცესზე დაფუძნებული მიდგომა – პოზიტიურ სასკოლო კლიმატს, მოსწავლეთა და სკოლის თანამშრომელთა მხარდაჭერის სისტემას და კონსულტაციების შესაძლებლობებს გულისხმობს.

ზრუნვაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო ნიშნავს თანამშრომლობით ურთიერთობებს მოსწავლეს, მშობელსა და პედაგოგს შორის, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის აქტიურ მონაწილეობას სკოლის ცხოვრებაში, პასუხისმგებლობის გრძნობის ამაღლებას, უსაფრთხოების განცდის უზრუნველყოფას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე – მასწავლებლებისთვის. კონტროლზე ორიენტირებული გარემო კი ნიშნავს მკაცრ ცენტრალიზაციას, გადაწყვეტილების მიმღები პირების წრის მაქსიმალურად დავიწროებას და აქცენტს სადამსჯელო ღონისძიებებზე.

პრევენციული ღონისძიებების პრიმატი ნიშნავს სკოლის იმგვარად მოწყობას, რომ სასკოლო გარემოში ძალადობა მაქსიმალურად შეიზღუდოს; მოხდეს სარისკო ქცევის იდენტიფიცირება ადრეულ ეტაპზე და მისი მართვა. ინტერვენციული ღონისძიებების პრიმატი ნიშნავს კონფლიქტზე მეყსეულ რეაგირებას; ეფექტიანი და ქმედითი სანქციების ერთობლიობას ძალადობის აღმოსაფხვრელად.

მიჩნეულია, რომ პროდუქტზე დაფუძნებული, კონტროლზე ორიენტირებული, ინტერვენციული მიდგომა სწრაფი შედეგის მომტანია, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში პროგრესს ვერ უზრუნველყოფს. ხოლო

---

პროცესზე დაფუძნებული, ზრუნვაზე ორიენტირებული, პრევენციული მიღება გრძელვადიან შედეგზეა გათვლილი და სტაბილური პროგრესის მისაღწევად ყველაზე ეფექტური გზაა.

საქართველოს განათლების სისტემისთვის უნდა შერჩეულიყო ზემოთ აღნერილიდან ერთ-ერთი კონცეფცია, ან შერეული მოდელი.

\* \* \*

2008 წლის მარტში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით დაიწყო „უსაფრთხო სკოლის პროგრამის“ განხორციელება. აღნიშნული პროგრამა გულისხმობდა ევროპის საბჭოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი ინიციატივის – „ძალადობის შემცირება სკოლაში“ (Viris) დანერგვას. პროგრამის მიზანი იყო ძალადობის პრევენცია და ბავშვზე ორიენტირებული სკოლის (Child-friendly school) კონცეფციის ხორციელება. პროგრამის ფარგლებში დაიგეგმა 11 მიმართულება და 10 ქვეპროგრამა. ამათგან, ძირითადი მიმართულებები ყველა საჯარო სკოლაში, ქვეპროგრამები კი 40 საპილოტე სკოლაში უნდა განხორციელებულიყო.

ძირითადი მიმართულებები იყო:

1. მოსწავლეთა ქცევის კოდექსი;
2. მასწავლებლის ეთიკის კოდექსი;
3. საჯარო სკოლის დისციპლინური კომიტეტი;
4. საჯარო სკოლის სააპელაციო კომიტეტი;
5. მოსწავლეთა პირადი საქმეები;
6. სკოლის შიდა აუდიტი;
7. კლასგარეშე დროის გამოყენებისათვის კლუბებისა და წრეების მუშაობის ორგანიზება;
8. სკოლის და პოლიციის თანამშრომლობა; ტრენინგ- მოდულის შექმნა პოლიციის თანამშრომლებისათვის;
9. გაცდენა-დაგვიანებების აღრიცხვა და კონტროლი;
10. კვლევა;
11. ბროშურები.

განსახორციელებელი ქვეპროგრამების ნუსხა კი ასეთი იყო:

1. ინტერაქტიული თეატრი;
2. სასჯელალსრულებით დაწესებულებებთან თანამშრომლობა;
3. ცნობილ სახეებთან ერთად ანტიდანაშაულებრივი კამპანიის წამოწყება;
4. სკოლის ფსიქოლოგთა/მედიატორთა გადამზადება;
5. ბავშვთა ტოლერანტობა;
6. სკოლის მოსწავლეების წაყვანა წარმატებულ ორგანიზაციებში;
7. მშობელთა პედაგოგიზაცია;
8. საგზაო უსაფრთხოება მოზარდებისთვის;
9. სკოლის მასწავლებელთა ტრენინგი;
10. საბოლოო შედეგების კვლევა.

გარდა ამისა, ყველა სკოლას უნდა ჰქონოდა საევაკუაციო გეგმა; ჰყოლოდა კრიზისის მართვის ჯგუფი და პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება. დაიგეგმა სკოლის ფიზიკური სტანდარტების შემუშავება და აკრედიტაციის სტანდარტში ჩადება; კურიკულუმში უნდა შესულიყო პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნებოდა ჩაგვრის წინააღმდეგ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უნივერსიტეტების ფსიქოლოგის ფაკულტეტებთან უნდა დაედო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, მე-3 და მე-4 კურსის სტუდენტები, კრედიტის მიღების სანაცვლოდ, სკოლებში ივლიდნენ და პედაგოგებს და მოსწავლეებს დაეხმარებოდნენ.

როგორც ვხედავთ, საქართველოს სასკოლო განათლების სისტემისთვის შეირჩა უსაფრთხო სკოლის კონცეფციის შერეული მოდელი, რომელიც მოიცავდა როგორც ზრუნვის, ასევე კონტროლის; როგორც პრევენციის, ასევე – ინტერვენციის ელემენტებს.

პარალელურად, 2007 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული კვლევის მონაწილეთა და განათლების სამინისტროს კონსულტანტების დახმარებით, შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთაგან რამდენიმეს გთავაზობთ:

- 
- ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით უნდა ჩამოყალიბდეს „უსაფრთხო სკოლის ეროვნული პოლიტიკა“. მას მხარს უნდა უჭერდეს ეროვნული სტრატეგია, თავისი ხარჯთეფექტური დაფინანსებით. სტრატეგიაში უნდა აღინეროს, თუ როგორ შეიქმნას და შენარჩუნდეს სკოლებში უსაფრთხო და დაცული სასწავლო გარემო ყველა ბავშვისა და მოზარდისათვის. სკოლის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობა.
  - უნდა ჩამოყალიბდეს ეროვნული ფორუმი სკოლაში ძალადობის შემცირებისათვის, რათა მონიტორინგი გაეწიოს ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიის განუხრელ განხორციელებას და დახვენას. ამ სტრატეგიამ უნდა უზრუნველყოს ბავშვებისა და მოზარდების უფლება, მიიღონ განათლება ძალადობისგან თავისუფალ სკოლებში.
  - სკოლებში ძალადობის შემცირების პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები იმგვარად უნდა შემუშავდეს, რომ გარემომ ხელი შეუწყოს პროსოციალურ ქცევას. პოლიტიკა და სამოქმედო გეგმები არ უნდა ემყარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სანქციებს ძალადობის აღმოსაფხვრელად; ისინი მიმართული უნდა იყოს პრევენციაზე. დროულად უნდა გამოვლინდეს ძალადობის შემთხვევები და მათზე შესაბამისი რეაგირება უნდა განხორციელდეს. სკოლებში მხარი უნდა დაეჭიროს არამოძალადეობრივი და პროსოციალური ქცევის დადებით მოდელირებას პერსონალის ტრენინგით პროფესიულ განვითარებაში, რაც ყველა სკოლაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი.
  - ბავშვთა დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, უნდა გადამზადდნენ პროფესიონალები საქართველოს ყველა რეგიონში (სოფლების ჩათვლით) – ბავშვების მიმართ ძალადობის გამოვლენისა და მართვის კუთხით. ეს ესება სკოლის ფსიქოლოგებსაც, რომელთაც უნდა შეეძლოთ ძალადობის მსხვერპლთა ადეკვატური მხარდაჭერა, ასევე, ბავშვებისა და მოზარდებისათვის დახმარების განევა კრიზისულ სიტუაციათა მართვაში.

პროგრამის მიმართულებებისა და ქვეპროგრამების განხორციელების მიზნით, შეიქმნა ქცევის კოდექსები; საპილოტე სკოლებში ინტერაქტიული თეატრი ამოქმედდა; შეიქმნა და საპილოტე სკოლებში გამოიცადა საგზაო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო; თანამშრომლობის პირველი ნაბიჯები გადაიდგა პოლიციასთან. თუმცა, უსაფრთხო სკოლის პროგრამის საფუძვლიანი შეფასება არ მომხდარა.

\* \* \*

2007 წლის ნოემბრის შემდეგ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მინისტრების სწრაფი ცვლა დაიწყო: ბოლო სამი წლის განმავლობაში 4 ახალი მინისტრი დაინიშნა. უმაღლეს მენეჯერულ დონეზე – და, ასევე, პერსონალის დონეზეც – ხშირმა ცვლილებებმა განათლების სფეროში სტრატეგიული განვითარების ვექტორი შეცვალა.

ვექტორის ცვლილების პირველი ნიშნები „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ტექსტში გამოჩნდა. კანონმა მიღების შემდეგ 30-ზე მეტი ცვლილება განიცადა, რომელთა ნაწილმა ზოგიერთ საკითხში არსებითად შეცვალა კანონის არსი. ასეთ საკითხებს, სხვა საკითხებთან ერთად, განეკუთვნება სკოლების დეცენტრალიზაცია და უსაფრთხო სკოლაც. თავიდან კანონი გაჯერებული იყო სკოლებში თვითმმართველობის დამკვიდრებისა და განვითარების ხელშეწყობის სულისკვეთებით. განხორციელებულმა ცვლილებებმა კი კანონს ეს სულისკვეთება ეტაპობრივად, ნაბიჯ-ნაბიჯ გამოაცალა.

### წარმოგიდგენთ რამდენიმე ცვლილებას:

- კანონის ძველი რედაქცია კრძალავდა სამეურვეო საბჭოსათვის დირექტორობის იმ კანდიდატის განმეორებით წარდგენას, რომელიც არ იქნა არჩეული დირექტორად. კანონის ახალმა რედაქციამ ეს მოთხოვნა გააუქმა. ცვლილებამ სამეურვეო საბჭო ნაკლებად დაცული გახადა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ზეწოლისაგან.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს მიენიჭა უფლება, დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტის ან დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების 60 სასწავლო დღის განმავლობაში განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, დანიშნოს და გაათავისუფლოს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გაუჩნდა უფლებამოსილება, გაფრთხილების გარეშე დაითხოვოს საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭო, თუ იგი უკანონოდ გაათავისუფლებს დირექტორს, – რაც დადასტურებულია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული შესაბამისი გადაწყვეტილებით.
- შეიცვალა სახელმწიფო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე სახელმწიფო კონტოროლის ცნებაც. ძველი რედაქციით, სახელმწიფო კონტროლად მიიჩნეოდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების

---

შესრულებაზე ზედამხედველობა. ცვლილების შემდეგ, სკოლას დაევალა, შეასრულოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, რამაც სკოლის ავტონომიურობა შეამცირა.

- სკოლის სამეურვეო საბჭოს დაეკისრავალდებულება, დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარდგინებაში მითითებულ ვადაში განიხილოს. სამეურვეო საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, თუ სკოლის დირექტორს უფლებამოსილებას ვადამდე არ შეუწყვეტს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კანონი უფლებას აძლევს, არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას და სკოლის დირექტორს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყვიტოს.
- დირექტორისათვის უფლებამოსილების (მათ შორის, ვადამდე) შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი დირექტორის კანონით გათვალისწინებულ არჩევამდე (დანიშვნამდე) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება მიენიჭა, დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი დანიშნოს. თუ აღნიშნულის შემდეგ სამეურვეო საბჭოს მიერ საჯარო სკოლის დირექტორის შესარჩევი კონკურსის წესის შესაბამისად არ/ვერ აირჩია დირექტორი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია, დანიშნოს დირექტორი.
- დირექტორის შვებულებით სარგებლობის საკითხის გადაწყვეტა, გარდა სამეურვეო საბჭოს თანხმობისა, საჭიროებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობას. სკოლის დირექტორის შვებულებიდან გამოძახება კი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილებად განისაზღვრა.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უკვე სავალდებულოდ ნიშნავს ყველა საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოში ერთ წევრს, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალური აპარატის წარმომადგენელი, ან პირი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების საშტატო განრიგით გათვალისწინებული შემადგენლობიდან. განსხვავებით კანონის ძველი რედაქციისაგან, ასეთი წევრი აღარ ინიშნება საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარდგინებით.
- შესაძლებელი გახდა, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელი საბჭოს წევრი არჩეულ იქნას სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ.

- სამეურვეო საბჭოს რიგგარეშე სხდომის მოწვევის უფლებამოსილება მიენიჭა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნულ წარმომადგენელს.

კანონის მიზნები, რომლის მიხედვითაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ფინანსურად და ადმინისტრაციულად ავტონომიურ ერთეულებად უნდა ჩამოყალიბებულიყო და სისტემის დეცენტრალიზაცია უნდა მომხდარიყო – დღემდე ოფიციალურად არ შეცვლილა. თუმცა, ის გზა, რომელიც კანონის მიღების შემდეგ სახელმწიფომ აირჩია ზოგადი განათლების სფეროში რეფორმების განსახორციელებლად, კანონის თავდაპირველ მიზნებთან თანხვედრი აღარ არის.

ამ საკანონმდებლო ცვლილებების ფონზე, რომლებიც აშკარად ხასიათდება სისტემის ცენტრალიზაციის ტენდენციით, შეიცვალა უსაფრთხო სკოლის ის კონცეფციაც, რომელიც შერეული მოდელის დანერგვას გულისხმობდა. 2010 წლის ივლისში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონს დაემატა ცალკე X<sup>1</sup> თავი, რომლის თანახმად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თავისსავე სისტემაში ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურს. ამ სამსახურის ამოცანაა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა. აღნიშნული სამსახურის საქმიანობის საერთო ხელმძღვანელობასა და კონტროლს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ახორციელებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი — საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური — ანგარიშვალდებულია სამინისტროს წინაშე. სამსახურის დებულებას, მანდატურის ეთიკის კოდექსსა და მის მიერ განუული მომსახურების საფასურს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს.

2010 წლის მარტიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მინისტრის — დიმიტრი შაშვინის — ინიციატივით, დაიწყო უსაფრთხო სკოლის პროგრამის საპილოტე პროექტის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავდა სკოლის დაცვასა და უსაფრთხოებას მანდატურების მეშვეობით. საპილოტე პროექტის შინაარსი და მიზნები განათლების სპეციალისტებთან ერთად არ განუხილავთ. მისი არსი ბუნდოვანი იყო საზოგადოებისთვის. სფეროს წარმომადგენლებს აინტერესებდათ, რამდენად უკავშირდებოდა ახალი პროექტი ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. პროექტის დაწყებიდან ორი კვირის შემდეგ მინისტრმა პროექტი შეაფასა, როგორც წარმატებული.

---

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უსაფრთხო სკოლის შესახებ 2010 - 2011 წლებში შემუშავებული კონცეფცია ძველისგან მკვეთრად განსხვავდებოდა და უკვე შემდეგ კომპონენტებს მოიცავდა:

- სასკოლო მანდატურის ინსტიტუტის შექმნა;
- სკოლების დაყოფა სამი სასწავლო საფეხურის მიხედვით;
- ვიდეოთვალის მეშვეობით სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო ზონების შექმნა;
- მოსწავლეთათვის საკრედიტო საბარათე სისტემის შემოღება და მისი მიბმა პორტალზე;
- მოსწავლეთა ცნობიერების ასამაღლებლად პროკურატურის, პოლიციისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლების მიერ ადამიანის უფლებებსა და სხვა სამართლებლივ საკითხებზე შეხვედრების ორგანიზება.

როგორც თვალით ჩანს, უსაფრთხო სკოლის კონცეფციას ჩამოშორდა ზრუნვაზე, პრევენციაზე, პროცესზე ორიენტირებული მიდგომის ბევრი კომპონენტი და გაძლიერდა კონტროლზე, ინტერვენციაზე, პროდუქტზე ორიენტირებული მიდგომა.

სასკოლო განათლების სფეროში არსებული ზოგადი სურათის აღწერისას, კანონის გარდა, აუცილებელია, გავიხსენოთ კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ 2004 წლის 18 ოქტომბრის N84 დადგენილებით დაამტკიცა. ეს დოკუმენტია „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“. გთავზობთ ამ დოკუმენტით განსაზღვრულ რამდენიმე მიზანს.

- ზოგადი განათლების სისტემამ უნდა შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის.
- სასკოლო განათლებამ უნდა განუვითაროს მოზარდს პირად, ოჯახურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევები.
- მოსწავლეს უნდა ჩამოუყალიბდეს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება.
- სკოლამ უნდა გამოუმუშაოს მოზარდს ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარი, რომელსაც იგი გამოიყენებს საკუთარი და სხვისი თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად.

- მოზარდს უნდა შეეძლოს ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელება და ამ პრინციპებით ცხოვრება.

ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები - ამ დოკუმენტის მიღებიდან დღემდე - არავის შეუცვლია და იგულისხმება, რომ საჯარო სკოლებში ამჟამად არსებული ვითარება კვლავ ზემოთ აღნერილ და სხვა მსგავს მიზნებს ემსახურება.

## 8.2 პროგლობი და გამოცვევები

საჯარო სკოლების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთო სურათის აღნერის შემდეგ, გიამბობთ იმ პრობლემებსა და გამოწვევებზე, რომლებსაც, ჩვენი აზრით ეს საერთო სურათი წარმოაჩენს.

1. უსაფრთხო სკოლის პროგრამა, რომელიც ამჟამად ხორციელდება, საზოგადოების ბუნებრივ ინტერესს იწვევს. ბევრი სიახლე სკოლებში სწრაფად ინერგება, მაგრამ საზოგადოება და სკოლის თემიც კი არ არის სრულად ინფორმირებული ამ სიახლეებისა და მათი შედეგების შესახებ. პრობლემას, სულ მცირე, სამი მდგრენელი აქვს.

- ბრძანება N837, რომელიც გადაულახავ ბარიერს ქმნის სკოლაში შესაღწევად. უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგი შეუძლებელია სკოლებში მიმდინარე პროცესზე უშუალო დაკვირვებით. ამის უმთავრესი მიზეზია განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, ბატონი დიმიტრი შაშკინის მიერ 2010 წლის 12 ნოემბერს გამოცემული ბრძანება N837, რომლის თანახმად, „საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ლექციები, სემინარები, ტრენინგები ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უნდა ჩატარდეს მხოლოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით“. ეს ბრძანება საჯარო სკოლებს იზოლაციაში აქცევს საზოგადოებისგან. დაინტერესებული პირებისთვის, ორგანიზაციებისთვის, განათლების სფეროს ექსპერტებისთვის შეუძლებელი ხდება სკოლაში მიმდინარე პროცესების აღნერა, გაანალიზება, შეფასება. 2011 წლის 13 სექტემბერს, პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტში სტუმრობისას, ბატონ შაშკინს, სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის ინიციატივით, საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა გიორგი თარგამაძემ დაუსვა შეკითხვა, თუ რამდენმა ფიზიკურმა/იურიდიულმა პირმა ითხოვა სკოლაში შესვლა N837 ბრძანების

---

გამოცემის შემდეგ; რამდენს დაერთო ნება, რამდენს ეთქვა უარი და რატომ. მინისტრმა, სამწუხაროდ, შეკითხვას კონკრეტულად არ უპასუხა და დღემდე უცნობია, რამდენი ფიზიკური თუ იურიდიული პირია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის მდგომარეობაში, როდესაც მინისტრის პრძანების თანახმად გამოთხოვილ ნებართვაზე თვეების განმავლობაში პასუხი არ მიგვიღია — არც თანხმობა და არც უარი. შესაბამისად, ჩვენ ვერ შევძელით სკოლებში შესვლა უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგისთვის, რამაც იძულებული გაგხადა, მონიტორინგის მთელი დატვირთვა სკოლის გარეთ არსებულ საზოგადოებაზე — მოქალაქე უურნალისტებზე — გადაგვეტანა. ჩვენი შემთხვევა არ არის გამონაკლისი. გულწრფელი მცდელობის მიუხედავად, ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი იურიდიული პირი, რომელსაც სამინისტრომ სკოლაში შესვლის ნება დართო.

- **საჯარო ინფორმაციაზე ხელმიუწვდომლობა და ურთიერთობის შეზღუდვა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.** მოქალაქე უურნალისტების მიერ მოწოდებული მასალის ერთი ნაწილის გადამოწმება მოითხოვდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვას განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან, აგრეთვე, საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურიდან. სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაგზავნილი 9 წერილიდან პასუხი მიიღო მხოლოდ ერთზე (წერილში ვითხოვდით მანდატურის სამსახურის უფროსის სახელს, გვარს და საკონტაქტო ინფორმაციას); ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურში გაგზავნილ 5 წერილზე არც ერთი პასუხი არ მიგვიღია. შეუძლებელი აღმოჩნდა სამსახურის უფროსთან, ბატონ ზვიად ხიდიშელთან პირადად შეხვედრაც. იმის მიუხედავად, რომ მინისტრი და სამსახურის უფროსი მოწვეული იყვნენ უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში გამართულ სამ პრეზენტაციასა და ორ დისკუსიაზე, – ისინი არ გამოჩენილან. პრობლემა მხოლოდ ჩვენს ორგანიზაციას არ ეხება და ზოგადი ხასიათისაა. სამინისტროსა და საზოგადოებას შორის გართულებული ურთიერთობის ფონზე, შეუძლებელი ხდება ობიექტური ინფორმაციის მოპოვება სკოლაში მიმდინარე პროცესების, მათი დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. არ არსებობს ოფიციალური არხებით გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმების სანდო წყაროები. სკოლიდან უონავს ინფორმაცია, რომელსაც ხშირად სკანდალური შინაარსი აქვს და რომლის გადამოწმებაც ასევე ვერ ხერხდება.

- **ინფორმაციის არარსებობა სკოლაში.** როგორც უსაფრთხო სკოლის პროგრამის სამოქალაქო მონიტორინგის პროცესში გაირკვა, მოსწავლეები და მასწავლებლები არ არიან ინფორმირებულნი მანდატურის უფლებებისა და მოვალეობების შესახებ; აგრეთვე, იმ პროცედურების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მანდატურების ქცევის გაკონტროლება. მოსწავლეები და მასწავლებლები, ზოგ შემთხვევაში, არც საკუთარი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ ფლობენ საკმარის ინფორმაციას.

2. საჯარო სკოლებისთვის მანდატურის მომსახურება სავალდებულო ხასიათისაა. შესაბამისად, სკოლის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხების ზედამხედველობა ეკისრება პირს, რომელიც პასუხისმგებელი არ არის სკოლის თვითმმართველი ორგანოების ან დირექციის წინაშე. საჯარო სკოლების ავტონომიურობის ხარისხს ორი ფაქტორი აკნინებს:

- მანდატურის სამსახურის ფუნქცია სკოლაში განისაზღვრება არა თავად სკოლის მოთხოვნილებების საფუძველზე, არამედ სამინისტროს შეხედულებისამებრ.
- მანდატურები სკოლის თვითმმართველობაში ჩართული სხვა რგოლების (სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის, დისკიპლინური კომიტეტის) უმოქმედობის, პარალიზებისა და დასუსტების მიზეზი ხდებიან. მანდატურის წინადადება, როგორც წესი, გადამწყვეტია. სკოლის თვითმმართველობა კი ინსტიტუციურად ვერ აგვარებს ურთიერთობას მანდატურთან, რადგან მანდატური სკოლის უმაღლეს მმართველ რგოლად მიაჩნია.

3. მოქალაქე უურნალისტების გზავნილების მიხედვით, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები უფრო ნეგატიურად აფასებენ მანდატურების საქმიანობას, ხოლო მშობლები – უფრო პოზიტიურად. კერძოდ: მასწავლებლები და მოსწავლეები თავის გზავნილებში სკოლას აღწერენ, როგორც ზრუნვისგან დაცლილ, შიშით გაჯერებულ გარემოს, რომელშიც უსაფრთხოდ თავს ვერც მოსწავლეები გრძნობენ, ვერც მასწავლებლები და ვერც დირექტორები. ყველა სასკოლო კონფლიქტი, რომელთა შესახებაც მოქალაქე უურნალისტები გვწერდნენ, მათივე

---

ინფორმაციის თანახმად, დასრულდა იმ მოსწავლეების, პედაგოგების თუ დირექტორების სკოლიდან ნასვლით, რომლებიც მანდატურებს დაუპირისპირდნენ. მშობლების წერილები უფრო პოზიტიურია. მათი უმრავლესობის აზრით, მანდატურებმა შეძლეს სკოლაში ისეთი გარემოს შექმნა, რომელშიც ფიზიკური ძალადობის საფრთხე ნაკლებია. ამიტომ, მშობლები შვილებს ახლა უფრო გულდამშვიდებით გზავნიან სკოლაში, ვიდრე — ადრე.

მოსაზრებების ასეთი განსხვავება, სულ მცირე, იმაზე მეტყველებს, რომ არ არსებობს სწორი კომუნიკაცია სკოლასა და ოჯახს შორის. მშობლები კმაყოფილდებიან სკოლაში დანერგილი სიახლეების იმ შედეგით, რაც ზედაპირულია, ადვილი დასანახია და მათ არ გააჩნიათ ინფორმაცია სიახლის იმ შედეგებზე, რომლებიც უფრო ჩაღრმავებულ ხედვას საჭიროებს. შესაბამისად, ვიდრე გაწყვეტილია კავშირი სკოლასა და ოჯახს შორის – რასაც სკოლის უსაფრთხოების დღევანდელი ჩაკეტილი სისტემა განაპირობებს – სკოლის თემი მთლიანად იზოლირებულია სკოლის პრობლემებისგან და მათი მოგვარებისგანაც. სკოლა, როგორც ინსტიტუცია, დახურულია არა მხოლოდ ექსპერტებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, კვლევითი ჯგუფებისთვის, არამედ, დიდწილად, მშობლებისთვისაც.

4. მოქალაქე უურნალისტების მიერ გამოგზავნილი და ექსერტების მიერ მომზადებული მასალა ადასტურებს, რომ დღეს საჯარო სკოლებში თვალსაჩინოა ზრუნვის ელემენტის დეფიციტი. იქ, სადაც ზრუნვა და მხარდაჭერაა, ბავშვი/მოზარდი თავს სრულფასოვან ადამიანად აღიქვამს. მას აქვს განცდა, რომ უყვართ, პატივს სცემენ, აღიარებენ. ხოლო იქ, სადაც მხოლოდ კონტროლია, ხოლო ზრუნვა ცარიელი სიტყვაა, ბავშვს აქვს განცდა, რომ არ ენდობიან, არ უყვართ, პატივს არ სცემენ, მის უფლებებს „ფეხქვეშ თელავენ“ არ აღიარებენ, – რაც ან წარმოშობს პრობლემებს, ან უკვე არსებულ პრობლემებს კიდევ მეტად აღრმავებს. დღეს საჯარო სკოლებში ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის სწორედ ზრუნვის ელემენტის შეტანა და სააღმზრდელო დეფიციტის აღმოფხვრა, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ემოციურ უსაფრთხოებასაც. ზრუნვის ელემენტის გაძლიერება თავისთავად გულისხმობს ნდობის აღდგენას მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის, აგრეთვე, პედაგოგის როლის ზრდას უსაფრთხოების საკითხებში.

5. სასკოლო სივრცეში მანდატურის გამოჩენის შემდეგ, მასწავლებლის პროფესიული ცხოვრება, სასწავლო პროცესის სხვა გამოწვევებთან ერთად, უფრო სტრუქტული გახდა. ამას ადასტურებენ პედაგოგები, რომლებიც ესწრებოდნენ უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში

გამართულ პრეზენტაციებს და დისკუსიებს; ამასვე ადასტურებს მოქალაქე ურნალისტების გზავნილები და სილრმისეული რეპორტაჟი, რომელიც ამ გზავნილების მიხედვით მომზადდა.

თუ შევაჯამებთ, პრობლემებისა და გამოწვევების ზოგადი სურათი ასეთია:

## 1. სკოლის გარეთ:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაბრკოლებებს ქმნის

- სამინისტროსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში;
- სკოლასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობაში;
- საჯარო ინფორმაციის გაცემაში.

ეს „ჩაკეტილობა“ და ინფორმაციული ვაკუუმი სამინისტროს ათავისუფლებს საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულებისგან უსაფრთხო სკოლის პროგრამის მიმდინარეობასთან და მის შედეგებთან დაკავშირებით.

## 2. სკოლაში:

- მანდატური აბრკოლებს სკოლის თვითმმართველობის ქმედუნარიანობას;
- მკვეთრი დისპალანსია კონტროლისა და ზრუნვის ელემენტებს შორის;
- სკოლის თემი გამიჯნულია სკოლის თანამშრომლებისგან;
- როგორც მოსწავლეს, ასევე მასწავლებელს აქვს შიშის და შფოთის განცდა, ერთი მხრივ, მანდატურის და, მეორე მხრივ, ერთმანეთის (როგორც მანდატურის პოტენციური მოკავშირის) მიმართ.

მთლიანობაში, სკოლის საზოგადოებას, სკოლის თემსა და მანდატურს შორის ურთიერთობის პრობლემების მოგვარებას ხელს უშლის სასკოლო სისტემის ჩაკეტილობა და ინფორმაციის ნაკლებობა, მათ შორის, სკოლაში წარმოდგენილი სხვადასხვა მხარის უფლება-მოვალეობების და მათ შორის ურთიერთობის პროცედურების შესახებ.

საბოლოოდ, კომუნიკაციის განყვეტა, ერთი მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და, მეორე მხრივ, საზოგადოებას შორის; ანგარიშვალდებულების სრული უგულებელყოფა; აგრეთვე, კავშირის

---

გაწყვეტა სკოლასა და საზოგადოებას შორის, – ზოგადი განათლების სისტემას აქცევს ჩაკეტილ, იზოლირებულ, ვერტიკალური მართვის, დეპუმანიზებულ, შფოთვით სავსე სისტემად, რომელიც ვერ შეუწყობს ხელს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ „თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას“; „დამოუკიდებელ გადაწყვეტილებათა მიღების უნარ-ჩვევების“ შემუშავებას; „ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების“ დამკვიდრებას; „ადამიანის უფლებების დაცვისა და პიროვნების პატივისცემის უნარის“ გამომუშავებას.

### 8.3 რაკომენდაციაზი

ზემოთ აღნერილი პრობლემების მოსაგვარებლად, აუცილებლად მიგვაჩნია:

#### სკოლის გარეთ

გაუქმდეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წლის 12 ნოემბრის გამოცემული ბრძანება N837. ბრძანების გაუქმება გახსნის სკოლის კარს და დირექტორს დაუბრუნებს უფლებას, თავად (ან სკოლის თვითმმართველ რგოლებთან შეთანხმებით) გადაწყვიტოს, ვინ და რატომ შეუშვას, ან არ შეუშვას სკოლაში. ბრძანების გაუქმება დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს საშუალებას მისცემს, იმუშაონ სკოლის საზოგადოებასთან სხვადასხვა მიმართულებით; აღნერონ, გააანალიზონ და შეაფასონ სკოლაში მიმდინარე პროცესები; მოაწყონ დისკუსია სკოლისთვის აქტუალურ თემებზე; დაეხმარონ სკოლის თვითმმართველ ორგანოებს საკუთარი როლის გააზრებაში და კანონით მინიჭებული ფუნქციების შესრულებაში. ბრძანების გაუქმება რთულად მისაღწევი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. ბრძანების გასაუქმებლად აუცილებლად მიგვაჩნია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

- მუშაობა საზოგადოებასთან ამ ბრძანების არსისა და მისი შედეგების გაცნობის მიზნით;
- თანამოაზრების შემოკრება და კამპანიის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
- ბრძანების გასაჩივრება საერთო სასამართლოში.

## სკოლაში

აღმოიფხვრას დისბალანსი კონტროლზე და ზრუნვაზე ორიენტირებულ მიდგომებს შორის. ამისთვის:

- გაიზარდოს სკოლის თვიმმართველი რგოლების – სამეურვეო საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობის და დისციპლინური კომიტეტის ქმედუნარიანობა. ამ ორგანოებმა შესასულონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები (სამეურვეო საბჭომ განიხილოს საჩივრები და წინადადებები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილებები; დისციპლინური გადაცდომების შესახებ დისციპლინურმა კომიტეტმა იმსჯელოს; მოსწავლეთა თვითმმართველობამ კი სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხთან დაკავშირებით).
- სკოლის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში გაიზარდოს მოსწავლის და მასწავლებლის როლი, რადგან სწორედ ისინი არიან ინციდენტის ადგილზე და მათ იციან ყველაზე უკეთ, რა ხდება სკოლაში.
- ბავშვისა და მოზარდის ანგისოციალური ქცევის პრევენციისათვის, სკოლაში შეიქმნას ფსიქოსოციალური სამსახური. მხოლოდ კვალიფიციური სპეციალისტები – ფსიქოლოგები და სოციალური მუშაკები – შეძლებენ ბავშვის პრობლემების დროულ იდენტიფიკაციას, პრობლემების სისტემურ გაანალიზებას და მიზანმიმიართულ ჩარევას ამ პრობლემების აღმოსაფხვრელად.
- უსაფრთხოების თემაზე მოეწყოს სასკოლო კონფერენციები, სადაც განხილული იქნება როგორც მოსწავლეებისა და პედაგოგების, ისე მანდატურების კანონით მინიჭებული უფლება-მოვალეობები; სკოლის შინაგანანესი; მოსწავლეთა და მასწავლებელთა ქცევის კოდექსი, მანდატურის ეთიკის კოდექსი.
- სკოლის თემში გაიზარდოს ინტერესი სკოლაში მიმდინარე პროცესების მიმართ და მშობლები უფრო აქტიურად ჩაერთონ სკოლის ცხოვრებაში.

---

\* \* \*

კრებული, რომელიც სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტმა გამოსცა „უსაფრთხო სკოლის პროგრამის მონოტორინგის“ ფარგლებში, სკოლის საზოგადოებას — მოსწავლეებს, მასწავლებლებს, დირექციას, მანდატურებს, მშობლებს — დაეხმარება, რომ უკეთ გაიაზრონ უსაფრთხო სკოლის კონცეფცია, დაინახონ თავისი როლი ამ კონცეფციაში, მიიღონ ინფორმაცია საკუთარი და სხვების უფლება-მოვალეობების შესახებ და დაგეგმონ სამომავლო ქმედებები. საჯარო სკოლებში არსებული ჩაკეტილობისა და ინფორმაციული ვაკუუმის დაძლევა ყველა სხვა პრობლემის მოგვარების აუცილებელი წინაპირობაა. უსაფრთხოების სახელით სკოლაში დანერგილი ავტორიტარული მართვა ხელს უშლის სკოლის — როგორც ინსტიტუციის — განვითარებას, მის სტაბილურ პროგრესს. საზოგადოებამ უნდა გააცნობიეროს ამჟამად არსებული მკვეთრი დაპირისპირება ზოგადი განათლების დეკლარირებულ მიზნებსა და ამ მიზნების მიღწევის რეალურ საშუალებებს შორის. სკოლის ჰუმანიზაციის გარეშე — რაც სასკოლო განათლების მუდმივი პროგრესის საფუძველთა საფუძველია — შეუძლებელი იქნება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელება.



წიგნი გამოსაცემად მოამზადა  
გამომცემლობა „უსტარმა“

თბილისი, მ. წინამძღვრიშვილის 119  
ტელ: 296 40 81, 790 96 40 82  
ელ. ფოსტა: ustari2010@gmail.com





**სოფიო გორგოძე,** განათლების სპეციალისტი, აქვს მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო განათლების პოლიტიკაში (ჰარვარდის უნივერსიტეტი). მუშაობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის დირექტორად. ამჟამად ასწავლის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და არის საჯარო პოლიტიკის დოქტორანტი.



**გიორგი მავრიკიაძე,** იურისტი, მუშაობს გაეროს განვითარების პროგრამის პროექტში – „სახალხო დამცველის აპარატის გაძლიერება“ – ექსპერტად. წარმოადგენს საქართველოს სახალხო დამცველის ინტერესებს საკონსტიტუციო სასამართლოში. ამჟამად ასწავლის კავკასიის უნივერსიტეტში და არის ამავე უნივერსიტეტის სამართლის სკოლის დოქტორანტი.



**თამარ მოსიაზვილი,** განათლების სპეციალისტი, არის სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტის განათლების პროგრამის მენეჯერი. მონაწილეობდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტში „ილია ჭავჭავაძე“, როგორც მწვრთნელი და სკოლების კონსულტანტი. მუშაობდა საქართველოს განათლების დეცენტრალიზაციისა და აკრედიტაციის პროექტში (GEDA) განათლების სპეციალისტად დეცენტრალიზაციის მიმართულებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრში მასწავლებელთა სერტიფიცირების კონდინატორად.



**ნაია ცირაშვა,** ფსიქოლოგი, წამების მსხვერპლთა ფსიქოსოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის საქართველოს ცენტრის (GCRT) არასრულწლოვანთა რეაბილიტაცია/რესოციალიზაციის მიმართულების კოორდინატორი. თანამშრომლობდა გაეროს ბავშვთა ფონდთან არასრულწლოვანთა მართლმართნების მიმართულებით.



**ქათევენ კოჩალაძე,** ფსიქოლოგი, მუშაობდა ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრში, გენერალურ დირექტორად; მუშაობდა სახალხო დამცველის აპარატში მთავარ სპეციალისტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დ.უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის სოციალური ფსიქოლოგიის განყოფილების ეთნოფსიქოლოგიური ლაბორატორიის მეცნიერ-თანამშრომლად.



**ლიკა ზაკაზვილი,** უურნალისტი, აქვს უურნალისტიკისა და მენეჯმენტის მაგისტრის ხარისხი. მუშაობდა რადიოში „GIPA“ ეკროკავშირის მიერ დაფინანსებული გადაცემის – „მრავალფეროვნება“ – წამყვანად. ამჟამად მუშაობს საერთაშორისო ორგანიზაციაში „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო“.